

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ნიკორა

2018 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	10
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	12
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	13
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	15
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ასსნა-განმარტებითი შენიშვნები	17

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის
თარგმანი)

სს “ნიკორას” აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს “ნიკორას” (“კომპანია”) და მისი შვილობილი საწარმოების (ერთობლივად “ჯგუფის”) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის – “*პირობითი მოსაზრების საფუძველი*” – ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართულია გუდვილი საბალანსო ღირებულებით 43,618 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 43,618 ათასი ლარი). ამ თანხიდან 36,628 ათასი ლარი წარმოადგენს 2015 წელს შპს “ნიკორა ტრეიდის” მიერ შპს “ნუგეშის” 100%-ის შეძენისას წარმოქმნილი გუდვილის ღირებულებას.

შპს “ნუგეშის” შეძენისას გუდვილის ღირებულება დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის მომენტში შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების გაანგარიშების ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს, რომ გუდვილის ღირებულება განისაზღვროს როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას შორის, შეძენის თარიღისათვის. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები შპს “ნუგეშის” იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალურ

ღირებულებაზე შეძენის თარიღისათვის, შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭიროა იყო თუ არა რაიმე კორექტირება აღიარებული გუდვილისა და შეძენილი კომპანიის ძირითადი საშუალებების, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთებს შორის თანხების გადანაწილების კუთხით, შეძენის თარიღისათვის. ჩვენი აუდიტორული მოსაზრება, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პირობითი იყო იმავე საფუძველით.

ჩვენს მიერ გუდვილის გაუფასურების შეფასების მიზნით ჩატარებული პროცედურების შედეგად არ გამოვლენილა არანაირი საფუძველი იმისა, რომ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული გუდვილი გაუფასურებულია.

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულება შეადგენს 34,670 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 18,415 ათას ლარს) (იხ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 5). ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის ბუნების გამო, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები აკუმულირებული ცვეთის საწყის ნაშთზე ჯგუფის მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის ნაწილისთვის, რომლის საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო თარიღისათვის 5,836 ათასი ლარია (ისტორიული ღირებულება 24,398 ლარი, შემცირებული აკუმულირებული ცვეთით 18,562 ლარი). შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა აუცილებელი იყო, თუ არა რაიმე კორექტირება ჯგუფის მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის საბალანსო ღირებულებაში, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ან ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში ასახულ ცვეთის ხარჯებში, რომელიც შეადგენდა 1,623 ათას ლარს და რომელიც დაკავშირებულია, მანქანა-დანადგარებისა და აღჭურვილობის აღნიშნულ ნაწილთან, ან იმავე პერიოდის კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენებ საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში, რაზედაც იგივე ცვეთის ხარჯები ახდენს გავლენას. ჩვენი აუდიტორული მოსაზრება, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პირობითი იყო იმავე საფუძველით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პაუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პაუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) *პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა* და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებული მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. აუდიტის ძირითადი საკითხები შერჩეულია იმ საკითხებიდან რაც განხილული იყო მეთვალყურეობაზე პაუხისმგებელ პირებთან, თუმცა არ მოიცავს ყველა საკითხს, რაც მათთან იქნა განხილული. ჩვენი ანგარიშის *“პირობითი მოსაზრების საფუძველების”* აბზაცში განხილულ საკითხებთან

დამატებით, აუდიტის ძირითად საკითხებად ჩავთვალოთ აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხები. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული ჩვენი აუდიტორული პროცედურები დაგვემძილა იყო მთლიანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ არის მოდიფიცირებული ქვემოთ ჩამოთვლილი არცერთი ძირითადი საკითხის გამო და ჩვენ არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას რომელიმე ამ ინდივიდუალურ საკითხზე.

მარაგების შეფასება

ჯგუფი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 57,876 ათასი ლარის მარაგებს ფლობდა (2017: 45,051 ათასი). ჯგუფის მთლიან აქტივებში მარაგების ნაშთის წილის მოცულობის გამო და ქვემოთ აღწერილი შეფასებებისა და მსჯელობების გამო მარაგების შეფასება აუდიტის პროცესში მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვდა.

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების № 3.7 შენიშვნაშია აღნიშნული მარაგები წარდგენილია FIFO მეთოდით აღრიცხულ თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება ყოველი წლის ბოლოს გადაიხედება და, თუკი სავარაუდოა, რომ მარაგები მათ თვითღირებულებაზე დაბალი ფასით გაიყიდება, ხდება მარაგების ღირებულების დაწევა.

იმის განსაზღვრა, მარაგები თვითღირებულებაზე დაბალ ფასად გაიყიდება თუ არა ხელმძღვანელობისაგან მსჯელობასა და დაშვებების გამოყენებას მოითხოვს. ხელმძღვანელობა მარაგების ღირებულების შემცირების დონის განსაზღვრად შემდეგ პროცედურებს იყენებს:

- განიხილავს მარაგების ხანდაზმულობის ანგარიშებს და ისტორიულ ტრენდებს რომ შეაფასოს ნელა მოძრავი და ძველი მარაგების გაყიდვადობა;
- განიხილავს მარაგების დეტალურ სიას, რომ დარწმუნდეს, რომ მარაგები თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესითაა წარდგენილი და თუ საჭიროა ხდება მარაგების ღირებულების შემცირება და ხარჯის აღიარება;

მარაგების შეფასების სისწორეში დასარწმუნებლად ჩვენ შემდეგი პროცედურები ჩავატრეთ:

- გადავითვაღეთ მარაგების თვითღირებულება FIFO მეთოდით და ჩვენი გათვლები შევადარეთ ჯგუფის ანგარიშში ასახული მარაგების ნაშთს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- შერჩევის საფუძველზე გადავამოწმეთ ზოგიერთი მარაგის წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გაყიდვების ახალი მონაცემების გამოყენებით;
- მარაგების კატეგორიების შერჩეული ნაწილისათვის გადავხედეთ ბალანსის თარიღის შემდგომ მოგების მარეგებს;
- გადავამოწმეთ, რომ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული მარაგების ხანდაზმულობის რეპორტები სწორად ასახავს მარაგების ვადიანობას. ამისთვის მარაგების შერჩეული ნაწილის ხანდაზმულობა, რაც რეპორტებში აისახებოდა შევადარეთ მათი შეძენის ბოლო ინვოისებს.

მიწისა და შენობების გადაფასება

ჯგუფის მიწისა და შენობების წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 46,394 ათას ლარს შეადგენდა (2017: 38,694 ათასი). ჯგუფის

მთლიან აქტივებში მიწისა და შენობების ნაშთის წილის მოცულობის გამო და ქვემოთ აღწერილი შეფასებებისა და მსჯელობების გამო მიწისა და შენობების შეფასება აუდიტის პროცესში მნიშვნელოვან ყურადღებას მოითხოვდა.

როგორც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების № 3.3 შენიშვნაშია აღნიშნული მიწა და შენობები კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც მათ რეალურ ღირებულებას წარმოადგენს შეფასების თარიღისათვის. შეფასება ჯგუფისაგან დამოუკიდებელი სერთიფიცირებული შემფასებლის მიერ არის ჩატარებული. შეფასების დეტალები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-5 შენიშვნაშია წარდგენილი.

ჩვენ ჩავატარეთ შემდეგი აუდიტორული პროცედურები

- შევაფასეთ ჯგუფის მიერ მოწვეული შემფასებლის ობიექტურობა, კომპეტენცია და დამოუკიდებლობა;
- შემფასებლის მიერ მომზადებული შეფასების ანგარიშის გადახედვით მოვიპოვეთ ცოდნა შემფასებლის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ, განვიხილეთ ჩატარებული სამუშაოების ბუნება, მასშტაბი და მიზანი;
- შემფასებლის მიერ გამოყენებული ძირითადი შემაჯავლი მონაცემები შევადარეთ საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას და/ან ისტორიულ მონაცემებს;
- განვიხილეთ გადაფასების შედეგების აღრიცხვის სააღრიცხვო მიდგომები;
- გადავხედეთ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ აქტივებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით ინფორმაციას და შევადარეთ ის ფინანსური ანგარიშგების შესაფერისი სტანდარტების მოთხოვნებს;

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად მოთხოვნილი საკითხების შესახებ.

აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ აღიგნა ექნება მატერიალურ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ ვაცხადებთ არაფერს.

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენი მოსაზრებაა:

- ინფორმაცია, რომელიც მოცემულია მმართველობის ანგარიშგებაში, იმ წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და

- მმართველობის ანგარიშგება მომზადებულია “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს კანონით მოთხოვნილ ყველა ინფორმაციას.

სხვა საკითხები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის ჯგუფმა თავდაპირველად კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა 2019 წლის 30 მაისს, რომელზეც, შესაბამისად, ჩვენ გამოვეუშვით 2019 წლის 30 მაისით დათარიღებული აუდიტორული დასკვნა.

როგორც შენიშვნა 29-შია აღწერილი, 2019 წლის 30 მაისს აუდიტრებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგ, ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა გარკვეული კლასიფიკაციის უზუსტობები ანგარიშგებაში და გადაწყვიტა გამოეშვა განახლებული ანგარიშგება. ანგარიშგების განახლება მოხდა შემდეგის გამო:

ხელმძღვანელობამ გადახედა მიმდინარე და გრძელვადიანი სესხების კლასიფიკაციას და აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი არააუდიტრებული შეიღობილი კომპანიის სესხის ბალანსები კლასიფიცირებული იყო როგორც გრძელვადიანი, ნაცვლად სესხების მოკლევადიანი ნაწილისა, ამიტომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ მომხარა მათი რეკლასიფიკაცია მოკლევადიან ვალდებულებებად. ჯგუფის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გამოეშვას განახლებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სწორად განაწილებული სესხის ბალანსებით. ამ ცვლილებას გაველენა არ ქონდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხის ჯამურ ნაშთზე. ხელმძღვანელობამ ასევე შენიშნა, რომ კონსოლიდაციისას შიდაჯგუფური რეალიზაციების ტრანზაქციების ელიმინირება განხორციელდა მთლიანად საქონლის რეალიზაციის კატეგორიაზე, როდესაც ელიმინაციის ძირითადი ნაწილი უნდა ასახულიყო მომსახურებიდან შემოსავლების ხაზზე, რამდენადაც შიდაჯგუფური შემოსავლები ძირითადად იჯარებისა და მმართველობითი მომსახურებებისგან შედგება. ამ განახლებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შესაბამისად შეიცვალა 14-ე განმარტებით შენიშვნაში წარდგენილი შემოსავლების დაყოფა, თუმცა ამ ცვლილებას არავითარი გაველენა არ აქვს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე, სადაც შემოსავლის ჯამური თანხაა წარდგენილი, რაც არ შეცვლილა.

ჩვენ ჩავატარეთ შესაბამისი აუდიტორული პროცედურები განახლებული ციფრებისთვის საჭირო აუდიტორული რწმუნების მოსაპოვებლად. ზემოთ აღნიშნული აუდიტის დასკვნა მოიცავს ამ პროცედურების განხორციელების შედეგებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობაა აგრეთვე პასუხისმგებელი ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებითი უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა,

რიდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარვადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დაგვეგმოდნენ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოვგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს

არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ქეთევან ღამბაშიძე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

ქეთევან ღამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 23 სექტემბერი

არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნაზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ყურდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის წარდგენისას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოეთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განესაზღვრათ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევაში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ქეთევან ღამბაშიძე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

ქეთევან ღამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

2019 წლის 23 სექტემბერი



კონსოლიდირებული ფინანსური

მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი			2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი		
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გუდვილი	4	43,618	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	5	108,803	75,467	67,288
არამატერიალური აქტივები	6	2,909	2,930	2,151
მსხმოიარე ნარგავები		396	466	214
გაცემული სესხები		144	-	-
სხვა ფინანსური აქტივები		14	20	16
		155,884	122,501	113,287
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	57,876	45,051	31,954
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	23,273	14,256	11,422
სხვა მიმდინარე აქტივები		1,495	1,586	1,905
მიმდინარე საგადასახადო აქტივი		182	-	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9	3,175	10,734	2,256
		86,001	71,627	47,537
სულ აქტივები		241,885	194,128	160,824

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 17-59 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
	შენიშვნა			
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები	10			
სააქციო კაპიტალი		25,126	31,258	34,761
გამოსყიდული საკუთარი აქციები		(1,326)	(1,294)	(1,294)
გადაფასების რეზერვი		12,240	12,240	7,562
აკუმულირებული მოგება/ზარალი		24,079	13,982	5,810
		60,119	56,186	46,839
არამაკონტროლებელი წილი		4,053	2,405	995
სულ კაპიტალი		64,172	58,591	47,834
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	11	20,434	14,126	37,121
ობლიგაციები	12	25,000	25,660	13,234
		45,434	39,786	50,355
მიმდინარე ვალდებულებები				
		83,112	56,072	42,431
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13			
სესხები	11	22,209	25,800	19,943
ობლიგაციები	12	26,857	13,274	176
სახელშეკრულებო ვალდებულება		101	66	85
გადასახდელი დივიდენდები		-	539	-
		132,279	95,751	62,635
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		241,885	194,128	160,824

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 23 სექტემბერს :

ირაკლი ბოქოლიშვილი

ბესარიონ ფაჩუაშვილი

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 17-59 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
	შენიშვნა			
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები	10			
სააქციო კაპიტალი		25,126	31,258	34,761
გამოსყიდული საკუთარი აქციები		(1,326)	(1,294)	(1,294)
გადაფასების რეზერვი		12,240	12,240	7,562
აკუმულირებული მოგება/ზარალი		24,079	13,982	5,810
		60,119	56,186	46,839
არამაკონტროლებელი წილი		4,053	2,405	995
სულ კაპიტალი		64,172	58,591	47,834
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	11	20,434	14,126	37,121
ობლიგაციები	12	25,000	25,660	13,234
		45,434	39,786	50,355
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	83,112	56,072	42,431
სესხები	11	22,209	25,800	19,943
ობლიგაციები	12	26,857	13,274	176
სახელშეკრულებო ვალდებულება		101	66	85
გადასახდელი დივიდენდები		-	539	-
		132,279	95,751	62,635
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		241,885	194,128	160,824

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 23 სექტემბერს :

ირაკლი ბოქლოიშვილი

გენერალური დირექტორი

ბესარიონ ფანუაშვილი

ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი	14	417,852	336,255
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	15	(289,528)	(231,891)
საერთო მოგება		128,324	104,364
სხვა შემოსავალი		986	1,085
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	16	(59,147)	(50,363)
ადმინისტრაციული ხარჯები	17	(45,084)	(32,411)
სხვა ხარჯები		(1,760)	(2,901)
შედგენი საოპერაციო საქმიანობიდან		23,319	19,774
ფინანსური ხარჯები	18	(8,525)	(7,860)
სხვა ფინანსური ხარჯები	19	(2,883)	(1,926)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(3,357)	(3,920)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		8,554	6,068
მოგების გადასახადი		(1,568)	(1,140)
წლის მოგება		6,986	4,928
<i>სხვა სრული შემოსავალი</i>			
<i>ერთეულები რომლებიც მომავალში არ გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში</i>			
ძირითადი საშუალების გადაფასება		-	4,704
წლის სხვა სრული შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე		-	4,704
სულ წლის სრული შემოსავალი		6,986	9,632
მოგება მიკუთვნებადი:			
სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი		6,684	4,969
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე მიკუთვნებადი		302	(41)
მთლიანი შემოსავალი მიკუთვნებადი:			
სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი		6,684	9,657
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე მიკუთვნებადი		302	(25)

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 17-59 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტალი	გამოსყიდული ჩვეულებრივი აქციები	გადაფასე ბის რეზერვი	აკუმულირებული მოგება/ზარალი	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნებადი	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ
2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	34,761	(1,294)	7,562	5,810	46,839	995	47,834
წლის მოგება	-	-	-	4,969	4,969	(41)	4,928
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	4,688	-	4,688	16	4,704
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	4,688	4,969	9,657	(25)	9,632
შეიღობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	11,471	11,471	1,456	12,927
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(3,503)	-	-	-	(3,503)	-	(3,503)
დივიდენდები	-	-	-	(8,299)	(8,299)	-	(8,299)
საწარმოთა გაერთიანება	-	-	17	4	21	(21)	-
გაყიდული აქტივების აკუმულირებული გადაფასების რეზერვის გადატანა დაგროვილ მოგებაზე	-	-	(27)	27	-	-	-
ოპერაციები აქციონერებთან	(3,503)	-	(10)	3,203	(310)	1,435	1,125
2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	31,258	(1,294)	12,240	13,982	56,186	2,405	58,591

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს 17-59 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი

	სააქციო კაპიტალი	გამოსყიდული ჩვეულებრივი აქციები	გადაფასე ბის რეზერვი	აკუმულირებული მოგება / ზარალი	სულ სათაო კომპანიის მფლობელებზე მიკუთვნება	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ
წლის მოგება	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
გადაფასების ნამეტი	-	-	-	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
შვილობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	8,496	8,496	1,304	9,800
სს ნიკორას მიერ სს ნიკორა ტრეიდის აქციების შესამე მხარისთვის მიყიდვის გაფლენა	-	-	-	549	549	(549)	-
პრემიუმი შვილობილების აქციების გამოშვებიდან	-	-	-	869	869	591	1,460
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(6,132)	-	-	-	(6,132)	-	(6,132)
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	-	(32)	-	(889)	(921)	-	(921)
დივიდენდები	-	-	-	(5,909)	(5,909)	-	(5,909)
საწარმოთა გაერთიანება	-	-	-	297	297	-	297
გაყიდული აქტივების აკუმულირებული გადაფასების რეზერვის გადატანა დაგროვილ მოგებაზე	-	-	-	-	-	-	-
ოპერაციები აქციონერებთან	(6,132)	(32)	-	3,413	(2,751)	1,346	(1,405)
2018 წლის 31 დეკემბერი	25,126	(1,326)	12,240	24,079	60,119	4,053	64,172

კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 17-59 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	6,986	4,928
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	10,818	7,997
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	-	-
უიმედო მოთხოვნების ხარჯი	-	23
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	7	(4)
საპროცენტო ხარჯი	8,526	7,860
მარაგის დანაკარგები	7,984	3,449
სახელშეკრულებო ვალდებულების ცვლილება	35	(19)
მოგების გადასახადის ხარჯი/(აღდგენა)	1,568	1,140
მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	2,883	1,926
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	38,807	27,300
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(9,016)	(3,114)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(20,809)	(16,546)
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	(13)	284
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	23,091	12,049
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	32,060	19,973
გადახდილი პროცენტი	(8,165)	(7,771)
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,750)	(1,400)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	22,145	10,802
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(40,308)	(11,490)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(883)	(763)
შვილობილი საწარმოს წილის შეძენა	-	(23)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	1,293	1,819
შვილობილის შეძენაზე გადახდილი ფული	(635)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(40,533)	(10,457)

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 17-59 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად..

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	2018 წელი 31 დეკემბერი	2017 წელი 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
პრივილეგირებული აქციების გამოშვებიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	-
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	230,384	181,844
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(6,678)	(5,177)
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(229,119)	(198,335)
ობლიგაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები	25,000	23,775
ობლიგაციების დასაფარად გადახდილი ფული	(12,540)	-
შვილობილი საწარმოს წილის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	10,349	13,025
გადახდილი დივიდენდები	(5,748)	(7,760)
გამოსყიდული აქციები	(32)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	11,616	7,372
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა ზრდა	(6,772)	7,717
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(787)	2,978
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში	10,734	39
ფულადი სახსრები ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს	3,175	10,734

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 17-59 გვერდებზე
წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად..

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საჭმთანობა და ზოგადი ინფორმაცია

სს “ნიკორა” მის შეიღობილ საწარმოებთან ერთად (“ჯგუფი”) არის წამყვანი კვების პროდუქტების მწარმოებელი და დისტრიბუტორი საქართველოს ბაზარზე. სს “ნიკორა”, ჯგუფის სათაო კომპანია, 1998 წელს დაარსდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის მთავარ საქმიანობას ხორც-პროდუქტების წარმოება წარმოადგენდა, მალე მოიპოვა ძლიერი საბაზრო პოზიცია და დააარსა რამდენიმე კომპანია საცალო ვაჭრობის, დისტრიბუციისა და საკვების წარმოების სფეროში.

ჯგუფი აწარმოებს 500-მდე პროდუქტის ნაირსახეობას.

სს “ნიკორა” დარეგისტრირებულია მისამართზე: მ. ქავთარაძის 11, თბილისი, საქართველო.

ჯგუფის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2018 წელს შეადგენდა 5,058 თანამშრომელს (2017: 4,300 თანამშრომელი).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობები გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 20-ე შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

ჯგუფმა მიმდინარე წელს გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად საგადასახადოა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ჯგუფის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება განხილულია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2017 წელს, მათ არ აქვთ არსებითი გავლენა ჯგუფის წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდებისათვის.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული იმ ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ჩამონათვალი, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან და მიღებულია ჯგუფის მიერ, წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	დასახელება	ეფექტურია სააღრიცხვო წლის დასაწყისისთვის ან შემდგომ
ფასს 9	ფინანსური ინსტრუმენტები (შენიშვნა 3.9)	2018 წლის 1 იანვარი
ფასს 15	ამონაგები მომხამრებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (შენიშვნა 3.15)	2018 წლის 1 იანვარი
ბასს 28	ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	2018 წლის 1 იანვარი

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერჯერობით არ მიუღია ჯგუფს.

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და შესაბამისად ჯგუფს ჯერ არ მიუღია.

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შესწორებები:

ეფექტურია სააღრიცხვო წლის დასაწყისისთვის ან შემდგომ

ფასს 16, იჯარა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავდა იჯარის აღრიცხვის ახალი სტანდარტი.

2019 წლის 1 იანვარი

(ა) ახალ სტანდარტს არ აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეიჯარეს მიერ იჯარის აღრიცხვაზე. თუმცა, სტანდარტი მოითხოვს რომ მოიჯარემ ბალანსში იჯარა აღიაროს როგორც საიჯარო ვალდებულება აქტივის გამოყენების უფლებასთან კორესპონდენციაში.

(ბ) მოიჯარე ვალდებულია ყველა იჯარისთვის გამოიყენოს შეფასების ერთნაირი მოდელი, თუმცა მას აქვს უფლება არ აღიაროს იჯარა ფინანსურად მოკლევადიანი იჯარის ან საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულების შემთხვევაში.

(გ) ჩვეულებრივ, აღიარებულ იჯარასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის აღიარების მოდელი მსგავსია დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის, სადაც ფინანსური მდგომარეობის უწყისში საპროცენტო და ცვეთის ხარჯები აღიარებულია განცალკევებულად.

სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ იმავე თარიღისთვის გათვალისწინებული იქნება ფასს 15 *შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან*. ფასს 16 –ზე გადასვლა შესაძლებელია რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015–2017 ციკლი, განახლებები ფასს 3, ფასს 11, ბასს 12 და ბასს 23

2019 წლის 1 იანვარი

ფასიკ 23 ცვალებადობა მოგების გადასახადის მიდგომასთან. ფასიკ 23 ხელმძღვანელობს თუ როგორ აისახება ცვალებადობის ეფექტები მოგების გადასახადის აღრიცხვაში ბასს 12-ის მიხედვით, კერძოდ:

ცვალებადი საგადასახადო მიდგომები ერთობლივად უნდა განიხილებოდეს თუ არა, დაშვებები საგადასახადო ზედამხედველი პირების მიერ ჩატარებული შემოწმებებისთვის, დასაბეგრი მოგების (ზარალის) განსაზღვრა, საგადასახადო ბაზები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი, გამოუყენებელი

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების
შესწორებები:

ეფექტურია საადრიცხვო
წლის დასაწყისისთვის ან
შემდგომ

საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო განაკვეთები და
ფაქტებისა და გარემოებების ცვლილების ეფექტი .

ცვლილებები ფასს 9-ში, ფინანსური ინსტრუმენტები,
დაკავშირებული წინასწარგადახდის პირობებთან
უარყოფითი კომპენსაციით. აღნიშნული გულისხმობს
ფასს 9-ში არსებული მოთხოვნების ცვლილებას
შეწყვეტის უფლებასთან დაკავშირებით, რათა
შესაძლებელი გახდეს ამორტიზებული ღირებულებით
შეფასება (ან, ბიზნეს მოდელის მიხედვით, რეალური
ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში) უარყოფითი
კომპენსაციის შემთხვევაშიც კი.

2019 წლის 1 იანვარი

ცვლილება სტანდარტში ბასს 19 დაქირავებულ პირთა
კომპენსაციები: ცვლილებები განმარტავს: ჯგუფი
იყენებს განახლებულ აქტუარული შეფასების მეთოდს
მიმდინარე მომსახურების ღირებულების და პერიოდში
წმინდა პროცენტის განსაზღვრისთვის და ახდენს
აქტივის ზედა ზღვრის იგნორირებას შეთანხმებასთან
დაკავშირებული მოგების ან ზარალის კალკულაციისას,
რაც ცალკე განიხილება სხვა სრულ შემოსავალში.

2019 წლის 1 იანვარი

ცვლილებები ბასს 28-ში, ინვესტიციები მეკავშირე და
ერთობლივ საწარმოებში, დაკავშირებული გრძელვადიან
წილის ფლობასთან მეკავშირე და ერთობლივ
საწარმოებში. აღნიშნული ცვლილება განმარტავს, რომ
საწარმო რომელიც იყენებს ფასს 9-ს, ფინანსური
ინსტრუმენტები, გრძელვადიანი წილის ფლობისთვის
მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში, რომელიც ქმნის
მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში წმინდა
ინვესტიციის ნაწილს, კაპიტალის მეთოდი არ
გამოიყენება.

2019 წლის 1 იანვარი

ცვლილებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალურ
ჩარჩოში შესწორებების შეტანის თაობაზე –
ცვლილებები შემდეგი სტანდარტებისთვის ფასს 2, ფასს
3, ფასს 6, ფასს 14, ბასს1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს
38, ფასიკ 19, ფასიკ 20, ფასიკ 22 და SIC-32 ეხება
მითითებებსა და ციტატებს ახალი ჩარჩოს შესაბამისად,
ან მითითებებს იმის შესახებ, სადაც კონცეპტუალური
ჩარჩოს სხვა ვერსია გამოიყენება.

2020 წლის 1 იანვარი

ცვლილებები ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება და ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და
ერთობლივ საწარმოებში (2011) დაკავშირებული
ინვესტორის მიერ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს
მიმართ რეალიზაციის ან ატივების სახით შენატანების
მოპყრობის შესახებ.

ეფექტური თარიღი ჯერ
განუსაზღვრელია.ადრეული
მიღება დასაშვებია

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებულ იქნება ჯგუფის საანგარიშო პოლიტიკებში პირველი პერიოდისთვის, ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.6 შვილობილი კომპანიები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
სს ნიკორა ტრეიდი	86.15	საქართველო	14 აგვისტო, 2006 წელი	საცალო გაყიდვა	22 დეკემბერი, 2009 წელი
შპს ნუგეში	100	საქართველო	18 ივნისი 2010, წელი	საცალო გაყიდვა	1 ივლისი, 2015 წელი
შპს ვაიკიჯვრის კალმახი	82.50	საქართველო	15 დეკემბერი, 1995 წელი	კალმახის ფერმა	13 ნოემბერი, 2006 წელი
შპს ოკეანე	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	თევზის წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს ინტრეიდი	100	საქართველო	19 სექტემბერი, 2007 წელი	დისტრიბუცია	19 სექტემბერი, 2007 წელი
შპს ინტრეიდი- ფოთი	100	საქართველო	3 ნოემბერი, 2004 წელი	დისტრიბუცია	3 ნოემბერი, 2004 წელი
შპს ნიკორა კახეთი	100	საქართველო	10 მარტი, 2006 წელი	დისტრიბუცია	10 მარტი, 2006 წელი
შპს პარტნიორი	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	დისტრიბუცია	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს მულტიტრეიდი	100	საქართველო	29 ივნისი, 2009 წელი	იმპორტი	29 ივნისი, 2009 წელი
შპს ნიკორა	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	ხორცის და ნახევარფაბრი კატების წარმოება	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს ნიკორა 7	100	საქართველო	15 მარტი, 2006 წელი	ხორცის წარმოება	15 მარტი, 2006 წელი
შპს ჩვენი ფერმერი	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	რძის პროდუქტების წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს მზარეული 1	100	საქართველო	5 ნოემბერი, 2004 წელი	პურპროდუქტ ების წარმოება	5 ნოემბერი, 2004 წელი
შპს კელინარი	50	საქართველო	5 ივლისი, 2015 წელი	ნახევარფაბრი კატების წარმოება	5 ივლისი, 2015 წელი
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100	საქართველო	25 ივლისი, 2009 წელი	ღვინის წარმოება	25 ივლისი, 2009 წელი
შპს ლაზი	67	საქართველო	4 დეკემბერი, 2014 წელი	საცალო გაყიდვა	4 დეკემბერი, 2014 წელი
შპს აჩინებული 2005	100	საქართველო	4 თებერვალი, 2005 წელი	არააქტიური	4 თებერვალი, 2005 წელი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს ნიკორა აგრო	100	საქართველო	11 მარტი, 2009 წელი	სოფლის მეურნეობა	11 მარტი, 2009 წელი
შპს კასპი	50	საქართველო	9 მარტი, 2010 წელი	არააქტიური	9 მარტი, 2010 წელი
შპს ცუცხვათი	100	საქართველო	7 მაისი, 2004 წელი	არააქტიური	7 მაისი, 2004 წელი
შპს ნიკორა ბაკურიანი	50	საქართველო	18 დეკემბერი, 2015 წელი	მშენებლობა	18 დეკემბერი, 2015 წელი
შპს ვებ ტრეიდი	100	საქართველო	13 ივნისი, 2016 წელი	ინტერნეტ მაღაზია	13 ივნისი, 2016 წელი
კრწანისი 14	100	საქართველო	27 ივლისი, 2018 წელი	არააქტიური	10 აგვისტო, 2018 წელი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
სს ნიკორა ტრეიდი	92.4	საქართველო	14 აგვისტო, 2006 წელი	საცალო გაყიდვა	22 დეკემბერი, 2009 წელი
შპს ნუგეში	100	საქართველო	18 ივნისი 2010, წელი	საცალო გაყიდვა	1 ივლისი, 2015 წელი
შპს ვაკიჯვრის კალმახი	82.50	საქართველო	15 დეკემბერი, 1995 წელი	კალმახის ფერმა	13 ნოემბერი, 2006 წელი
შპს ოკეანე	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	თევზის წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს ინტრეიდი	100	საქართველო	19 სექტემბერი, 2007 წელი	დისტრიბუცია	19 სექტემბერი, 2007 წელი
შპს ინტრეიდი- ფოთი	100	საქართველო	3 ნოემბერი, 2004 წელი	დისტრიბუცია	3 ნოემბერი, 2004 წელი
შპს ნიკორა კახეთი	100	საქართველო	10 მარტი, 2006 წელი	დისტრიბუცია	10 მარტი, 2006 წელი
შპს პარტნიორი	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	დისტრიბუცია	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს მულტიტრეიდი	100	საქართველო	29 ივნისი, 2009 წელი	იმპორტი	29 ივნისი, 2009 წელი
შპს ნიკორა	100	საქართველო	2 დეკემბერი, 2014 წელი	ხორცის და ნახევარფაბრიკა ტების წარმოება	2 დეკემბერი, 2014 წელი
შპს ნიკორა 7	100	საქართველო	15 მარტი, 2006 წელი	ხორცის წარმოება	15 მარტი, 2006 წელი
შპს ჩვენი ფერმერი	100	საქართველო	5 ივნისი, 2008 წელი	რძის პროდუქტების წარმოება	5 ივნისი, 2008 წელი
შპს მზარეული 1	100	საქართველო	5 ნოემბერი, 2004 წელი	პურპროდუქტები ს წარმოება	5 ნოემბერი, 2004 წელი
შპს კულინარი	50	საქართველო	5 ივლისი, 2015 წელი	ნახევარფაბრიკა ტების წარმოება	5 ივლისი, 2015 წელი

შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს ნაფარეულის ძველი მარანი	100	საქართველო	25 ივლისი, 2009 წელი	ღვინის წარმოება	25 ივლისი, 2009 წელი
შპს ლაზი	100	საქართველო	4 დეკემბერი, 2014 წელი	საცალო გაყიდვა	4 დეკემბერი, 2014 წელი
შპს აჩინებული 2005	100	საქართველო	4 თებერვალი, 2005 წელი	არააქტიური	4 თებერვალი, 2005 წელი
შპს ნიკორა აგრო	100	საქართველო	11 მარტი, 2009 წელი	სოფლის მეურნეობა	11 მარტი, 2009 წელი
შპს კასპი	50	საქართველო	9 მარტი, 2010 წელი	არააქტიური	9 მარტი, 2010 წელი
შპს ცუცხვათი	100	საქართველო	7 მაისი, 2004 წელი	არააქტიური	7 მაისი, 2004 წელი
შპს ნიკორა ბაკურიანი	50	საქართველო	18 დეკემბერი, 2015 წელი	მშენებლობა	18 დეკემბერი, 2015 წელი
შპს ვებ ტრეიდი	100	საქართველო	13 ივნისი, 2016 წელი	ინტერნეტ მაღაზია	13 ივნისი, 2016 წელი

2.7 ფინანსური ანგარიშგების ცვლილება

ჯგუფს შეაქვს ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში და ასწორებს წინა პერიოდის შეცდომებს, მათი აღმოჩენის შემდეგ რეტროსპექტულად ფინანსური ანგარიშგების თავდაპირველ ვერსიაში. ცვლილებების შეტანა ხდება შემდგენიარად: გადაანგარიშდება შესადარისი თანხები წინა პერიოდებისთვის, რომლებშიც მოხდა შეცდომა; ან თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ პერიოდში, ხდება აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ბალანსების ცვლილება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ისე თითქოს შეცდომის გასწორება მოხდა იმ პერიოდის განმავლობაში როდესაც ამის აუცილებლობა გაჩნდა. აქედან გამომდინარე, შესწორებული თანხის ოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში რომელშიც ის განხორციელდა.

ჯგუფმა ცვლილება შეიტანა ფინანსური ანგარიშგებაში რათა გაესწორებინა 2014 წლის ბოლოს შპს ლაზის შეძენასთან დაკავშირებული გუდვილის კალკულაციის დროს წარმოშობილი შეცდომები. კერძოდ, შპს ლაზის წმინდა აქტივები გადაჭარბებულად იქნება შეფასებული 333 ათასი ლარით, რის მიზეზსაც მარაგების და სხვა მოკლევადიანი აქტივების შეფასებაში დაშვებული შეცდომა წარმოადგენდა.

შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ შეცდომა, რომელმაც შვილობილის შეძენისას აღიარებული გუდვილის არასწორი შეფასება გამოიწვია, უნდა გასწორებულიყო შეძენილ წმინდა აქტივებში მისი წილის პროპორციულად (67%).

3 გუბალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის საწარმოები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, საწარმოთა გაერთიანებისას, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი რეალური ღირებულებით, არამაკონტროლებელი წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი ღირებულება აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების რეალურ ღირებულებას, აღიარდება როგორც გუდვილი. თუ შესყიდვის ღირებულება ნაკლებია ჯგუფის წილზე, შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, სხვაობის აღიარება ხდება პირდაპირ მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

არამაკონტროლებელი წილი არის წილობრივი მონაწილეობა შვილობილ კომპანიებში, რომელიც არ არის ჯგუფის მფლობელობაში. ანგარიშგების თარიღისთვის, არამაკონტროლებელის წილი წარმოადგენს არამაკონტროლებელი აქციონერების წილს შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, შესყიდვის თარიღისთვის, და შესყიდვის თარიღის შემდგომ, უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში. არამაკონტროლებელის მონაწილეობა წარმოდგენილია კაპიტალის მუხლებში. ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ოპერაციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ოპერაციები, და ნებისმიერი არარეალიზებული მოგება, რომელიც წარმოიქმნება შიდაჯგუფური ტრანზაქციებიდან ელიმინირებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მეკავშირე საწარმოებთან ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგებები ელიმინირებულია მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საპირისპიროდ.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი

მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.0701 (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი, ერთი ევრო 3.1044). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალებების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც

კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით აღებული შენობები ასევე ჩაირთვება ძირითადი საშუალებების შემადგენლობაში. ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება მოსალოდნელ სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშევა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა-ნაგებობები	- 30 წელი
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	- 5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	- 5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	- 5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	- 7-10 წელი
მიწა	- ცვეთა არ ერიცხება

3.4 გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც არ არის ინდივიდუალურად განსაზღვრული და დამოუკიდებლად აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილის გაუფასურების ტესტთან დაკავშირებული პროცედურების აღწერისთვის იხილეთ შენიშვნა 4.

3.5 არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ სასრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

სასრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც

არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

3.6 იჯარა

ბასს 17 იჯარის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულ უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად რომ, ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, მაგალითად ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა, შეესაბამება ჯგუფის მიერ იურიდიულად ფლობილ შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი წარმოადგენს მუდმივ პროპორციას, საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ და ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება გაწეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.7 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.8 მსხმოიარე ნარგავები

მსხმოიარე ნარგავი არის მცენარე, რომელიც (ა) გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაღებად, (ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწვეს ნაყოფს და (გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა.

მსხმოიარე ნარგავები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებსა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ, ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. მსხმოიარე ნარგავებს ცვეთა ერიცხებათ შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. მსხმოიარე ნარგავების სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 25 წელი.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წდება, როდესაც ის შესრუდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასების შესახებ იხილეთ ქვემოთ.

3.9.1 ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფმა მიიღო ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, გამოშვებული 2014 წლის ივლისში, რომელიც ეფექტური იყო 2018 წლის 1 იანვრისთვის და ამ თარიღის შემდგომი სააღრიცხვო წლისთვის. ფასს 9-ის მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბასს 39-ისგან ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტის მიხედვით მნიშვნელოვნად იცლება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის ზოგიერთი ასპექტები.

ფასს 9 მოიცავს ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ახალ მოთხოვნებსაც. ახალი მოთხოვნები გულისხმობს ჰეჯირების აღრიცხვის მეთოდის დაახლოებას რისკების მართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან, ჰეჯირებულ საგნებსა და ჰეჯირების ინსტრუმენტებზე არსებული უფლების ზრდით და ჰეჯირების ეფექტიანობის შეფასებისას უფრო მეტად პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

სასესიო ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL :

- ჯგუფი ფლობს აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია მიიღოს აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და შემდგომ გაყიდოს;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

კაპიტალში წილობრივი ინვესტიციებისთვის, რომლის ფლობის მიზანი არ არის გაჭრობა, ჯგუფს შეუძლია რეალური ღირებულებით ასახვის შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფმა შეიძლება, ფინანსური აქტივი, შემდგომში შეუცვლელობის პირობით, განსაზღვროს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით როგორც სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარების კრიტერიუმებს, თუ ამით გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეუსაბამობას, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა.

ბიზნეს მოდელის შეფასება:

ჯგუფი აფასებს ბიზნესოდელობის, რომელშიც აქტივები ფლობილია პორტფელის ღონეზე, მიზანს რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს, იმას თუ როგორ ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის.

საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეფასება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირის და სარგებლის გადახდას:

შეფასების მიზნებისთვის, “ძირი” განიმარტება როგორც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება. სარგებელი კი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

იმის განსაზღვრისას საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და სარგებლის გადახდებს გულისხმობს თუ არა, ჯგუფი ითვალისწინებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ კონტრაქტის პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის განსაზღვრას, ფინანსური აქტივი დაკავშირებულია თუ არა ისეთ საკონტრაქტო პირობასთან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების პერიოდისა და თანხის ოდენობის ცვლილებას.

რეკლასიფიკაცია:

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება:

ჯგუფი ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ გაუსაფურების ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით და გაცემული ვალდებულებითი პირობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ჯგუფმა გაუფასურების ზარალის რეზერი ყოველთვის უნდა შეაფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც ზარალის რეზერვი უნდა შეფასდეს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე. მათი შეფასება ხდება შემდეგნაირად:

- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც არ არის გაუფასურებული ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (ე.ი. სხვობა ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელოდა).
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც გაუფასურებულია ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.
- აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის: როგორც სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც ჯგუფისთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მთლობელი სესხს აითვისებს და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელოდა, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი აფასებს გაუფასურებულია თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ იმ მოვლენათაგან, რომელიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ერთი ან რამდენიმე მაინც მოხდა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. ჯგუფი იყენებს რეზერვის შექმნის მოდელს და საშუალო საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევს, როგორც ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების მართვის საკეთესო საშუალებას.

ჩამოწერა:

ჯგუფმა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს (ნაწილობრივ ან მთლიანად), თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი ანაზღაურდება. ეს ჩვეულებრივ იმ შემთხვევაშია, როცა ჯგუფმა ამოწურა ყველა იურიდიული ძალისხმევა ფინანსური აქტივის აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას რათა შესრულდეს ჯგუფის მიერ აღნიშნული თანხების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები.

გაუფასურების წარდგენა:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის ღირებულება აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ფასს-ზე გადასვლა :

ფასს 9-ზე გადასვლისას, ჯგუფს საშუალება აქვს არ გადაინაგარიშოს წინა წლის მონაცემები. ფასს 9-ზე გადასვლის შედეგად წარმოშობილი სხვაობები დაკავშირებული კლასიფიკაციასთან, შეფასებასთან და გაუფასურებასთან აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის: თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და შემთხვევების გათვალისწინების საფუძველზე გაკეთდა შემდეგი შეფასებები:

- ბიზნესმოდელის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს.

თუ ფინანსურ აქტივს ჰქონდა დაბალი საკრედიტო რისკი ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, მაშინ ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

ფასს 9-ის გამოყენებას ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჯერ არ მოუხდენია.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივის სამ პრინციპულ კლასიფიკაციას: შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით, შეფასებას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დამოკიდებულია იმ ბიზნესმოდელზე, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივს ფლობს. ფასს 9 გამორიცხავს ბასს 39-ის მიხედვით განსაზღვრულ კატეგორიებს დაფარვის ვადების, სესხების და მოთხოვნების და გასაყიდად გამიზნული აქტივების კლასიფიკაციით. ამასთან ფასს 9 დიდწილად ინარჩუნებს ბასს 39-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი და მასთან დაკავშირებული შენიშვნები ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცალკეული კლასისთვის განსაზღვრულ კატეგორიებს ბასს 39-ის და ფასს 9-ის შესაბამისად 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის.

ათასი ლარი	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	14,256	14,256
ფული და მისი ექვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	10,734	10,734
სულ ფინანსური აქტივები			24,990	24,990
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	39,926	39,926
ობლიგაციები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	38,934	38,934
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	56,072	56,072
სულ ფინანსური ვალდებულებები			134,932	134,932

ფასს 9-ის მიღებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის, ფასს 9-ზე გადასვლისას გაუფასურების ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ფასს 9-ზე გადასვლას გავლენა არ მოუხდენია რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების საწყის ღირებულებებზე.

3.9.2 ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

3.9.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთობლივი განხორციელების შესახებ.

3.10 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

გუდვილის გაუფასურება

გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც მენეჯმენტი ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტს გადის წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე პირველ რიგში ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომლიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აღაბრებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.11 კაპიტალი

სააქციო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

საემისიო კაპიტალი წარმოადგენს აქციების გამოშვებისას აქციის ნომინალურ ღირებულებაზე ზემოთ გაყიდვის შედეგად მიღებულ თანხებს. აქციების გამოშვებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯები აკლდება საემისიო კაპიტალს.

სააქციო კაპიტალი მოიცავს არაგამოსყიდვად პრივილეგირებულ აქციებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ აქციებისათვის გადასახდელი დივიდენდების ოდენობა განისაზღვრება ემიტენტის შეხედულებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აღირიცხება ვალდებულებად.

სახაზინო აქციები მოიცავს საკუთარ შეძენილ ჩვეულებრივ აქციებს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია ჯგუფის მფლობელებთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მფლობელების რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.12 ანარიცხები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთვლელი რესურსების გასვლა. როდესაც ევექტი არსებითია, ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც

მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების შესასრულებლად, დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთს, რომელშიც გათვალისწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

3.13 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

ცვლილებები მოგების გადასახადში, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1-ლი იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები დაკავშირებულია საწარმოთა მოგების გადასახადის ახალი მოდელის შემოღებასთან.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრავს ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.14 საანგარიშგებო სეგმენტები

ჯგუფი იმართება როგორც ერთიანი ბიზნესი, ამიტომ ჯგუფი არ გამოყოფს მის შიგნით ცალკე სეგმენტებს, როგორც ამას ფასს 8 განსაზღვრავს. მმართველი ხელმძღვანელობა აანალიზებს საოპერაციო საქმიანობას, ფინანსურ შედეგებს, პროგნოზებს და გეგმებს მთელი ჯგუფისთვის ერთობლივად, ნაცვლად ჯგუფის ბიზნესის ცალკეული სეგმენტებისთვის. აქედან გამომდინარე მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ გამოიყენება ცალკე წარსადგენი სეგმენტები და შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

3.15 შემოსავლის აღიარება

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია

2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

ჯგუფი აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულებას. ანალოგიურად, თუ ჯგუფი დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, ჯგუფი აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

ჯგუფის საცალო გაყიდვების მიმართულება ასორციელებს ერთგული მომხმარებლის წამახალისებელ პროგრამას. ნიკორას სუპერმარკეტების მომხმარებლებს სთავაზობენ ე.წ. “ბონუს ბარათებს”. ნიკორას სუპერმარკეტში დახარჯულ ყოველ 10 ლარზე ბარათის მფლობელებს საშუალება აქვთ დააგროვონ 10 ბონუს ქულა. 100 ბონუს ქულა შეესაბამება 1 ლარს, რომლითაც ბარათის მფლობელს მომავალში ნიკორას სუპერმარკეტში ნებისმიერი პროდუქტის შეძენის საშუალება აქვს. მოცემული ქულები წარმოადგენს ვალდებულებას ჯგუფისთვის, რადგან ისინი მომხმარებლებს იმ უფლებით უზრუნველყოფენ, რაც მათ მანამდე არ ჰქონდათ. გამოუყენებელი ქულები 2 წლის განმავლობაში მათი არააქტიურობის საფუძველზე უქმდება. ტრანზაქციასთან დაკავშირებული გასაყიდი ფასი იყოფა უფლებად და ვალდებულებად, კონტრაქტში დაფიქსირებული ცალკეული გასაყიდი ფასის საფუძველზე. შემოსავალი აღნიშნული უფლებიდან აღიარდება ბონუს ქულების განადგურებისა და მათი მოქმედების ვადას შორის ადრეული თარიღით.

ფასს 15-ის მიღების ზეგავლენა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე

თავდაპირველად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ბონუს ქულებთან დაკავშირებული ვალდებულების საფუძველზე ჯგუფი აღიარებდა რეზერვს ბონუს ბარათების გამოყენებაზე დაყრდნობით, ხოლო რეზერვის ცვლილებას ასახავდა აღმინისტრაციულ ხარჯებში.

ფასს-ის მიღების შემდეგ ჯგუფი აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას მიღებული თანხების საფუძველზე რომელიც დაკავშირებულია შესასრულებელ ვალდებულებასთან (მსგავსად “ბონუს ბარათების რეზერვის”) და აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შემოსავალი აღიარდება მხოლოდ ვალდებულებისთვის, რაც ასევე სრულდება.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს მატერიალური გავლენა საწყის განუზღოვრებელ მოგებასა და შემოსავლების ოდენობაზე, რადგან აღნიშნული უმეტესად გულისხმობს ცვლილებებს პრეზენტაციის თვალსაზრისით. ხელმძღვანელობის მიერ არ გატარებულა არანაირი კორექტირება მანამდე წარდგენილ ციფრებთან მიმართებაში ფასს 15-ზე გადასვლასთან დაკავშირებით, რადგან აღნიშნული ცვლილება არამატერიალურად იქნა მიჩნეული.

3.16 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალილიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ეკვივალენტები უფრო მეტად გამოიხატება მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. ჯგუფის მიერ

ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლიადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4 გუდვილი

გუდვილის წმინდა საბალანსო ღირებულებაში მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
მთლიანი საბალანსო ღირებულება		
ბალანსი წლის დასაწყისისთვის	43,618	43,618
შეძენილი საწარმოთა გაერთიანების გზით	-	-
ბალანსი წლის ბოლოსთვის	43,618	43,618
აკუმულირებული გაუფასურება		
ბალანსი წლის დასაწყისისთვის	-	-
გაუფასურების ზარალი	-	-
ბალანსი წლის ბოლოსთვის	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	43,618	43,618

გაუფასურების ტესტი

გუდვილის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაერდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია მენეჯმენტის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება შეადგენს 51,596 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 51,492 ათასი ლარი).

აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დათვლილია დისკონტირების შესაბამისი განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და ჯგუფთან დაკავშირებულ რისკებს.

ზრდის განაკვეთი

ზრდის განაკვეთი ასახავს გრძელვადიან საშუალო ზრდის განაკვეთს პროდუქციის ხაზისთვის და ჯგუფის საქმიანობის სფეროსთვის. ზრდის საშუალო წლიური განაკვეთი არის 4% (2017 წლის 31 დეკემბერი: 4%)

დისკონტირების განაკვეთი

დისკონტირების განაკვეთი ითვალისწინებს საბაზრო რისკისა და ჯგუფისთვის დამახასიათებელ სპეციფიკური რისკ ფაქტორების შესაბამის კორექტირებებს. დისკონტირების განაკვეთი არის 17.81% (2017 წლის 31 დეკემბერი: 15.08%).

ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებული დაშვებები

ხელმძღვანელობის მთავარი მისია მოიცავს სტაბილური მოგების მარჟის შენარჩუნებას, რაც დაფუძნებულია წინა წლების საბაზრო გამოცდილებაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს საუკეთესო შესაძლო მიდგომაა პროგნოზების გასაკეთებლად. ფულადი ნაკადების პროგნოზი ასახავს სტაბილურ მოგების მარჟას, რომელიც მიღწეულია უშუალოდ ბიუჯეტირებამდე. არანაირი მოსალოდნელი ევექტურობის გაუმჯობესება არ არის აღრიცხული და ფასები და ხელფასები ასახავს საჯაროდ ხელმისაწვდომ საპროგნოზო ინფორმაციას ინფლაციის განაკვეთის შესახებ დარგში, რომელშიც ჯგუფი ოპერირებს.

ზემოთხსენებული აქტივის გამოყენების ღირებულების განსაზღვრის გარდა, ხელმძღვანელობა არცერთ ძირითად შეფასებაში მნიშვნელოვან ცვლილებას არ მოელოდა. თუმცა თუ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი 1%-ით გაიზრდება, მაშინ გუდვილის აღდგენადი ღირებულება იქნება 48,630 ათასი ლარი.

5 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარე ბი და აღჭურვილ ობა	ოფისის აღჭურვილ ობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა	სულ
ღირებულება (გადაფასებული მიწა და შენობები)									
2017 წლის 1 იანვარი	8,035	26,487	44,257	11,991	5,342	5,430	-	1,178	102,720
შემოსვლა	25	1,433	4,569	2,776	1,801	1,410	997	84	13,095
გასვლა	(13)	(724)	(1,528)	(173)	(270)	(568)	-	(2)	(3,278)
შიდა მოძრაობა	-	-	133	99	-	-	(232)	-	-
გადაფასების ნამეტი	1,849	1,602	-	-	-	-	-	-	3,451
2017 წლის 31 დეკემბერი	9,896	28,798	47,431	14,693	6,873	6,272	765	1,260	115,988
შემოსვლა	533	8,074	20,020	6,920	4,578	1,636	2,592	121	44,474
გასვლა	-	-	(1,583)	(461)	(112)	(368)	(53)	(227)	(2,804)
შიდა მოძრაობა	-	-	2,113	115	119	-	(2,347)	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	10,429	36,872	67,981	21,267	11,458	7,540	957	1,154	157,658
<i>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</i>									
2017 წლის 1 იანვარი	-	436	25,761	4,721	998	2,984	-	532	35,432
წლის ცვეთა	-	540	4,142	1,522	633	604	-	79	7,520
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(31)	(887)	(109)	(131)	(328)	-	-	(1,486)
გადაფასების ელიმინირება	-	(945)	-	-	-	-	-	-	(945)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	-	29,016	6,134	1,500	3,260	-	611	40,521
წლის ცვეთა	-	907	5,359	2,012	1,081	739	-	29	10,127
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	(1,064)	(338)	(35)	(290)	-	(66)	(1,793)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	907	33,311	7,808	2,546	3,709	-	574	48,855
<i>საბალანსო ღირებულება</i>									
2017 წლის 31 დეკემბერი	9,896	28,798	18,415	8,559	5,373	3,012	765	649	75,467
2018 წლის 31 დეკემბერი	10,429	35,965	34,670	13,459	8,912	3,831	957	580	108,803

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულება შეადგენს 98,881 ათას ლარს (2017: 75,467 ათასი ლარი) გამოყენებულია ჯგუფის სესხის უზრუნველყოფად.

მიწა და შენობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებული ღირებულება წარმოადგენს დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ განსაზღვრულ რეალურ ღირებულებას, ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად, თუ საბაზრო ფაქტორები მიანიშნებენ მნიშვნელოვან ცვლილებებზე რეალურ ღირებულებაში. ჯგუფის მიწა და შენობები ბოლოს შეფასებული იყო 2017 წლის 31 დეკემბრისთვის დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ. შეფასება მოხდა გასაყიდი შესაძარისი ფასების, თვითღირებულებით და შემოსავლების კაპიტალიზაციის მიდგომებით.

1,970 ათასი ლარის ცვეთა (2017 წლის 31 დეკემბერი: 1,856 ათასი ლარი) დარიცხულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე (შენიშვნა 15).

6 არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	პროგრამული უზრუნველყოფები	უფლებები	სხვა	სულ
თვითღირებულება				
2017 წლის 01 იანვარი	1,692	1,042	239	2,973
შემოსვლა	782	441	-	1,223
გასვლა	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	2,474	1,483	239	4,196
შემოსვლა	517	40	326	883
გასვლა	(34)	(45)	(239)	(320)
2018 წლის 31 დეკემბერი	2,955	1,478	326	4,761
დაგროვილი ცვეთა				
2017 წლის 01 იანვარი	501	282	39	822
წლის ცვეთა	238	199	7	444
გასვლის შედეგად ელიმინირებული	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	739	481	46	1,266
წლის ცვეთა	258	305	59	622
გასვლის შედეგად ელიმინირებული	(1)	(35)	-	(36)
2018 წლის 31 დეკემბერი	996	751	105	1,852
საბალანსო ღირებულება				
2017 წლის 31 დეკემბერი	1,735	1,002	193	2,930
2018 წლის 31 დეკემბერი	1,961	727	221	2,909

7 მარაგები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	33,314	23,771
მზა პროდუქცია	13,337	8,218
ნედლეული	6,479	6,495
დაუმთავრებელი წარმოება	2,183	1,474
გასაყიდად გამიზნული ბინები	400	3,403
სხვა მარაგები	2,603	2,285
მარაგის დანაკარგების რეზერვი	(440)	(595)
	<u>57,876</u>	<u>45,051</u>

ყველა მარაგი არის უზრუნველყოფილი ვალდებულებებისათვის.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	22,442	12,327
სხვა მოთხოვნები	831	1,929
	<u>23,273</u>	<u>14,256</u>

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით გონივრულ რეალურ ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების ამოღების პერიოდი შეადგენს დაახლოებით 30-90 დღეს. სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი. ჯგუფს არ მიაჩნია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე ანარიცხის შექმნის საჭიროება, რადგან ისტორიულად არ დამდგარა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შედეგი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დენომინირებული ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საბანკო ანგარიშები	1,332	9,139
ნაღდი ფული საღაროში	1,843	1,595
	<u>3,175</u>	<u>10,734</u>

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე დენომინირებული ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 22-ში.

10 კაპიტალი და რეზერვები

10.1 სააქციო კაპიტალი

აქციონერები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი / არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლება %	კაპიტალი ლარში
სუხიაშვილი					
ვასილი	1,876,471	ჩვეულებრივი	7.47	29.00	1,876,471
სს ნიკორა	1,294,118	ჩვეულებრივი	5.28	20.50	1,294,118
გუბანოვი ოლეგი	1,035,293	ჩვეულებრივი	4.12	16.00	1,035,293
დუმბაძე დავითი	711,765	ჩვეულებრივი	2.83	11.00	711,765
ცირეკიძე თაღიკო	582,353	ჩვეულებრივი	2.32	9.00	582,353
სალუქვაძე მაკა	420,588	ჩვეულებრივი	1.67	6.50	420,588
ცერცვაძე გურამი	323,529	ჩვეულებრივი	1.29	5.00	323,529
ნიკოლაიშვილი ირაკლი	194,118	ჩვეულებრივი	0.77	3.00	194,118
გალტ & თაგარტ PELICAN VENTURES COR	40	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	19.48	-	4,893,565
შპს პარკ კაპიტალი	20	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	10.71	-	2,692,200
შპს მავთივინი	8	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	8.09	-	2,031,600
ანაბიძე ალექსი	7	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	3.82	-	960,800
განეჩილაძე დავითი	7	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	3.33	-	836,325
გოჯიაშვილი ზურაბი	7	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	3.33	-	836,325
ვანნაძე გიორგი	6	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	3.33	-	836,325
მახიაშვილი არჩილი	6	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	2.04	-	512,025
ჯოხაძე გონა	6	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	1.98	-	498,060
ამბროლაძე მურმანი	4	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	2.71	-	681,960
ბოქოლიშვილი ირაკლი	4	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	1.32	-	332,040
დუმბაძე დავითი	4	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	1.79	-	450,420
ემუხვარი თამარი	4	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	1.32	-	331,100
ლომაია ირაკლი	4	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	1.83	-	458,640
ცერცვაძე გურამი	4	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	1.93	-	485,025
ცერცვაძე კეა	3	პრივილეგირებული არაგამოსყიდვადი	1.79	-	450,420
		პრივილეგირებული	1.38	-	347,865

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

აქციონერი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი / არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლება %	კაპიტალი ლარში
სუხიაშვილი ვასილი	2	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.95	-	238,760
ცაავა დავითი	2	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.90	-	225,210
გვაზავა ოთარი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.48	-	119,380
კიკნაძე ნოდარი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.50	-	124,515
ნარეშელაშვილი ირაკლი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.47	-	117,405
ნიკოლაიშვილი ირაკლი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.45	-	112,605
გვაზავა ოთარი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.33	-	83,190
სს ნიკორა	36	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	-	-	-
	6,470,787		100	100	25,126,348

აქციონერები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლება %	კაპიტალი ლარში
სუხიაშვილი ვასილი	1,876,471	ჩვეულებრივი	6.0	29.00	1,876,471
სს ნიკორა	1,294,118	ჩვეულებრივი	4.14	20.00	1,294,118
გუბანოვი ოლეგი	1,035,293	ჩვეულებრივი	3.31	16.00	1,035,293
დუმბაძე დავითი	711,765	ჩვეულებრივი	2.28	11.00	711,765
ცირეკიძე თალიკო	582,353	ჩვეულებრივი	1.86	9.00	582,353
სალუქვაძე მაკა	452,941	ჩვეულებრივი	1.45	7.00	452,941
ცერცვაძე გურამი	323,529	ჩვეულებრივი	1.04	5.00	323,529
ნიკოლაიშვილი ირაკლი	194,118	ჩვეულებრივი	0.62	3.00	194,118
სუხიაშვილი ვასილი	40	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	15.28	-	4,775,200
PELICAN VENTURES CORP	20	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	8.61	-	2,692,200
ცერცვაძე გურამი	20	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	7.20	-	2,252,100
ბოქოლიშვილი ირაკლი	20	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	7.20	-	2,252,100
შპს პარკ კაპიტალი	20	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	6.50	-	2,031,600
ნიკოლაიშვილი ირაკლი	17	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	6.12	-	1,914,285
ნიჟარაძე ტარასი	10	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	2.66	-	830,100
შპს აგრეინი	8	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	3.07	-	960,800

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

აქციონერი	აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი/არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	წილი %	ხმის უფლება %	კაპიტალი ლარში
ანნაბიძე ალექსი	7	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	2.68	-	836,325
განჩილაძე დავითი	7	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	2.68	-	836,325
გოჯიაშვილი ზურაბი	7	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	2.68	-	836,325
მაზიაშვილი არჩილი	6	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.59	-	498,060
ვანაძე გიორგი	6	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.64	-	512,025
ჯოხაძე გონა	6	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	2.18	-	681,960
ღუმბაძე დავითი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.06	-	331,100
ფინსაია თამარი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.55	-	485,025
ემუხვარი თამარ	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.47	-	458,640
ამბროლაძე მურმანი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.06	-	332,040
გუბანოვი ოლედი	4	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	1.27	-	397,685
ცაავა დავითი	2	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.72	-	225,210
მელაძე გოდერძი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.27	-	83,010
ვადაჩკორია დავითი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.39	-	120,520
ჯანჯღავა ივანე	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.27	-	83,190
ნარეშელაშვილი ირაკლი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.38	-	117,405
კიკნაძე ნოდარი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.40	-	124,515
გვაზავა ოთარი	1	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	0.38	-	119,380
სს ნიკორა	36	არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული	-	-	-
	6,470,846		100	100	31,257,713

ჯგუფის სათაო კომპანიის, სს ნიკორას, სააქციო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 6,470,588 ცალ ჩვეულებრივ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 199 ცალ პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით, სულ სააქციო კაპიტალი შეადგენს 25,126 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 31,258 ათასი ლარი).

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

10.2 გაგოსყიდული საკუთარი აქციები

ჯგუფს გამოისყიდული აქვს 1,326 საკუთარი ჩვეულებრივი აქცია, რომლებიც აღრიცხულია მთლიანი ნომინალური ღირებულებით 1,326 ათასი ლარი. (31 დეკემბერი,

2017: 1,294 ათასი ლარი). საკუთარი აქციების გამოსყიდვის დროს გადახდილ თანხასა და ნომინალურ ღირებულებას შორის არსებული სხვაობა აღირიცხა იმ პერიოდის გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც აქციები გამოსყიდულ იქნა.

10.3 დივიდენდები

2018 წელს, ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მფლობელებზე გამოცხადდა 5,909 ათასი ლარის დივიდენდი. 2017 წელს ჩვეულებრივ და პრივილეგირებულ აქციებზე გამოცხადებული დივიდენდების ოდენობა იყო 8,299 ათასი ლარი.

10.4 გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი წარმოიშვა მიწის და შენობების გადაფასების შედეგად. ბოლო გადაფასება განხორციელდა 2017 წლის 31 დეკემბრისთვის.

11 სესხები

ათასი ლარი

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საბანკო სესხები	22,209	25,800	20,434	14,126
ოვერდრაფტი	-	-	-	-
	22,209	25,800	20,434	14,126

საბანკო სესხები არის 1-დან 6 წლამდე ვადიანობის და აქვთ საშუალოდ წლიური 10% ცვლადი განაკვეთი, რომელიც მიბმულია საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე და 6 თვიანი აშშ დოლარის LIBOR-ზე. (2017: 11% წლიური ცვლადი განაკვეთი).

საბანკო სესხები აღებულია გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით.

საბანკო სესხების რეალური ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

საპროცენტო და საკურსო განაკვეთების ცვლილების გავლენა ჯგუფზე იხილეთ შენიშვნა 22-ში.

12 ობლიგაციები

2017 წლის 28 ივნისს, საბროკერო კომპანია შპს “თიბისი კაპიტალმა”, როგორც საბროკერო აგენტმა, სს “ნიკორასთვის” გამოუშვა 10 მილიონი დოლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 9% (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის 9.74%) და ვადიანობა შეადგენს 2 წელს. პროცენტის გადახდა წარმოებს კვარტალურად.

2018 წლის 18 მარტს სს ნიკორა ტრეიდის მიერ შესრულებულ იქნა ვალდებულებები ობლიგაციების მფლობელების მიმართ არსებული 13,274 ათასი ლარის ოდენობით.

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

2018 წლის 6 აგვისტოს, საბროკერო კომპანია შპს “თიბისი კაპიტალმა”, როგორც საბროკერო აგენტმა, გამოუშვა სს ნიკორა ტრეიდისთვის 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 11% (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11.50%) და 3 წელში ეწურება ვადა. პროცენტის გადახდა წარმოებს კვარტლურად “შეთავაზების მიმოხილვაში” მითითებულ თარიღებში. ქვედა ცხრილი წარადგენს ობლიგაციებზე ფინანსურ ინფორმაციას:

ათასი ლარი	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ობლიგაციების ძირი	26,696	13,137	25,000	25,660
საპროცენტო გადასახდელები	161	137	-	-
ობლიგაციებზე	<u>26,857</u>	<u>13,274</u>	<u>25,000</u>	<u>25,660</u>

წლის განმავლობაში მოძრაობა:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბალანსი წლის დასაწყისში	38,934	13,410
ობლიგაციების გამოშვება	25,000	24,037
დარიცხული პროცენტი	4,124	2,542
გადახდილი პროცენტი	(3,763)	(2,509)
გადახდილი ძირი	(12,540)	-
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	102	1,454
ბალანსი წლის ბოლოს	<u>51,857</u>	<u>38,934</u>

სს ნიკორა ტრეიდის ობლიგაციების კონტრაქტი ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებას. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გვაქვს შემდეგი 3 ფინანსური შემზღუდველი პირობა:

- 1) Debt/EBITDA- კოეფიციენტი არ უნდა შეადგინოს 3.5-ზე მეტი 2018 წლის შედეგების მიხედვით.
- 2) ICR კოეფიციენტი არ უნდა იყოს 2.5-ზე ნაკლები 2018 წლის შედეგების საფუძველზე
- 3) DSCR კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1.1-ზე ნაკლები 2018 წლის შედეგების საფუძველზე

კოეფიციენტები იანგარიშება სს ნიკორა ტრეიდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის სს ნიკორა ტრეიდი აკმაყოფილებს 2 შემზღუდველ პირობას აღნიშნული სამიდან.

ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია გარკვეული შეზღუდვები დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებით სს ნიკორა ტრეიდისთვის.

ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	66,379	42,817
მიღებული ავანსები	13,181	8,252
საგადასახადო ვალდებულებები	1,990	855
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	1,107	2,843
სხვა	455	1,305
	<u>83,112</u>	<u>56,072</u>

14 შემოსავალი

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	417,779	336,233
საიჯარო შემოსავალი	73	22
	<u>417,852</u>	<u>336,255</u>

15 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გაყიდული საქონლის შესყიდვის ხარჯები	203,484	146,348
პირდაპირი მასალები	73,946	72,316
თანამშრომელთა ხელფასი	5,694	6,798
ცვმთა	1,970	1,856
კომუნალური ხარჯი	1,636	1,800
იჯარა	889	1,295
დამატებითი მასალები	779	753
რემონტი	491	408
ტრანსპორტირება	14	19
რეალიზაციის სხვა ხარჯები	625	298
	<u>289,528</u>	<u>231,891</u>

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვის ღირებულებას, აგრეთვე ნედლეულის ღირებულებას, რომელიც გამოიყენება სურსათის პროდუქტების საკუთარ წარმოებაში. აგრეთვე მოიცავს წარმოების მუშაკების

ხელფასებს, ქარხნის შენობის და საკვების გადამამუშავებელი მანქანა-დანადგარების ცვეთას, საწარმოო აქტივების რემონტის ხარჯებს და სხვა ხარჯებს რომლებიც საჭიროა გასაყიდი პროდუქციის საწარმოებლად.

16 გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი

გაყიდვების და მარკეტინგის დანახარჯები მოიცავს მაღაზიის კონსულტანტების, მოლარეების და სავაჭრო მაღაზიის სხვა თანამშრომლების ხელფასს, აგრეთვე მარკეტინგისა და დისტრიბუციის თანამშრომლების ხელფასს. გაყიდვებისა და მარკეტინგის დანახარჯები აგრეთვე მოიცავს სავაჭრო მაღაზიის შენობების, თაროების, მაცივრებისა და მაღაზიის სხვა აღჭურვილობის, სადისტრიბუციო მანქანების ცვეთასა და სხვა გაყიდვასთან, მარკეტინგთან და დისტრიბუციასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
იჯარის ხარჯები	17,600	17,199
თანამშრომელთა ხელფასი	19,976	15,747
მარკეტინგის ხარჯები	13,571	11,539
ცვეთის ხარჯები	4,887	3,033
დისტრიბუცია	3,113	2,845
	59,147	50,363

17 აღმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა ხელფასი	23,598	17,971
მარაგების ჩამოწერის ზარალი	7,984	4,753
ცვეთა და ამორტიზაცია	3,960	3,108
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	2,357	1,583
რემონტი	2,109	926
საოფისე ხარჯი	1,816	1,266
საბანკო ხარჯი	1,564	1,282
კომუნალური ხარჯი	730	501
იჯარის ხარჯი	546	614
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	420	407
	45,084	32,411

18 ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	4,401	5,318
საპროცენტო ხარჯები ობლიგაციებზე	4,124	2,542
	8,525	7,860

19 სხვა ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან:		
ფული და მოთხოვნები	(16)	2,978
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული	(2,867)	(4,904)
	(2,883)	(1,926)

20 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითარებასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონიერულად მიიჩნევა. ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, რომ შეესაბამებოდეს მიმდინარე სიტუაციას.

20.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფი შეფასებებს და დაშვებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალური შედეგებისგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროების მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

მენეჯმენტს შეაფასებული აქვს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

გადაფასების მოდელით აღრიცხული ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება

ჯგუფის მიწა და შენობები აღრიცხულია რეალური ღირებულებით. ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება გამოყვანილია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის ანგარიშის საფუძველზე, რომელმაც გადააფასა აღნიშნული აქტივები. გადაფასება მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს. ამდენად, ჯგუფის ძირითადი საშუალებების ფაქტიური რეალური ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ღირებულებებისგან.

უიმედო ვალი

ჯგუფი აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

საბაზრო საპროცენტო განაკვეთი

მენეჯმენტმა ჯგუფის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

20.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საერთო მოგების მარჯა გააგრძელებს ზრდას და მიაღწევს განსაზღვრულ მნიშვნელობას. ეს ვარაუდი ეფუძნება ჯგუფის ძლიერ საბაზრო პოზიციას.

21 ფინანსური ინსტრუმენტები

21.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და მეთოდების დეტალები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

21.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებაში წარმოდგენილია შემდეგი კატეგორიის აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სესხები და მოთხოვნები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23,273	14,256
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	3,175	10,734
	26,447	24,990

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული:		
სესხები	42,643	39,926
ობლიგაციები	51,857	38,934
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	69,477	46,515
	163,977	125,375
წმინდა პოზიცია	(138,360)	(100,385)

22 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. ჯგუფის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფი არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო რისკისაგან და საპროცენტო განაკვეთის რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ჯგუფის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია ჯგუფის სესხებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს ჯგუფის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით.

მუხლი

2018 წლის 31 დეკემბერი

	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	234	85
ფული და ფულის ექვივალენტები	2	-
	<u>236</u>	<u>85</u>
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
ობლიგაციები	26,696	-
სესხები	19,941	2,611
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,687	3,988
	<u>49,324</u>	<u>6,599</u>
წმინდა პოზიცია	<u>(49,088)</u>	<u>(6,514)</u>

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

მუხლი

2017 წლის 31 დეკემბერი

	აშშ დოლარი	ევრო
<i>ფინანსური აქტივები</i>		
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	316	38
ფული და ფულის ექვივალენტები	2,467	-
<i>სულ ფინანსური აქტივები</i>	<i>2,783</i>	<i>38</i>
<i>ფინანსური ვალდებულებები</i>		
სესხები	14,131	479
ობლიგაციები	38,934	-
საეჭრო და სხვა ვალდებულებები	11,445	12,418
<i>სულ ფინანსური ვალდებულებები</i>	<i>64,510</i>	<i>12,897</i>
წმინდა პოზიცია	(61,727)	(12,859)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ლარის დოლარის მიმართ 10% (2017: 10%) კლების და მატების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 10% (2017: 10%) არის მენეჯმენტის მიერ შეფასებული შესაძლო ცვლილება გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ მონეტარულ მუხლებს და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 10%-იანი (2017: 10%) ცვლილებით უცხოური ვალუტის განაკვეთში.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლართან მიმართებით 10% (2017: 10%)-ით მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018	2017	2018	2017
მოგება/ზარალი	4,909	6,173	651	1,286

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში, დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან და ნაშთებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს ჯგუფის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფს გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც ფიქსირებული, ასევე ცვალებადი განაკვეთით. ჯგუფის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით.

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთებზე გაიზრდებოდა/შემცირდებოდა, ძირითადად ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით, რომლებიც დამოკიდებულია LIBOR-ზე და ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე

ქვემოთ მოცემული ცხრილი აერთიანებს საშუალო საკონტრაქტო და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთებს:

2018	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	ეფექტური
ვალდებულებები		
<i>უზრუნველყოფილი საბანკო სესხები</i>		
ლარი	10.37%	11.03%
აშშ დოლარი	8.83%	9.31%
ევრო	7.40%	7.48%
ობლიგაციები		
აშშ დოლარი	11.00%	11.50%
ლარი	9.00%	9.74%

2017	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტი	ეფექტური
ვალდებულებები		
<i>უზრუნველყოფილი საბანკო სესხები</i>		
ლარი	12.00%	12.00%
აშშ დოლარი	9.00%	9.00%
ობლიგაციები		
აშშ დოლარი	10.00%	11.00%

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაქვად ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი გამოწვეულია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
მოთხოვნები	22,442	12,327
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,332	9,139
	<u>23,774</u>	<u>21,466</u>

ანგარიშგების წარდგენის თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში ძალზედ უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფი ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2018

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		10.70%	10.60%	
6 თვეზე ნაკლები	80,669	15,765	25,339	121,773
6 თვიდან 1 წლამდე	1,990	2,388	1,123	5,501
1-5 წლამდე	-	19,098	267	19,365
5 წელზე მეტი	-	59	102	161
	82,659	37,310	26,831	146,800

2017

	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (%)		12.00%	12.00%	
6 თვეზე ნაკლები	55,354	14,683	15,855	85,892
6 თვიდან 1 წლამდე	718	15,019	1,288	17,162
1-5 წლამდე	-	17,246	28,074	45,320
5 წელზე მეტი	-	2,448	830	3,278
	56,072	49,396	46,047	151,652

ჯგუფი ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

23 რეალური ღირებულება

ჯგუფი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ აღრიცხულია რეალური ღირებულებით და ამოსავალი მონაცემები 1-3 დონეებად იყოფა. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- 1-ლი დონე – რეალური ღირებულება განსაზღვრულია იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასებით (გაუკორექტირებელი);
- მე-2 დონე - რეალური ღირებულება განისაზღვრება მონაცემების საფუძველზე, გარდა 1-ლი დონის ფარგლებში კოტირებული ფასებისა, რომელიც აქტივებისა და ვალდებულებებისთვის დაკვირვებადია პირდაპირ (ანუ ფასები) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე); და
- მე-3 დონე – რეალური ღირებულება განისაზღვრება შეფასების ტექნიკაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ისეთ მონაცემებს, რომელიც არ არის დაფუძნებული დაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე, (არადაკვირვებადი მონაცემები).

23.1 ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფს არ გააჩნია ფინანსური აქტივები ან ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც რეგულარულ საფუძველზე ფასდება რეალური ღირებულებით.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება წარმოადგენს მათი რეალური ღირებულების მიხედვით მანქანებულს.

23.2 რეალური ღირებულებით აღრიცხული არაფინანსური აქტივები

ჯგუფის მიწა და შენობები აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით. მიწისა და შენობების რეალური ღირებულება შეფასებულია რეალური ღირებულების მე-3 დონის იერარქიის მიხედვით. ამ აქტივების რეალური ღირებულება შეფასებულია დამოუკიდებელი, პროფესიონალურად კვალიფიცირებული, სერტიფიცირებული ქონების შემფასებლების მიერ. მნიშვნელოვანი დამატებები და ვარაუდები განხილულია მენეჯმენტთან მჭიდრო კონსულტაციის შედეგად. დამატებითი ინფორმაცია განხილულია ქვემოთ:

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები	შეფასების თარიღი	ჯამი	აქტიურ ბაზარზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	დაკვირვებადი მონაცემები (მე-2 დონე)	არადაკვირვებადი მონაცემები (მე-3 დონე)
მიწა	2017 წლის 31 დეკემბერი	9,896	-	-	9,896
შენობები	2017 წლის 31 დეკემბერი	28,798	-	-	28,798

შეფასება განხორციელდა საბაზრო მიდგომების გამოყენებით. შეფასება ჩატარებულია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საბაზრო მიდგომა ასახავს ბოლო საბაზრო ოპერაციების შედეგად დაკვირვებად ფასებს მსგავს ქონებაზე და აერთიანებს კორექტირებებს მიწასთან დაკავშირებულ სპეციფიურ ფაქტორებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთის ზომა, ადგილმდებარეობა, შეზღუდვები და გამოყენების მიზანი.

მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემი კორექტირებულია მიწასთან და შენობებთან მიმართებით სპეციფიური საკითხებით. ამ კორექტირების მოცულობა და მიმართულება დამოკიდებულია დაკვირვებად ბაზარზე მსგავსი ტიპის ქონებასთან

დაკავშირებით განხორციელებულ ოპერაციების რაოდენობასა და მახასიათებლებზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების საწყის წერტილად. მიუხედავად იმისა, რომ ეს მონაცემები ეფუძნება სუბიექტურ განსჯას, მენეჯმენტი მიიჩნევს რომ საერთო შეფასებაზე არ ექნებოდა არსებითი გავლენა გონივრულად შესაძლო ალტერნატიულ დაშვებებს..

24 კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და აკუმულირებულ მოგებას და მოზიდულ სახსრებს, რომელიც მოიცავს სესხებს, განხილულს შენიშვნა 11-ში.

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გათვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც ჯგუფი კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	64,172	58,591
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(3,175)	(10,734)
კაპიტალი	60,997	47,857
მთლიანი კაპიტალი	64,172	58,591
სესხები	94,500	78,860
სრული მოზიდული სახსრები	158,672	137,451
კაპიტალის თანაფარდობა სრულ მოზიდულ სახსრებთან	0.38	0.35

25 გაუთვალისწინებელი გარემოებები

25.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს

ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება, ცენტალიზებული ეკონომიკის, რეგიონალურ არასტაბილურობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონეა.

იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. ეროვნული ვალუტის დამატებითი გაუფასურება იწვევს იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდას. არსებობს გაურკვეველობა მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვისა. ამ და სხვა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და ჯგუფის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გაურკვეველობაში ჩართული რიგი ცვლადები და ვარაუდები, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ ჯგუფის რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება ჯგუფის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

25.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფს ამ ეტაპზე დაზღვეული აქვს ავტობარკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ფარგლებში დაზღვეულია მესამე პირების მიმართ პასუხისმგებლობაც. ჯგუფს ასევე დაზღვეული აქვს უძრავი ქონება. ჯგუფი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

25.3 საგადასახადო

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლადობებით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანოსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

25.4 გარემოს დაცვა

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული ჯგუფის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფი აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

26 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად.

ათასი ლარი	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2018 წლის 01 იანვარი	14,126	25,800	39,926
ფულადი			
დარიცხული პროცენტი	3,450	951	4,401
გადახდები	(110,817)	(122,703)	(233,520)
სესხის აღება	138,503	91,881	230,384
არაფულადი			
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობებიდან	516	936	1,452
რეკლასიფიკაცია	(25,344)	25,344	-
2018 წლის 31 დეკემბერი	22,434	22,209	42,643

27 დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი სათაო და საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები და მმართველი ხელმძღვანელობა.

27.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

ჯგუფის უმსხვილეს აქციონერს წარმოადგენს ვასილ სუხიაშვილი, რომელიც ფლობს ჩვეულებრივი აქციების 29%-ს. ჯგუფს არ ჰყავს ერთი მაკონტროლირებული აქციონერი.

27.2 დაკავშირებულ მხარეებთან ბანსორციელებული ოპერაციები

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის
ოპერაციები		
აქციონერები		
დივიდენდები	(5,909)	(7,760)
პრივილეგირებული აქციების გამოშვება	-	-
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	(6,132)	(5,177)
	(12,041)	(12,937)

ათასი ლარი

ნაშთები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქციონერები		
გადასახდელი დივიდენდები	-	539
	-	539
არამაკონტროლებელი წილის მფლობელები		
გაცემული სესხები	144	143
	144	143

27.3 ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან ბანსორცილებული ოპერაციები

მმართველმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ანაზღაურებაში.

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის
ხელფასები და ბონუსები	2,909	2,847
	2,909	2,847

28 გადაანგარიშება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშების შესაღარის ინფორმაციაზე

ფინანსური ანგარიშების მომზადებისას ჯგუფის მენეჯმენტმა აღმოაჩინა რომ 2014 წელს შპს ლაზის შეძენისას აღიარებული გუდვილი არასწორია. თავდაპირველად გუდვილი დათვლილი იყო როგორც სხვაობა: (ა) გადახდილ ფულად სახსრებსა და (ბ) შპს ლაზის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის. მენეჯმენტის დასკვნით, შეძენის მომენტში შპს ლაზის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება გადაჭარბებულად იყო შეფასებული, რადგან მარაგები და სხვა მიმდინარე აქტივები რომლებიც უნდა ჩამოწერილიყო როგორც ხარჯები, არ იყო გათვალისწინებული შპს ლაზის სააღრიცხვო უწყისებში. ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ შეცდომა უმდა გასწორებულიყო, რაც გამოიწვევდა გუდვილის (და შესაბამისად გაუნაწილებელი მოგების) ზრდას 333 ათასი ლარით.

ათასი ლარი

	2017 წლის 1 იანვარი (კორექტირებამდე)	კორექტირება	2017 წლის 1 იანვარი (კორექტირების შემდეგ)
გუდვილი	43,285	333	43,618
გაუნაწილებელი მოგება	13,675	307	13,982
არამაკონტროლებელი წილი	2,379	26	2,405

29 განახლებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2019 წლის 30 მაისს აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდეგ, ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა გარკვეული კლასიფიკაციის უზუსტობები ანგარიშგებაში და გადაწყვიტა გამოეშვა განახლებული ანგარიშგება. ანგარიშგების განახლება მოხდა შემდეგის გამო:

ხელმძღვანელობამ გადახედა მიმდინარე და გრძელვადიანი სესხების კლასიფიკაციას და აღმოაჩინა, რომ ზოგიერთი არააუდირებული შვილობილი კომპანიის სესხის ბალანსები კლასიფიცირებული იყო როგორც გრძელვადიანი, ნაცვლად სესხების მოკლევადიანი ნაწილისა, ამიტომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ მომხარა მათი რეკლასიფიკაცია მოკლევადიან ვალდებულებებად. ჯგუფის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გამოეშვა განახლებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სწორად განაწილებული სესხის ბალანსებით. ამ ცვლილებას გავლენა არ ჰქონდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი სესხის ჯამურ ნაშთზე. ხელმძღვანელობამ ასევე შენიშნა, რომ კონსოლიდაციისას შიდაჯგუფური რეალიზაციების ტრანზაქციების ელიმინირება განხორციელდა მთლიანად საქონლის რეალიზაციის კატეგორიაზე, როდესაც ელიმინაციის ძირითადი ნაწილი უნდა ასახულიყო მომსახურებიდან შემოსავლების ხაზზე, რამდენადაც შიდაჯგუფური შემოსავლები ძირითადად იჯარებისა და მმართველობითი მომსახურებებისგან შედგება. ამ განახლებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შესაბამისად შეიცვალა 14-ე განმარტებით შენიშვნაში წარდგენილი შემოსავლების დაყოფა, თუმცა ამ ცვლილებას არავითარი გავლენა არ აქვს კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე, სადაც შემოსავლის ჯამური თანხაა წარდგენილი, რაც არ შეცვლილა.

სააქციო საზოგადოება ნიკორა



მმართველობის ანგარიშგება

2018 წელი

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორას“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე და წარმოადგენს ჯგუფის - სს „ნიკორას“ და მისი შვილობილი კომპანიების - კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

ირაკლი ბოქოლიშვილი

გენერალური დირექტორი
სს „ნიკორა“



ბესარიონ ფაჩუაშვილი

ფინანსური დირექტორი
სს „ნიკორა“



19.09.2019

შინაარსი:

1. საქმიანობის მიმოხილვა	4
1.1. ნიკორას შესახებ მოკლედ	4
1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია	5
1.3. ბრენდების მიმოხილვა	9
1.4. ჯილდოები	10
1.5. საოპერაციო გარემოს მიმოხილვა	11
1.5.1. ძირითადი ბაზრები	11
1.5.2. საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა	11
1.5.3. კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობა	12
1.6. ბიზნესი და ოპერაციები	16
1.6.1. ბიზნეს მოდელი	16
1.6.2. ბოლო პერიოდის ბიზნეს განვითარება	17
1.6.3. განვითარების სტრატეგია	19
1.7. ფინანსური ინფორმაცია	21
1.7.1. ფინანსური ანგარიშგებები	21
1.7.2. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა	26
1.7.3. აქციების გამოსყიდვა	29
1.7.4. კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა	30
1.8. ფინანსური რისკების მართვა	33
1.8.1. საბაზრო რისკი	33
1.8.2. საკრედიტო რისკი	34
1.8.3. ლიკვიდურობის რისკი	34
1.8.4. კაპიტალის რისკის მართვა	35
2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება	36
2.1. მმართველობის ორგანოები	36
2.1.1. პარტნიორთა საერთო კრება	36
2.1.2. სამეთვალყურეო საბჭო	38
2.1.3. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა	40
3. არაფინანსური ანგარიშგება	42
3.1. დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა	42
3.2. შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	46
3.3. საზოგადოებასთან ურთიერთობა	48
3.4. „კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები	51

1. საქმიანობის მიმოხილვა

1.1. ნიკორას შესახებ მოკლედ

კომპანია "ნიკორა" 1998 წელს ქართული კაპიტალით დაფუძნდა როგორც ხორცპროდუქტების მწარმოებელი კომპანია და უკვე 20 წელია კვების პროდუქტების ბაზრის უცვლელი ლიდერია. განვითარებისა და სტრატეგიული ინვესტიციების განხორციელების შედეგად, ამჟამად კომპანია წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს ჰოლდინგს (ჯგუფს), რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველაზე ფართო სუპერმარკეტების ქსელის მქონე კომპანიას და ხორცპროდუქტების, ნახევარფაბრიკატების, თევზეულის, რძის ნაწარმის, ნაყინის, პურ-ფუნთუშეულის, სალათების, გაყინული საკონდიტრო პროდუქციისა და ღვინის საწარმოებს, აგრეთვე კვების პროდუქტებისა და სასმელების იმპორტიორ კომპანიებს.

მუდმივი განვითარების, ხარისხის სტანდარტების ზრდის, მომხმარებელთა ლოიალურობის კვალობაზე „ნიკორა“ უკვე წლებია ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და ღირებული ბრენდი საქართველოში. ჯგუფის ყველაზე მსხვილი ბიზნეს მიმართულებებია: ხორცპროდუქტების წარმოება - უდავო ბაზრის ლიდერი საქართველოში და საცალო გაყიდვების სუპერმარკეტების ქსელი - რაოდენობის და ქვეყნის ტერიტორიაზე განშლადობის კუთხით ასევე ბაზრის ლიდერი. "ნიკორას" ბრენდის ქვეშ არსებული სუპერმარკეტების გარდა, ჰოლდინგის მფლობელობაშია "ნუგემის", "ლიბრესა" და "სანდის" სავაჭრო ობიექტები. კომპანია 500-მდე დასახელების პროდუქციის წარმოება-რეალიზებას ეწევა, თანამშრომლების რაოდენობა კი 6000-ს შეადგენს.

ჰოლდინგი ნიკორა - ძირითადი მაჩვენებლები

წლიური შედეგები ('000 ლ)	2017	2018	ცვლ.(%)
შემოსავალი რეალიზაციიდან	336,255	417,852	24.3
საერთო მოგება	104,364	128,324	23.0
საოპერაციო მოგება	19,774	23,319	17.9
წლის მოგება	4,928	6,986	41.8
აქტივები და ვალდებულებები ('000 ლ)	2017	2018	ცვლ.(%)
სულ აქტივები	194,128	241,885	24.6
სულ ვალდებულებები	135,537	177,713	31.1
სულ კაპიტალი	58,591	64,172	9.5
ფინანსური მაჩვენებლები	2017	2018	ცვლ.(%)
საერთო მოგების მარჟა (%)	31.0	30.7	(1.1)
მოგების მარჟა (%)	1.5	1.7	14.1
უკუგება კაპიტალზე (%)	9.3	11.4	22.5
სესხები/კაპიტალი	1.35	1.47	9.4
არაფინანსური მაჩვენებლები	2017	2018	ცვლ.(%)
დასაქმებულთა რაოდენობა	4,200	6,000	42.9
სავაჭრო ობიექტების რაოდენობა	216	265	22.7
გაყიდვების ფართობი (მ²)	25,774	36,625	42.1

1.2. კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

სს „ნიკორა“, როგორც ჰოლდინგი ამჟამად არის საქართველოს უდიდესი საკვების მწარმოებელი და საცალო მოვაჭრე. დაარსების პირველ წლებში, როგორც მცირე ზომის ხორცის გადამამუშავებელი კომპანია, იგი მომხმარებელს „ივერიას“ და „რძიანის“ ტიპის სოსისებს სთავაზობდა. პირველი მაღაზია 2000 წელს გაიხსნა და მომხმარებელს შესთავაზა მაღალი ხარისხის სოსისისა და ღორის დიდი ასორტიმენტი. კომპანიის პროდუქციამ მალევე მოიპოვა პოპულარობა, რის შედეგადაც დაიწყო მრავალწლიანი გაფართოების პროცესი. 2001 წელს „ნიკორამ“ დააარსა სადისტრიბუციო ქსელი. შემდგომი წლების განმავლობაში კომპანია გარდაიქმნა ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მოთამაშედ საკვების ინდუსტრიაში. ამჟამად „ნიკორა ჯგუფი“ არის ₾418 მილიონიანი ბრუნვის მქონე ბიზნესი, რომელშიც დასაქმებულია 6,000 თანამშრომელი და რომელიც მოიცავს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას. კომპანიის ხორცპროდუქტების მოიცავს 80-მდე სახეობას, მათ შორის ნედლად შებოლილ ხორცპროდუქტებს, რომელთა წარმოება მოითხოვს ღრმა ტექნოლოგიურ გამოცდილებას და ცოდნას. ნედლად შებოლილ ხორცპროდუქტების მხრივ „ნიკორა“ წლების განმავლობაში ერთადერთი მწარმოებელია საქართველოში. ჰოლდინგში შემავალი კომპანიები ასევე მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან ისეთ ბაზრებზე საქართველოში, როგორიცაა რძის პროდუქტების, პურ-ფუნთუშეულს, თევზეულისა და ზღვის პროდუქტების წარმოება, აგრეთვე სხვადასხვა საკვებისა და სასმელების იმპორტი და დისტრიბუცია.

1999 წელს ოპერაციების დაწყების შემდეგ „კომპანია“ აგრესიულად იზრდებოდა. „ნიკორა“ იყო პირველი ქართული მწარმოებელი, რომელმაც ნაწარმის გაყიდვა საკუთარ ქსელში დაიწყო 2000 წელს. 2001-2002 წლებში სწრაფმა ზრდამ საკუთარი სადისტრიბუციო ოპერაციების და სტაბილური მიწოდების ქონის აუცილებლობა შექმნა. ამის საპასუხოდ, „კომპანიამ“ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელი შექმნა და დაიწყო ინვესტიციები გაყიდვების არეალის გაფართოებაში. მომდევნო წელს კომპანია რძის და ზღვის პროდუქტების ბაზარზე შევიდა. გურიის სოფელ ვაკიჯვარში შეიქმნა საკალმახე მეურნეობა, რათა უზრუნველყო კომპანიის საწარმოო რესურსების სტაბილური მომარაგება. 2004 წელს „ნიკორა“ საკვების ნახევარფაბრიკატების ბაზარზე შევიდა და ნაყინის ბიზნესი წამოიწყო, ხოლო 2005 წლიდან დაიწყო საკვები პროდუქტების და სასმელების იმპორტი.


2008 წელს კომპანიამ მნიშვნელოვანი ეტაპი განვლო, როცა მან მოახდინა რძის და ზღვის პროდუქციის წარმატებული რებრენდინგი („ჩვენი ფერმერი“ და „ოკეანე“) და გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი ცომეული და გამომცხვარი პროდუქტებით.

„ნიკორა“ ასევე გახდა ერთ-ერთი პირველი ქართული კომპანია, რომელმაც მიიღო ISO 9001: 2008 და ISO 22000: 2005 (HACCP) სერტიფიკატები.


მომდევნო წლებში „კომპანია“ ახდენდა არსებული ბიზნეს-პლატფორმის ოპტიმიზაციას, აფართოებდა საცალო ქსელს და აუმჯობესებდა ეფექტიანობას. 2015 წელს კომპანიამ დაიწყო სალათების და ყველის წარმოება.

არსებობის განმავლობაში კომპანია აფართოებდა „ნიკორა ტრეიდის“ საცალო ვაჭრობის ქსელს. ეს ქსელი 2000 წელს გაჩნდა და თავდაპირველად თბილისში კომპანიის პროდუქციის გაყიდვით იყო დაკავებული. 2018 წლის ბოლოსთვის, ქსელში 265 მაღაზია შედის და 10,000-მდე სახეობის პროდუქტია იყიდება, მათ შორის, 500-ზე მეტი სახეობის პროდუქტი „ნიკორას“ წარმოებისაა.

განვითარების ძირითადი ეპიზოდები



ჰოლდინგის სტრუქტურა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:



სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს ღებულობს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ მიმართულებად შეიძლება დაიყოს: ა) კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, გამომცხვარი პროდუქციის, სალათების და ღვინის წარმოებას; საკვების წარმოებაში მონაწილეობენ შპს ნიკორა, შპს ნიკორა 7, შპს მზარეული 1, შპს ჩვენი ფერმერი, შპს კულინარი, შპს ვაკიჯვრის კალმახი, შპს ოკეანე და შპს ნაფარეულის ძველი მარანი; ბ) საცალო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება სს ნიკორა ტრეიდის მეშვეობით; გ) დისტრიბუცია, რომელსაც ახორციელებენ შპს პარტნიორი, შპს ნიკორა 7 და შპს ნიკორა კახეთი; დ) სასმელების და საწარმოო ნედლეულის იმპორტი, რასაც შპს ინტრეიდი და შპს მულტიტრეიდი ახორციელებენ.

შპს „ნიკორა“ – კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს, დელიკატესს, შებოლილ ქათამსა და ნეკნებს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით კომპანია აწარმოებს 50 სახეობის გაყიდულ პროდუქტს. ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების კერძებს.

შპს „ნიკორა 7“ - შპს ნიკორას მსგავსად წარმოადგენს ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების საწარმოს დასავლეთ საქართველოში.

შპს „ინტრეიდი“ – კომპანია ევროპის ქვეყნებიდან მაღალი ხარისხის ალკოჰოლური და გამაგრილებელი სასმელების იმპორტს აწარმოებს. “ როგორიცაა: „ჯუსი“, „პფანერი“, „ნატურალისი“, „ენერგია“ „ალოე“, ლუდები: Warsteiner, Grolsch, Pilsner Urquell, Gambrinus, Sol, New Castle, Murphy's, Radeberger, Jever, Schöfferhofer, DAB, Bud, არყები: Gradus, Хлебная, Parliament, Green Mark, Talka, დაბალ ალკოჰოლური სასმელი Shake, ასევე სნეკები Peyman და სხვა.

შპს „მულტიტრეიდი“ – კომპანია ახორციელებს ნედლეულის იმპორტს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის, როგორც გარე ბაზარზე გასაყიდად, ასევე შპს „ნიკორასთვის“ და შპს „ნიკორა 7“-თვის.

შპს „მზარეული 1“ - პურ-ფუნთუშეულის და ნამცხვრების წარმოება. საწარმოში დამონტაჟებულია თანამედროვე დანადგარები, რაც პროდუქციის ევროპული სტანდარტების სრული დაცვით წარმოებას უზრუნველყოფს.

შპს „ჩვენი ფერმერი“ - კომპანია რამდენიმე სახის რძის პროდუქტს, კარაქს, ყველს და ნაყინს აწარმოებს. რძის პროდუქტები ბაზარზე „დღის პროდუქტის“ სავაჭრო ნიშნით გამოდის, ხოლო ნაყინი - „პალომა“-ს სავაჭრო სახელით.

შპს „კულინარი“ – აწარმოებს სალათებს და სხვადასხვა მზა საკვებს, რომლებიც იყიდება სს „ნიკორა ტრეიდის“ სუპერმარკეტის ქსელში.

შპს „ვაკიჯვრის კალმახი“ (ყოფილი „აგია“) – არის საკალმახე მეურნეობა, წელიწადში 300 ტონა თევზის საწარმოო მოცულობით, რომელიც აგრეთვე აწარმოებს კალმახის ხიზილალას „ოკეანეს“ საფირმო სახელწოდებით.

შპს „ოკეანე“ – აწარმოებს ზღვის პროდუქტებს. კომპანია წარმოებისას იყენებს როგორც ჰოლდინგში შემავალი კომპანიის საკალმახე მეურნეობიდან მიღებულ ნედლეულს, ასევე ახორციელებს იმპორტს ნორვეგიიდან, სადაც საუკეთესო კატეგორიის თევზი ბინადრობს. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახორციელებს ზღვის პროდუქტების და დელიკატესების იმპორტს. „ოკეანე“ ყიდის ცოცხალ, შეციებულ, გაყინულ, მარილში გამოყვანილ, ნახევრად შებოლილ და დამარილებულ თევზეულს, აგრეთვე თევზის სალათებს, პრესერვებს, კონსერვებს, ხიზილალას და ზღვის სხვა პროდუქტებს.

შპს „ნაფარეულის ძველი მარანი“ - ფლობს საკუთარ ვენახებს და აწარმოებს „ტევანის“ სახელწოდების სამი სახეობის მშრალ ღვინოს ("კახური", "ევროპული" და "კახური მწვანე" - რომელიც დამზადებულია რქაწითელისა და კახური მწვანეს ყურძნის ჯიშებისგან) და ორი სახეობის წითელ ღვინოს ("საფერავი" და "კაბერნე").

შპს „პარტნიორი“ - ახდენს ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას გარე ქსელში.


შპს „ნიკორა კახეთი“ – 2018 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით ახდენდა ჰოლდინგური ჯგუფის კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას გარე ქსელში კახეთის ტერიტორიაზე. 2018 წლის მეორე ნახევრიდან აღნიშნული ოპერაციები შეითავსა შპს პარტნიორმა.

შპს „ნიკორა ბაკურიანი“ - ბაკურიანში მდებარე უძრავი ქონების მენეჯმენტი.

შპს „მილა საქართველო“ - სხვადასხვა დასახელების პროდუქციის იმპორტი.

2018 წლის ბოლოსთვის „ნიკორა ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივები 242 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო კონსოლიდირებულმა შემოსავალმა 2018 წელს 418 მილიონ ლარს მიაღწია.

ქვემოთ მოცემულ სურათზე წარმოდგენილია ჯგუფში შემავალი კომპანიების შემოსავლების განაწილება (კომპანიათაშორის ტრანზაქციების ელიმინაციამდე):



1.3. ბრენდების მიმოხილვა

ბრენდ „ნიკორას“ განვითარებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა კომპანიის გაფართოების სტრატეგიაში. ბრენდი განვითარებასთან ერთად მცირე ადგილობრივი მწარმოებლიდან გადაიქცა მთელი ქვეყნის მასშტაბით ცნობილ კომპანიად. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მომხდარი ეკონომიკური რყევების მიუხედავად, „კომპანია“ თანმიმდევრულად ცდილობდა მოეპოვებინა აღიარება და ნდობა მაღალი სტანდარტების დაცვით. ყურადღება ექცეოდა ადგილობრივ წარმოებას, პროდუქციის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას, მაღალ ხარისხს, ფართო არჩევანსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მორგებულ საგემოვნო თავისებურებებს. „ნიკორას“ სახელის წარმატება ყოველთვის ეფუძნებოდა მუდმივი განვითარების პროცესს.

წლების განმავლობაში „კომპანიამ“ დააგროვა დიდი ტექნიკური გამოცდილება და კვების ინდუსტრიაში ბევრი წამოწყების ინიციატორი გახდა. ინოვაციის საჭიროებიდან გამომდინარე, „ნიკორა“ ყოველთვის ისწრაფოდა ტექნიკურად რთული პროექტების განხორციელებისკენ. „კომპანიამ“ პირველმა აწარმოა ბაზარზე ნედლად შებოლილი ძეხვეული და თევზეულის პრესერვები. აღნიშნული სახის პროდუქციის წარმოება დიდ გამოცდილებას და მაღალ ტექნოლოგიურ მხარდაჭერას მოითხოვს. „ნიკორა“ ასევე იყო მოწინავე ე. წ. დაცული შეფუთვის დანერგვის საკითხში. სწორედ მუდმივი ინოვაციებია კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ მომხმარებელს „ნიკორას“ ბრენდის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი აქვს.

ჰოლდინგში შემავალი კომპანიების პროდუქცია შემდეგი სავაჭრო ნიშნებით (ბრენდებით) იწარმოება:



შპს ნიკორას მიერ წარმოებული ხორცპროდუქტები: 25-ზე მეტი დასახელების მოხარშული და შებოლილი ძეხვეული, 20-მდე სახეობის სოსისები და სარდლები, შაშხი და 15-მდე სახეობის ნედლად შებოლილი ხორცპროდუქტი.



შპს ნიკორას მიერ წარმოებული პრემიუმ ხაზის ხორცპროდუქტები: ძეხვეული, სოსისები, სარდლები, შაშხი და სხვა.



შპს ნიკორა 7-ის მიერ წარმოებული ხორცპროდუქტები: ძეხვეული, სოსისები, სარდლები, შაშხი და სხვა.



შპს ნიკორას და შპს ნიკორა 7-ის მიერ წარმოებული ნახევარფაბრიკატები (ქართული, რუსული და ევროპული სამზარეულოების ტრადიციული კერძები - ხინკალი, პელმენი, ვარენიკი, ბლინები, კატლეტები და სხვა), აგრეთვე შპს ოკეანეს მიერ წარმოებული სოუსები.



შპს მზარეული 1-ის მიერ წარმოებული პურ-ფუნთუშეული და სხვადასხვა გამომცხვარი ნაწარმი.



შპს ოკეანეს მიერ წარმოებული თევზეულის და ზღვის სხვა პროდუქტები. ასორტიმენტშია: ცოცხალი, შეციებული, ცივად დ ცხლად შებოლილი, დამარილებული, ნაკლებმარილიანი, ნახევრად შებოლილი თევზეული, პრესერვები და ზღვის დელიკატესები. „კომპანიის“ კალმახის ხიზილალა განსაკუთრებით პოპულარულია ქართველ მომხმარებლებს შორის.



შპს ჩვენი ფერმერის მიერ წარმოებული რძის პროდუქტები: მაწონი, არაჟანი, ხაჭო, რამდენიმე სახეობის კარაქი და ყველი - როგორც ქართული, ასევე ევროპული ტექნოლოგიით დამზადებული.



შპს ჩვენი ფერმერის მიერ წარმოებული 20-მდე დასახელების ნაყინი, რომელიც 2005 წლიდან იწარმოება. ნაყინი კარაქსა და შესქელებულ რძეზე მზადდება და უდავოდ გამორჩეული გემოთი და რბილი კონსისტენციით ხასიათდება.



შპს კულინარის მიერ წარმოებული სალათები. ბრენდის ქვეშ 30 ტიპის სალათი, 15 სახეობის მზა კერძი და 10-მდე დასახელების მწნილისა და ხილის სალათა იწარმოება.

გაციდვები, სს ნიკორა ტრეიდის სავაჭრო ობიექტებში, შემდეგი სავაჭრო ნიშნის მქონე მარკეტებში ხორციელდება:



სუპერმარკეტები უმეტესად მორგებული საშუალო და მაღალი შემოსავლის მქონე სეგმენტის მომხმარებლებზე.



ე. წ. დისკუნთერი მარკეტები.



მარკეტები, რომელიც დამატებით სარგებელს თავაზობს შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე სეგმენტის მომხმარებლებს.

1.4. ჯილდოები

კომპანიის არსებობის 20 წლის განმავლობაში უამრავი ჯილდო აქვს მიღებული; თანმიმდევრულად მისდევს საკუთარ მიზნებს, იცავს ისეთ პრინციპებს, როგორიცაა მომხმარებლებისათვის ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება, თანამშრომლებისათვის სტაბილური სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და მატერიალური ღირებულების შექმნა აქციონერებისთვის.

ხარისხის მართვის, როგორც წარმოებაში, მათ შორის სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების კუთხით, აგრეთვე გაციდვებში და ზოგადად მენეჯმენტში, მაღალი სტანდარტების წლების განმავლობაში დაცვის შედეგად „ნიკორა“ არაერთხელ გახდა საქართველოს პრესტიჟული სხვადასხვა ჯილდოს მფლობელი:

- ❖ წლის ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტების მწარმოებელი კომპანია - 2003 წ.
- ❖ წლის საუკეთესო დებიუტანტი კომპანია (ნახევარფაბრიკატი საკვები) - 2004 წ.
- ❖ წლის რეპუტაცია და ნდობა - 2005 წ.
- ❖ ხარისხის მართვის ISO 9001 : 2008 და სურსათის უვნებლობის ISO 22000 : 2005 (HACCP) სისტემების დანერგვა - 2008 წ.
- ❖ ოქროს ბრენდი - 2005, 2009, 2015, 2016, 2017, 2018 წ.
- ❖ ლიდერი კომპანია - 2007, 2009, 2013, 2014 წ.
- ❖ წლის საუკეთესო კომპანია - 2013 წ.
- ❖ ეროვნული ბიზნეს ჯილდო - 2016 წ.
- ❖ დარგის ლიდერის ჯილდო (ხორცპროდუქტებისა და თევზეულის წარმოება) - 2015 წ.


1.5. საოპერაციო გარემოს მიმოხილვა

1.5.1. ძირითადი ბაზრები

სს „ნიკორა“-ს ჰოლდინგური სტრუქტურა მოიცავს კომპანიებს, რომლებიც ჩართულნი არიან საკვების წარმოების, საცალო ვაჭრობის, იმპორტის და დისტრიბუციის საქმიანობებში. საცალო ვაჭრობა და ხორცის წარმოება ბიზნესის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენს. შედეგად, საკვებით საცალო ვაჭრობა და ხორცპროდუქტების წარმოება „კომპანიისთვის“ წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან საინვესტიციო ბაზარს საქართველოში.

1.5.2. საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა¹

საცალო ვაჭრობის დონემ (საცალო ვაჭრობის დარგის ბრუნვის მოცულობამ) საქართველოში (ავტომობილების და მოტოციკლების გარდა) 2018 წელს შეადგინა ლ14.1 მილიარდი, რაც 18.3%-ით უფრო მეტია 2017 წლის მაჩვენებელზე, რომელმაც ლ11.9 მილიარდი შეადგინა. 2006 წელს გაყიდვებმა ლ1.9 მილიარდი შეადგინა და 2018 წლამდე ყოველწლიურად საშუალოდ 18.2%-ით იზრდებოდა.




წყარო: საქსტატი, საბითუმო და საცალო ვაჭრობით, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების და პერიოდის მიხედვით.

2018 წელს საცალო ვაჭრობის წილმა საქართველოს „მშპ“-ში ლ3.2 მილიარდი (მშპ-ს 7.7%) შეადგინა. მთლიან ეკონომიკაში ვაჭრობის წილი სტაბილურად ნარჩუნდება და 2009 წლიდან მოყოლებული 7.1%-სა და 8.0%-ს შორის მერყეობს საქსტატის 45 საქმიანობის სახის მიხედვით ჩაშლილი მიმდინარე ფასებში გაზომილი მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების მიხედვით. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მომავალში ვაჭრობის მოცულობის ზრდა ახლო კავშირში იქნება მთლიანი ეკონომიკის ზრდასთან.

¹პარაგრაფი მომზადებულია „საქსტატის“ მონაცემების გამოყენებით და განიხილავს საცალო ვაჭრობის დარგის ბრუნვის მოცულობას

საცალო ვაჭრობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ უდიდეს სეგმენტს წარმოადგენს და 2009-2018 წლების პერიოდში მისი ნომინალური მოცულობა წლიურად 10.5%-ით იზრდებოდა.



წყარო: საქსტატი, მთლიანი შიდა პროდუქტი, 45 საქმიანობის სახის მიხედვით, მიმდინარე ფასებში

ბოლო ათწლეულის მანძილზე საცალო ვაჭრობის სექტორის ზრდა გამოწვეული იყო საშუალო ხელფასების ზრდით. 2006-2017 წლებში საშუალო ხელფასი თითქმის გაოთხმაგდა ლ277.9-დან (2006) ლ999-მდე (2016); თუმცა, ხელფასების და ხარჯვის დონე კვლავ დაბალია საერთაშორისო დონესთან შედარებით.

1.5.3. კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობა

საკვები და არა-ალკოჰოლური სასმელები სამომხმარებლო კალათის 31%-ს შეადგენს. სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საკვებს და სასმელს მაღალი წილი უკავია მოხმარების მოცულობაში, რადგან ადამიანები ნაკლებს ხარჯავენ გართობასა და დასვენებაზე.

2001 წლის შემდეგ საქართველოში დაიწყო საცალო ვაჭრობის ქსელების კონსოლიდაციის პროცესი და დამოუკიდებელი „მინი-მარკეტები“ ორგანიზებულმა ქსელებმა ჩაანაცვლეს. უმეტეს შემთხვევაში ქსელებს აქვთ საშუალება შესთავაზონ მომხმარებელს უკეთესი ფასი, მიმზიდველი ლოიალურობის პროგრამები, თანმიმდევრული ხარისხი და თანამედროვე სავაჭრო გარემო, რაც მათ საშუალებას აძლევს მოიზიდონ და შეინარჩუნონ მომხმარებელი.

ტრადიციულად, საქართველოში საკვებით საცალო ვაჭრობა ხდებდა შემდეგი საშუალებებით: დიდი სავაჭრო ცენტრები - სავაჭრო ადგილები სამი ან მეტი სალაროთი, სადაც მომხმარებელ ითავად იღებს და აგროვებს ნაწარმს; მცირე მაღაზიები - მაღაზიები ორი ან ნაკლები სალაროთი, ხშირად დახლს-ზემოთ მომსახურებით; კიოსკები - ტროტუარზე განლაგებული მცირე ზომის ჯიხურები, რომლებშიც შესვლაც მომხმარებელს არ შეუძლია და რომლებიც ყიდიან ჩვეულებრივი მოხმარების საქმელს და სასმელს; ქუჩის გამყიდველები - გარე-მოვაჭრეები პროდუქციის ძალიან მცირე ასორტიმენტით; ღია ბაზრები - საცალო მომხმარებელზე ორიენტირებული ინდივიდუალური დახლების გაერთიანება.

მომხმარებლის გემოვნების განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა ახალი სავაჭრო სივრცის კონცეფციების დანერგვა, რის შედეგადაც გაიხსნა პირველი ჰიპერმარკეტები და თვითმომსახურების საცალო მაღაზიები. პირველი მოთამაშეები იყვნენ „გუდვილი“ და „პოპული“ (დრეს SPAR), თუმცა მათ მალევე სხვა კომპანიებიც დაემატნენ. მსგავსი მაღაზიები ხელმისაწვდომ ადგილებში არიან განთავსებულნი და მომხმარებელს სავაჭრო სივრცის გარდა ასევე სთავაზობენ საკვებ პუნქტებს, საცხოვრებს და სხვა მომსახურებას. *სუპერმარკეტების* რამდენიმე ქსელი გაფართოვდა ქალაქის ცენტრსა და საცხოვრებელ უბნებში. ცენტრალური ადგილმდებარეობა, თანამედროვე დიზაინი, პროდუქციის ფართო არჩევანი (რაც ხშირად მოიცავდა მაღაზიის შიგნით გახსნილ სასადილოს და საცხოვრებს) მოითხოვდა ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით უფრო დიდ ინვესტიციებს კაპიტალსა და სამუშაო ძალაში. შედეგად, სუპერმარკეტები უფრო მაღალ ფასად ყიდნენ პროდუქციას და შედეგად უფრო შეძლებულ მოსახლეობაზე ახდენდნენ ორიენტირებას.

ძირითადი მოთამაშეები ორგანიზებული საცალო ბაზარზე გაყიდვების მიხედვით²

საცალო ბაზარზე ნიკორა წარმოდგენილია მისი შვილობილი - სს ნიკორა ტრეიდის სახით. ორგანიზებულ საცალო ბაზარზე სხვა ძირითადი მოთამაშეები არიან:

კარფური - წარმოადგენს ფრანგულ საერთაშორისო ბრენდს, რომელსაც საქართველოში Majid Al Futtaim Group-ი ოპერირებს. კარფურის პირველი ჰიპერმარკეტი 2012 წელს გაიხსნა საქართველოში და ამჟამად ოპერირებს 11 ლოკაციას თბილისში და ერთს დედაქალაქის გარეთ. კარფური ყიდის როგორც ზოგად პროდუქციას, ასევე კერძო ლეიბლებს.

ორი ნაბიჯი - 2009 წელს დაარსებული ადგილობრივი ბრენდი, რომელსაც 2017 წლის ბოლოსთვის 100 მაღაზია ჰქონდა თბილისში და 11 თბილისის გარეთ. ორი ნაბიჯი უბნის მაღაზიების სტრატეგიით ვითარდება და მისი მფლობელები ადგილობრივი მეწარმეები არიან.

SPAR (ფუდმარტი) - სუპერმარკეტების ქსელი ფუდმარტი 2013 წლიდან არსებობს, როდესაც მან ორი არსებული საცალო ქსელი (პოპული და იოლი) შეიძინა. 2014 წელს ფუდმარტმა მოახდინა საერთაშორისო ბრენდი SPAR-ის ფრანჩაიზის მიღება და 2017 წლის ბოლოსთვის თავისი ქსელი 63 მაღაზიამდე გაზარდა.


გუდვილი - არის პირველი ქართული ჰიპერმარკეტების ქსელი და ოპერირებს ოთხ მაღაზიას თბილისში და ოთხ მაღაზიას დანარჩენ რეგიონებში. მაღაზიები ყიდნიან კერძო ლეიბლის პროდუქციას და გააჩნიათ მზა საკვების მიტანის მომსახურებაც.

მაგნიტი - წარმოადგენს ადგილობრივ ბრენდს, რომელიც ფოკუსირებულია საქართველოს რეგიონებში გაფართოვებაზე. კომპანია 2015 წელს შეიქმნა და 2017 წლის ბოლოსთვის 22 ობიექტი გააჩნდა. მისი სტრატეგიაა გაფართოვდეს რეგიონებში არა-ორგანიზებული ვაჭრობის ჩანაცვლების და მოგების რეინვესტირების გზით.

ევროპროდუქტი - ადგილობრივი ბრენდია, რომელიც 2004 წლიდან არსებობს და საქმიანობა იმპორტიორად დაიწყო. ამჟამად კომპანია 12 მაღაზიას ფლობს თბილისში და გეგმავს ქვეყნის მასშტაბით გაფართოვებას.

² პარაგრაფში გამოყენებულია მენეჯმენტის სავარაუდო მონაცემები

ორგანიზებული საცალო ვაჭრობის ბაზრის წილები გაყიდვების მიხედვით (2018)





წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

საკვების მწარმოებელი ინდუსტრია³

საკვების და სასმელის წარმოება საქართველოს „მშპ“-ში შემდეგი კატეგორიებით აღირიცხება:

- საფუძვლი მრეწველობის პროდუქტების წარმოება;
- პურის, ორცხობილას, ნამცხვრისა და ცომეული საკონდიტრო ნაწარმის წარმოება;
- კვების სხვა პროდუქტების წარმოება;
- მინერალური წყლებისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება;
- ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება

2006-2018 წლებში საკვების და სასმელის წარმოება „მშპ“-ს სტაბილურ წილს წარმოადგენდა და 2.4%-3.8% დიაპაზონში მერყეობდა. სურსათის წარმოების კალათა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა წლების განმავლობაში, ალკოჰოლის და მინერალური წყლებისა და სასმელების სეგმენტების წილის ზრდის გარდა. 2018 წელს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება 9.7%-ით გაიზარდა და 72.6 ათასი ტონა შეადგინა, მათ შორის 22.9 ათასი ტონა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი იყო, 22.6 ათასი ტონა ფრინველის ხორცი იყო, ხოლო 17.6 ათასი ტონა ღორის ხორცი იყო.




წყარო: საქსტატი

³მონაცემები „საქსტატის“ მიხედვითაა მომზადებული, თუკი სხვა რამ არ არის ნახსენები

საკვების წარმოების ინდუსტრია საქართველოში მცირე ნაწილებისგან შედგება და სანდო სტატისტიკური მონაცემების მოძიება რთულია. საშუალო ზომის მწარმოებელთა რაოდენობა შედარებით მცირეა და კონკურენტული გარემო საკმაოდ მიმზიდველია.

„ნიკორას“ ხორცის წარმოების სექტორში წამყვანი პოზიცია უკავია. მას მოსდევს ლიდერფუდი, შედარებით მცირე მწარმოებელი, რომელიც 2008 წელს დაარსდა და იჯარით აღებულ 2,000 კვ.მ.-იან ქარხანას ფლობს თბილისში. „ლიდერფუდი“ 30 სახეობის სოსისსა და ლორს აწარმოებს და ბოლო სამი წლის განმავლობაში საკმაოდ სტაბილურად მუშაობს. კიდევ ერთი ხორცის მწარმოებელი არის ვაკე, რომელიც 1960-იან წლებში დაარსდა და საკმაოდ ცნობადი ხორცის მწარმოებელია. მას კონკურენტებთან შედარებით უფრო მცირე ასორტიმენტი გააჩნია.




წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

1.6. ბიზნესი და ოპერაციები

1.6.1. ბიზნეს მოდელი

ჰოლდინგში შემავალი, სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტიანობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს ღებულობს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ პირობით კომპონენტად შეიძლება დაიყოს, რომელთა ერთობლიობითაც ქმნის ღირებულებას ნიკორა:



საგალო ვაჭრობის და კვების პროდუქტების, კერძოდ კი ხორცპროდუქტების წარმოების მიმართულებები ის ძირითადი ბირთვია, სადაც ნიკორა ჯგუფს მთავარი კონკურენტული უპირატესობა გააჩნია ბაზარზე და შესაბამისად, კომპანიისთვის წარმოადგენს მოგების მთავარ წყაროს.

ხორცპროდუქტების და მათი ნახევარფაბრიკატების წარმოებაში ჩართული არიან შპს ნიკორა და შპს ნიკორა 7, რომელთა პროდუქცია, აღნიშნული კომპანიების მრავალწლიანი სპეციალიზაციის შედეგად, სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნით სარგებლობს ბაზარზე. ნიკორას ხორცპროდუქტების, როგორც ბრენდის, პოპულარიზაციას და მიმზიდველობას, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნიკორას სუპერმარკეტების ფართო ქსელი. მეორეს მხრივ სავაჭრო ობიექტების სიმრავლე და აგრეთვე ფართო არეალი საშუალებას აძლევს წარმოების შვილობილ კომპანიებს მყისიერი რეაგირება მოახდინონ მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე, პრეფერენციების ცვლილებაზე; შედეგად მიიღწევა მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდა და მაღალ დონეზე შენარჩუნება, როგორც პროდუქციის კუთხით, ასევე გაყიდვების სერვისის თვალსაზრისით.

ჰოლდინგში შემავალი კვების პროდუქტების სხვა მწარმოებელი კომპანიები (შპს ოკეანე, ჩვენი ფერმერი, მზარეული1, კულინარი, ვაკიჯვრის კალმახი, ნაფარეულის ძველი მარანი) ერთის მხრივ დამატებითი შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ, მაგრამ აგრეთვე ქმნიან ჰოლდინგის მდგრადობის და კონკურენტული უპირატესობის გაძლიერების დამატებით

ბერკეტს - მცირდება რა დამოკიდებულება მომწოდებლებზე, ნიკორას სუპერმარკეტებისთვის და უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში ჩნდება ბერკეტი მინიმალური ფასების მიღებისთვის მომწოდებლებისგან, რაც შემდგომში გაყიდვების ზრდის უმთავრეს წინაპირობას ქმნის - შევთავაზოთ მომხმარებლებს მაღალი სარგებელი/ღირებულების (benefit/value) პროდუქცია.

ჰოლდინგი ანალოგიური ბიზნეს მოდელით ახდენს სასმელების (გამაგრებული და ალკოჰოლური) და სხვადასხვა საქონლის იმპორტს, რაც შვილობილი კომპანია შპს ინტრეიდის მეშვეობით ხორციელდება. საკუთარი გაყიდვის ობიექტების რიცხოვნობის და ფართო არეალის საფუძველზე (და აგრეთვე მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანიების შესაძლებლობების გათვალისწინებით) მიღწეულ იქნა ის მასშტაბი იმპორტისთვის, რამაც საშუალება მისცა კომპანიას სასმელების სეგმენტშიც მიეღო დაბალი ფასები და აგრეთვე ექსკლუზიური იმპორტიორი გამხდარიყო რიგი პროდუქციის სახეობებისა საქართველოში.

ხორცპროდუქტების წარმოებისთვის კომპანია თავად ახდენს საჭირო ნედლეულის იმპორტს შპს მულტიტრეიდის მეშვეობით - ხორცპროდუქტების წარმოების მასშტაბიდან გამომდინარე მიიღწევა დაბალი ფასები ნედლეული იმპორტისთვის.


მძლავრი შვილობილი სადისტრიბუციო კომპანია - შპს პარტნიორი - ახორციელებს სხვა შვილობილი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციისა და იმპორტირებული საქონლის დისტრიბუციას გარე სავაჭრო ობიექტებში. (გამონაკლისია შპს ნიკორა 7, ოკეანე, ვაკიჯვრის კალმახი და ჩვენი ფერმერი, რომლებიც პროდუქციის გარე ქსელებში დისტრიბუციას თავად ახდენენ).

1.6.2. ბოლო პერიოდის ბიზნეს განვითარება

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ეკონომიკის სწრაფი ზრდა ხელს უწყობდა მოხმარების დონის ზრდას ქვეყანაში. მომხმარებლები საცალო ვაჭრობის უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვდნენ და შედეგად გაჩნდა ინდუსტრიის კონსოლიდაციის საჭიროება. აქციონერთა მხარდაჭერით, მენეჯმენტმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა. მაღაზიების ქსელი აგრესიულად გაიზარდა როგორც ორგანული ზრდის, ასევე შესყიდვების მეშვეობით.

2015 წლის აგვისტოში, „ნიკორა ტრეიდი“- ს მიერ „ნუგეშის“ ქსელის შეძენის შემდეგ, „კომპანია“ ქვეყნის უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელი გახდა და 2018 წლის ბოლოსთვის 4,400-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს და ორგანიზებული საცალო ქსელის ბაზრის 19% უკავია.

ნიკორას ტრეიდის მაღაზიების რაოდენობა:




2014 წელს „ნიკორა ტრეიდი“ სუპერმარკეტების ქსელები „სანდი“ და „კი ბატონო“ შეიძინა.

2015 წელს - „ლიბრეს“ და „ნუგეშის“ შესყიდვა განხორციელდა. „ლიბრეს“ შეძენით „კომპანია“ ჰიპერმარკეტების ბაზარზე შევიდა. ქსელების ინტეგრაციასთან ერთად, „ნიკორა ტრეიდი“ ლიდერი გახდა 8 წამყვან საცალო ქსელს შორის.


„ნიკორა ტრეიდის“ მიერ მაღაზიათა რაოდენობის ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. 2008 წელს კომპანიას 58 სუპერმარკეტი ჰქონდა, ორი წლის შემდეგ - 72, ხოლო 2012 წლისთვის - 85. გაფართოებასთან ერთად, 2014 წელს მაღაზიათა რაოდენობამ 110-ს მიაღწია ხოლო უკვე 2018 წელს 212 შეადგინა (ჯიხურების გარეშე).

2017 წლის მდგომარეობით, „ნიკორა ტრეიდი“ სხვადასხვა ფორმატის 265 სავაჭრო ობიექტს მოიცავს, რომელთა ზომა მცირე კიოსკებიდან 1600 კვ.მ.-მდე მერყეობს და ქვეყნის მთელ ტერიტორიას ფარავს, თუმცა მაღაზიათა დიდი ნაწილი თბილისშია განლაგებული, სადაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 30% ცხოვრობს.

სს ნიკორა ტრეიდის მაღაზიების (ჯიხურების გარეშე) რაოდენობა ფართების მიხედვით:



საშუალო გაყიდვები ერთ კვადრატულ მეტრზე (2016-2018 წელი, ლარი, დღგ-ს გარეშე)



„ნიკორა ტრეიდის“ სავაჭრო ფართი 2016-2018 წლებში (კვადრატულ მეტრებში):

	2016	2017	2018
სავაჭრო ფართი (კვ.მ)	20,303	23,757	36,625

ამ ეტაპზე „ნიკორა ტრეიდი“ ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის დაახლოებით 30% ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია ფლობს ძირითად (თბილისი) და რეგიონულ (დასავლეთ საქართველო, კახეთის და ქართლის რეგიონი) საწყობებს, ასევე სადისტრიბუციო მანქანებს, რომლითაც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული წესით შესყიდული საქონლის დისტრიბუციას. პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლების და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

„ნიკორა ტრეიდს“ 90-მდე სადისტრიბუციო ავტომობილი გააჩნია, რომელთა მეშვეობით იგი მუდმივად ახდენს მაღაზიებში საქონლის შევსებას რათა არ მოხდეს გაყიდვების შეფერხება.

მსხვილი შესყიდვების დროს „ნიკორა ტრეიდი“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი; შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა მიღწეულ იქნას საუკეთესო საბაზრო ფასი.

1.6.3. განვითარების სტრატეგია

უახლოეს მომავალში ჰოლდინგი ნიკორა უმთავრესად მისი შვილობილი კომპანიის სს „ნიკორა ტრეიდის“ გაყიდვების ქსელის გაფართოების, დახვეწის და ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებით გეგმავს განვითარებას.

ახალი მაღაზიების გახსნით კომპანია მოელის გაყიდვების ზრდას როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად, აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით „ნიკორა ტრეიდს“, თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს. აღნიშნული გეგმის ფარგლებში კომპანიამ 2018 წელს გახსნა 63 ახალი სავაჭრო ობიექტი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. გარდა ამისა 2019 წლის ბოლომდე კომპანია გეგმავს დამატებით მნიშვნელოვანი რაოდენობის სავაჭრო ობიექტის გახსნას.

გარდა ამისა კომპანია გეგმავს რიგი მიმართულებების განვითარებას:

- ❖ ლოგისტიკა - ამ ეტაპზე „ნიკორა ტრეიდი“ ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის დაახლოებით 30% ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია გეგმავს ამ მაჩვენებლის გაზრდას და მომავალში ცენტრალიზებული წესით მეტი პროდუქციის შესყიდვას, რაც კომპანიას მისცემს კომერციული პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობას.

- ❖ საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქციის განვითარება (private label)
 - აღნიშნული უნიკალურობას შესძენს კომპანიის ასორტიმენტს და დაეხმარება მომხმარებლისთვის საუკეთესო შეთავაზების ფორმირებაში. ასევე იძლევა ფასების ოპტიმიზაციის საშუალებას, გამომდინარე იქიდან რომ ასეთ შემთხვევებში შეკვეთა ხდება დიდ პარტიებად, კომპანიას საშუალება აქვს შეინარჩუნოს სტაბილური ფასები. ამ ეტაპზე კომპანიის სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქტები, რომელიც „N1“-ის ბრენდის გამოდის, ბაზარზე პოზიციონირებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ფასის მქონე, რაც ზრდის მომხმარებლებისთვის ასორტიმენტის ამ ნაწილის ხელმისაწვდომობას, კომპანიას კი საშუალებას აძლევს მეტი მომხმარებელი მოიზიდოს. ასევე კარგი მექანიზმია მომწოდებლებისგან პროდუქციის მოწოდებაში წყვეტის პრევენციისთვის. ამ ფაქტორთა ერთობლიობა ზრდის კომპანიის ეფექტურობას და აუმჯობესებს კომერციულ პირობებს.
- ❖ ასორტიმენტის გაუმჯობესების და მომხმარებლებისთვის შეთავაზების სრულყოფის მიზნით იგეგმება გარკვეული კატეგორიის საქონლის იმპორტი. უპირველეს ყოვლისა აქცენტი კეთდება ჯანსაღი კვების პროდუქტებზე. იმპორტი ძირითადად ხდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, ვინაიდან კომპანიას მაღალი მოთხოვნები აქვს პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაზე. რადგანაც კომპანიისთვის უპირველესი პრიორიტეტი მომხმარებლის ინტერესებია, ამ კომპონენტის (პროდუქციის იმპორტი) დაგეგმვა ხდება იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლისთვის ფასი იყოს მაქსიმალურად მისაღები.
- ❖ დისკაუნტერი (discounter store) - ამ კონცეფციის მაღაზიები ახალი მიმართულებაა კომპანიისთვის, რომლის აქტიური განვითარებაც იგეგმება. მსგავსი ტიპის მაღაზიებში სერვისის ნაცვლად აქცენტი კეთდება მაქსიმალურად დაბალ ფასებზე და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციაზე. ხოლო ასორტიმენტის პოლიტიკის ქვაკუთხედი ხდება განსხვავებული, ხელმისაწვდომობაზე ორიენტირებული და მოთხოვნადი ასორტიმენტის შეთავაზება. ამ ფორმატის მაღაზიები კომპანიას ბაზრის ახალ სეგმენტებზე გასვლის საშუალებას მისცემს.
- ❖ არასაკვები პროდუქტების კატეგორია (non-food) (საყოფაცხოვრებო ქიმიკა, ჰიგიენის საშუალებები საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთები და ა.შ.) - ამ ეტაპისთვის კომპანიაში ეს მიმართულება შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი, მაგრამ მომხმარებლებისგან გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ასორტიმენტის სრულყოფისთვის იგეგმება ამ მიმართულების აქტიური განვითარება.

1.7. ფინანსური ინფორმაცია

სს „ნიკორა“ წარმოადგენს ჰოლდინგურ კომპანიას „ჯგუფში“ შემავალი 14 მოქმედი შვილობილისთვის. სს ნიკორა 100%-იანი წილის მფლობელია თითქმის ყველა კომპანიაში, გამონაკლისებია: სს ნიკორა ტრეიდი (86.15%), შპს ვაკიჯვრის კალმახი (82.5%), შპს კულინარი (50%), შპს ნიკორა ბაკურიანი (50%) და შპს „მილა საქართველო“ (50%). „ჯგუფი“ სრულად აკონტროლებს ყველა შვილობილი კომპანიის საოპერაციო და ფინანსურ საქმიანობას. ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება შეიცავს ყველა შვილობილი კომპანიის ფინანსურ შედეგებს მათზე კონტროლის მოპოვების დღიდან.

„ჯგუფის“ არსებული სტრუქტურა ვერტიკალური ინტეგრაციიდან გამომდინარეობს და „ჯგუფი“ მნიშვნელოვან სარგებელს ნახულობს შვილობილებს შორის ვაჭრობის გზით. ამ ურთიერთობებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული ნამეტები ელიმინირდება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგება წარმოებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მიხედვით 2013 წლიდან. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი წლიური ფინანსური ანგარიშგება აუდიტორულად შემოწმებულია შპს „გრანტ თორნტონის“ მიერ, რომელიც არის „Grant Thornton International“-ის წევრი.

1.7.1. ფინანსური ანგარიშგებები

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
აქტივები			
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
გუდვილი	43,618	43,618	43,618
ძირითადი საშუალებები	67,288	75,467	108,803
არამატერიალური აქტივები	2,151	2,930	2,909
მსხმოიარე ნარგავები	214	466	396
გაცემული სესხები	-	-	144
სხვა ფინანსური აქტივები	16	20	14
სულ გრძელვადიანი აქტივები	113,287	122,501	155,884
<i>მოკლევადიანი აქტივები</i>			
მარაგები	31,954	45,051	57,876
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,422	14,256	23,273
სხვა მიმდინარე აქტივები	1,905	1,586	1,495
მიმდინარე საგადასახადო აქტივი	-	-	182
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	2,256	10,734	3,175
სულ მოკლევადიანი აქტივები	47,537	71,627	86,001
სულ აქტივები	160,824	194,128	241,885

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გაგრძელება)

ათასი ლარი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
<i>კაპიტალი და ვალდებულებები</i>			
<i>კაპიტალი და რეზერვები</i>			
სააქციო კაპიტალი	34,761	31,258	25,126
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-1,294	-1,294	-1,326
გადაფასების რეზერვი	7,562	12,240	12,240
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	5,810	13,982	24,079
სულ კაპიტალი და რეზერვები	46,839	56,186	60,119
<i>არამაკონტროლებელი წილი</i>	995	2,405	4,053
სულ კაპიტალი	47,834	58,591	64,172
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>			
სესხები	37,121	14,126	20,434
ობლიგაციები	13,234	25,660	25,000
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	50,355	39,786	45,434
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები</i>			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	42,431	56,072	83,112
სესხები	19,943	25,800	22,209
ობლიგაციები	176	13,274	26,857
სახელმწიფო ვალდებულება	85	66	101
გადასახდელი დივიდენდები	-	539	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	62,635	95,751	132,279
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	160,824	194,128	241,885

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
შემოსავალი	269,911	336,255	417,852
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-188,428	-231,891	-289,528
საერთო მოგება	81,483	104,364	128,324
სხვა შემოსავალი	1,093	1,085	986
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	-35,292	-50,363	-59,147
ადმინისტრაციული ხარჯები	-26,832	-32,411	-45,084
სხვა ხარჯები	-2,824	-2,901	-1,760
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	17,628	19,774	23,319
ფინანსური ხარჯები	-7,932	-7,860	-8,525
სხვა ფინანსური ხარჯები	-5,473	-1,926	-2,883
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-2,622	-3,920	-3,357
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	1,601	6,068	8,554
მოგების გადასახადი	-795	-1,140	-1,568
წლის მოგება	806	4,928	6,986
<i>სხვა სრული შემოსავალი</i>			
<i>ერთეულები, რომელიც მომავალში არ</i>			
<i>გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში</i>			
ძირითადი საშუალებების გადაფასება	1,209	4,704	-
წლის სხვა სრული შემოსავალი მოგების გადასახადის გარეშე	1,209	4,704	-
სულ წლის სრული შემოსავალი	2,015	9,632	6,986
მოგება მიკუთვნებადი:			
სათაო კომპანიის მფლობელებზე	797	4,969	6,684
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	9	-41	302
მთლიანი შემოსავალი მიკუთვნებადი:			
სათაო კომპანიის მფლობელებზე	1,935	9,657	6,684
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე	80	-25	302

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ათასი ლარი	სააქციო კაპიტარ ლი	გამოსყიდ ული ჩვეულებ რივი აქციები	გადაფა სების რეზერვ ი	აკუმული რებული მოგება/(ზა რალი)	სულ სათაო კომპანიის მფლობელებ ზე მიკუთვნება დი	არამაკონტრ ოლებელი წილი	სულ
2017 წლის 1 იანვარი (გადაანგარიშებული)	34,761	-1,294	7,562	5,810	46,839	995	47,834
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	-	4,969	4,969	-41	4,928
გადაფასების ნამეტი	-	-	4,688	-	4,688	16	4,704
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	4,688	4,969	9,657	-25	9,632
შვილობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	11,471	11,471	1,456	12,927
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	-3,503	-	-	-	-3,503	-	-3,503
დივიდენდები	-	-	-	-8,299	-8,299	-	-8,299
საწარმოთა გაერთიანება	-	-	17	4	21	-21	-
გაყიდული აქტივების აკუმულირებული გადაფასების რეზერვის გადატანა დაგროვილ მოგებაზე	-	-	-27	27	-	-	-
ოპერაციები აქციონერებთან	-3,503	-	-10	3,203	-310	1,435	1,125
31 დეკემბერი 2017 (გადაანგარიშებული)	31,258	-1,294	12,240	13,982	56,186	2,405	58,591
წლის მოგება/(ზარალი)	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
გადაფასების ნამეტი	-	-	-	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	-	6,684	6,684	302	6,986
შვილობილ საწარმოში წილის ნაწილის გაყიდვა	-	-	-	8,496	8,496	1,304	9,800
სს ნიკორას მიერ სს ნიკორა ტრეიდის აქციების მესამე მხარისთვის მიყიდვის გავლენა	-	-	-	549	549	-549	-
პრემიუმი შვილობილების აქციების გამოშვებიდან	-	-	-	869	869	591	1,460
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	-6,132	-	-	-	-6,132	-	-6,132
საკუთარი აქციების გამოსყიდვა	-	-32	-	-889	-921	-	-921
დივიდენდები	-	-	-	-5,909	-5,909	-	-5,909
საწარმოთა გაერთიანება	-	-	-	297	297	-	297
ოპერაციები აქციონერებთან	-6,132	-32	-	3,413	-2,751	1,346	-1,405
31 დეკემბერი 2018	25,126	-1,326	12,240	24,079	60,119	4,053	64,172

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება


ათასი ლარი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
წლის მოგება	806	4,928	6,986
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	6,669	7,997	10,818
ზარალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციისას	-99	-	-
უიმედო მოთხოვნების ხარჯი	105	23	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	-	-4	7
საპროცენტო ხარჯი	7,932	7,860	8,526
მარაგების დანაკარგები	3,690	3,449	7,984
სახელშეკრულებო ვალდებულების ცვლილება	85	-19	35
მოგების გადასახადის ხარჯი/(აღდგენა)	795	1,140	1,568
მოგება/(ზარალი)კურსთაშორის სხვაობიდან	5,473	1,926	2,883
საოპერაციო შედეგი საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	25,456	27,300	38,807
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	-5,431	-3,114	-9,016
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში	-1,131	-16,546	-20,809
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	517	284	-13
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	9,859	12,049	23,091
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	29,270	19,973	32,060
გადახდილი პროცენტები	-7,649	-7,771	-8,165
გადახდილი მოგების გადასახადი	-400	-1,400	-1,750
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	21,221	10,802	22,145
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებების შეძენა	-7,928	-11,490	-40,308
არამატერიალური აქტივების შეძენა	-465	-763	-883
შვილობილი საწარმოს წილის შეძენა	-	-23	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	134	1,819	1,293
შვილობილის შეძენაზე გადახდილი ფული	-	-	-635
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-8,259	-10,457	-40,533
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
პრივილეგირებული აქციების გამოშვებიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,872	-	-
სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	36,652	181,844	230,384
პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვა	-1,462	-5,177	-6,678
სესხებზე გადახდილი ფულადი სახსრები	-52,581	-198,335	-229,119
ობლიგაციებიდან მიღებული ფულადი სახსრები	9,956	23,775	25,000
ობლიგაციების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები	-	-	-12,540
შვილობილი საწარმოს წილის გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	13,025	10,349
გადახდილი დივიდენდები	-5,965	-7,760	-5,748
გამოსყიდული აქციები	-	-	-32
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-11,528	7,372	11,616
ფულის ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წმინდა ზრდა	1,434	7,717	-6,772
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	-400	2,978	-787
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის დასაწყისში	-995	39	10,734
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე წლის ბოლოს	39	10,734	3,175

1.7.2. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

აქტივები


2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ სრულმა აქტივებმა ლ241.9 მილიონი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი ლ194.1 მილიონს შეადგენდა. ხოლო 2016 წელთან შედარებით ეს კუმულაციურ 22.6%-იან წლიურ ზრდას წარმოადგენს. აქტივების ზრდა შედეგია „კომპანიის“ შვილობილი კომპანიების მიერ ინვესტიციების განხორციელებით, პირველ რიგში კი, სს ნიკორა ტრეიდის სუპერმარკეტების ქსელის გაფართოებაში.

აქტივების ზრდა და განაწილება



ძირითადი საშუალებები წარმოადგენს აქტივების ყველაზე დიდ ნაწილს (45%). მიწის და შენობების ღირებულება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ (ან უფრო ხშირად, თუ საბაზრო პირობები მნიშვნელოვნად შეიცვალა) დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ დგინდება. ბოლოს ასეთი შეფასება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის განხორციელდა „ვეგა რეალესტიტი კონსალტ“-ის მიერ საერთაშორისო შეფასების სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად (International Valuation Standards Committee 2013 - IVSC, მეათე გამოცემა).

ძირითადი საშუალებების შემადგენლობა



სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აქტივების 24%-ს შეადგენს. 2017 წელთან შედარებით მარაგების მოცულობა მნიშვნელოვნად, 28%-ით გაიზარდა, რაც განპირობებულია კომპანიის გაყიდვების არსებითი ზრდით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2016	2017	2018
ღირებულება (ათასებში)	31,954	45,051	57,876
წილი მოკლევადიან აქტივებში	67%	63%	67%
წილი სრულ აქტივებში	20%	23%	24%

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის საბრუნავი კაპიტალის ძირითად კომპონენტს და მიმდინარე ვალდებულებების უდიდეს ნაწილს. 2018 წლის ბოლოსთვის სავაჭრო ვალდებულებები ჯამური მოკლევადიანი ვალდებულებების 53%-ს შეადგენდა. ამასთან, თანხობრივი მაღალი მაჩვენებელი განპირობებულია ნიკორა ტრეიდის საქმიანობის გაფართოებით და ეფექტიანობით. გაფართოებული პლატფორმა კომპანიის პოზიციებს აძლიერებს და აძლევს საშუალებას უკეთესი პირობები მიიღოს სავაჭრო პარტნიორებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები	2016	2017	2018
ღირებულება (ათასებში)	39,950	42,817	66,379
მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი	64%	45%	50%

სესხები და ობლიგაციები

სესხები:

ათას ლარებში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018
საბანკო სესხები	25,800	22,209	14,126	20,434
ოვერდრაფტი	-	-	-	-
სულ	25,800	22,209	14,126	20,434

საბანკო სესხები არის 1-დან 6 წლამდე ვადიანობის; ლარში დენომინირებული სესხების საპროცენტო სარგებელი მიზნულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე, ხოლო აშშ დოლარში დენომინირებული სესხებზე 6 თვიანი LIBOR-ის განაკვეთზე.

საბანკო სესხების რეალური ღირებულება უტოლდება მათ საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

ობლიგაციები:

2017 წლის 28 ივნისს, ქართულმა საბროკერო კომპანიამ, შპს „თიბისი კაპიტალმა“, როგორც საბროკერო აგენტმა, სს ნიკორასთვის გამოუშვა 10 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 9% და ვადიანობა შეადგენს 2 წელს. სარგებლის გადახდა წარმოებს კვარტალურად.

2018 წლის 18 მარტს სს ნიკორა ტრეიდის მიერ შესრულებული იქნა ვალდებულებები ობლიგაციების მფლობელების მიმართ 13,274 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ობლიგაციები გამოშვებული იყო 2016 წლის 18 მარტს, 5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებით, რომელსაც ერიცხებოდა წლიური 11%.

2018 წლის 6 აგვისტოს, საბროკერო კომპანია შპს „თიბისი კაპიტალმა“, როგორც საბროკერო აგენტმა გამოუშვა სს ნიკორა ტრეიდისთვის 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები: წლიური სარგებელი 11%, კვარტალური გადახდით და 3 წლიანი ვადით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსურ ინფორმაციას ობლიგაციებზე:

ათას ლარებში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018
ობლიგაციების ძირი	13,137	26,696	25,660	25,000
საპროცენტო გადასახდელები	137	161	-	-
ობლიგაციებზე	13,274	26,857	25,660	25,000

სს ნიკორა ტრეიდის ობლიგაციების კონტრაქტი ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებას, კერძოდ:

- 1) Debt/EBITDA - კოეფიციენტი არ უნდა შეადგინოს 3.5-ზე მეტი 2018 წლის შედეგების მიხედვით;
- 2) ICR კოეფიციენტი არ უნდა იყოს 2.5-ზე ნაკლები 2018 წლის შედეგების მიხედვით;
- 3) DSCR კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1.1-ზე ნაკლები 2018 წლის შედეგების მიხედვით.

კოეფიციენტები იანგარიშება სს ნიკორა ტრეიდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია გარკვეული შეზღუდვები დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებით სს ნიკორა ტრეიდისთვის.

ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

კაპიტალი

ჯგუფის სათაო კომპანიის, სს “ნიკორას”, სააქციო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს 6,470,588 ცალ ჩვეულებრივ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 1 ლარის ნომინალური ღირებულებით და ასევე, 199 ცალ პრივილეგირებულ აქციებს, რომლებიც გამოშვებულია 50,000 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით, სულ სააქციო კაპიტალი შეადგენს 25,126 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 31,258 ათასი ლარი; შემცირების დეტალების შესახებ იხ. 1.7.3. პუნქტი).

არაგამოსყიდვადი პრივილეგირებული აქციების მფლობელებს აქვთ უფლებამოსილება, მიიღონ წლიური დივიდენდი ფიქსირებული პროცენტით, რომელიც არ არის მუდმივი და შესაძლოა შეიცვალოს ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა გადაწყვეტილებით. პრივილეგირებულ აქციებს არ აქვს ხმის უფლება.

აქციონერები, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჩვეულებრივი და პრივილეგირებული ტიპის აქციების მიხედვით, წარმოდგენილია ქვემოთ:

აქციონერი	აქციების რაოდენობა	აქციის ტიპი	წილი % (ჩვ. აქციებში)	ხმის უფლება %	კაპიტალი ლ
სუბიაშვილი ვასილ	1,876,471	ჩვეულებრივი	29.5	29.5	1,876,471
სს ნიკორა	1,326,471	ჩვეულებრივი	20.0	20.0	1,294,118
გუბანოვი ოლეგ	1,035,293	ჩვეულებრივი	16.0	16.0	1,035,293
დუმბაძე დავით	711,765	ჩვეულებრივი	11.0	11.0	711,765
სხვა	1,520,588	ჩვეულებრივი	23.5	23.5	1,552,941
სულ ჩვეულებრივი აქციები	6,470,588		100.0	100.0	6,470,588

აქციონერი	აქციების რაოდენობა	აქციის ტიპი	წილი % (პრივ. აქციებში)	ხმის უფლება %	კაპიტალი ლ
გალტ & თაგარტ	40	პრივილეგირებული	24.5	-	4,893,565
PELICAN VENTURES CORP	20	პრივილეგირებული	12.3	-	2,692,200
LLC Park Capital	20	პრივილეგირებული	12.3	-	2,031,600
LLC Magtiwin	8	პრივილეგირებული	4.9	-	960,800
სხვა	75	პრივილეგირებული	46.0	-	8,077,595
სს ნიკორა	36	პრივილეგირებული	-	-	-
სულ პრივილეგირებული აქციები	199		100.0		18,655,760

1.7.3. აქციების გამოსყიდვა

2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ გამოსყიდულ იქნა 32,353 ერთეული ჩვეულებრივი და 59 ერთეული პრივილეგირებული აქცია (რომელთა ნომინალური ღირებულება (ერთეულის) 50,000 აშშ დოლარს შეადგენს). აღნიშნული ტრანზაქციების შედეგად ჰოლდინგის სააქციო კაპიტალი 6,131 ათასი ლარით შემცირდა.

პრივილეგირებული აქციების გამოსყიდვას და საჭიროების შემთხვევაში გასხვისებას, კომპანიის მენეჯმენტი ახორციელებს როგორც ერთგვარი ფინანსური ინსტრუმენტის

ბერკეტის მიზნით, კაპიტალის ეფექტიანად მართვის, ლიკვიდურობის და უკუგების მაჩვენებლების გაუმჯობესებისთვის.

1.7.4. კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

შემოსავალი:

„ნიკორა ჯგუფის“ ბრუნვა მოიცავს კლიენტებზე განხორციელებულ გაყიდვებს „ჯგუფში“ შემავალი 14 შვილობილის (მოქმედი) მიერ. „ჯგუფის“ გაყიდვებში (ელიმინაციამდე) შვილობილებს შორის ყველაზე მეტი წვლილი საცალო ვაჭრობის (60%) და ხორცის წარმოების (20%) ბიზნესებს აქვს. 2018 წელს ჯგუფის კონსოლიდირებულმა გაყიდვებმა 417.9 მილიონი შეადგინა, რაც 24.3%-ით მეტია წინა წელს დაფიქსირებულ 336.3 მილიონთან შედარებით:

ათასი ლარი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
საქონლის რეალიზაცია	269,854	336,233	417,779
საიჯარო შემოსავალი	57	22	73
სულ შემოსავალი	269,911	336,255	417,852

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და საერთო მოგება:

ათასი ლარი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
სულ შემოსავალი	269,911	336,255	417,852
გაყიდული საქონლის შესყიდვის ხარჯები	-116,523	-146,348	-203,484
პირდაპირი მასალები	-61,362	-72,316	-73,946
თანამშრომელთა ხელფასები	-5,887	-6,798	-5,694
კომუნალური ხარჯი	-1,600	-1,800	-1,636
ცვეთა	-1,481	-1,856	-1,970
დამატებითი მასალები	-475	-753	-779
იჯარა	-462	-1,295	-889
რემონტი	-359	-408	-491
გადაზიდვა	-20	-19	-14
სხვა	-259	-298	-625
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-188,428	-231,891	-289,528
საერთო მოგება	81,483	104,364	128,324
<i>საერთო მოგების მარჟა</i>	<i>30.2%</i>	<i>31.0%</i>	<i>30.7%</i>

შემოსავალი 24.3%-ით გაიზარდა, ხოლო რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 24.9%-ით, შედეგად, საერთო მოგების მარჟა 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2018 წელს 30.7% შეადგინა.

საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან:

<i>ათასი ლარი</i>	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
სულ შემოსავალი	269,911	336,255	417,852
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	-188,428	-231,891	-289,528
საერთო მოგება	81,483	104,364	128,324
სხვა შემოსავალი	1,093	1,085	986
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი	-35,292	-50,363	-59,147
ადმინისტრაციული ხარჯი	-26,832	-32,411	-45,084
სხვა ხარჯი	-2,824	-2,901	-1,760
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	17,628	19,774	23,319
<i>საოპერაციო მოგების მარჟა</i>	<i>6.5%</i>	<i>5.9%</i>	<i>5.6%</i>

საოპერაციო მოგება 17.9%-ით გაიზარდა, თუმცა საოპერაციო მოგების მარჟა 5.9%-დან 5.6%-მდე შემცირდა. აღნიშნული კლება რეალურად ასახავს საერთო მოგების მარჟის 0.3 პუნქტით შემცირებას - მნიშვნელოვნად გაზრდილი რეალიზაციების კვალობაზე შენარჩუნებულ იქნა საოპერაციო ხარჯების ფარდობითი მაჩვენებლები.

დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი:

დისტრიბუციისა და მარკეტინგის დანახარჯები მოიცავს მაღაზიის კონსულტანტების, მოლარეების და სავაჭრო მაღაზიის სხვა თანამშრომლების ხელფასს, აგრეთვე მარკეტინგისა და დისტრიბუციის თანამშრომლების ხელფასს. დისტრიბუციისა და მარკეტინგის დანახარჯები აგრეთვე მოიცავს სავაჭრო მაღაზიის შენობების, თაროების, მაცივრებისა და მაღაზიის სხვა აღჭურვილობის, სადისტრიბუციო მანქანების ცვეთას და სხვა გაყიდვასთან, მარკეტინგთან და დისტრიბუციასთან დაკავშირებულ ხარჯებს:

<i>ათასი ლარი</i>	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
იჯარის ხარჯი	-15,733	-17,199	-17,600
პერსონალის ხარჯი	-11,869	-15,747	-19,976
ცვეთა	-3,029	-3,033	-4,887
მარკეტინგული ხარჯი	-2,378	-11,539	-13,571
დისტრიბუცია	-2,283	-2,845	-3,113
სულ დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი	-35,292	-50,363	-59,147

ადმინისტრაციული ხარჯი:

ათასი ლარი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
პერსონალის ხარჯი	-14,443	-17,971	-23,598
მარაგების ჩამოწერის ზარალი	-3,690	-4,753	-7,984
ცვეთა	-2,592	-3,108	-3,960
საბანკო ხარჯები	-1,247	-1,282	-1,564
რემონტი	-1,241	-926	-2109
საკონსულტაციო მომსახურება	-1,141	-1,583	-2,357
საოფისე ხარჯი	-1,013	-1,266	-1,816
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	-502	-407	-420
იჯარის ხარჯი	-489	-614	-546
კომუნალური ხარჯი	-474	-501	-730
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	-26,832	32,411	45,084

არასაოპერაციო ხარჯები და წმინდა მოგება:

ათასი ლარი	2016 წელი	2017 წელი	2018 წელი
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	17,628	19,774	23,319
ფინანსური ხარჯები	-7,932	-7,860	-8,525
სხვა ფინანსური ხარჯები	-5,473	-1,926	-2,883
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-2,622	-3,920	-3,357
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	1,601	6,068	8,554
მოგების გადასახადი	-795	-1,140	-1,568
წლის მოგება	806	4,928	6,986
ძირითადი საშუალებების გადაფასება	1,209	4,704	-
სულ წლის სრული შემოსავალი	2,015	9,632	6,986

ფინანსური და არასაოპერაციო ხარჯები ჯამურად 7.7%-ით, 1.06 მლნ ლარით გაიზარდა, რაც ძირითადად განპირობებულია ფინანსური ხარჯების ზრდით.

1.8. ფინანსური რისკების მართვა

1.8.1. საბაზრო რისკი

„კომპანიის“ საბაზრო რისკი უმთავრესად წარმოიშობა ლარის გაცვლითი კურსის და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებისგან, რომლებიც მომდინარეობს საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ტრანზაქციების უმეტესობა ლარებში ხორციელდება, საკუროსო სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია ჯგუფის სესხებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს ჯგუფის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით.

ათას ლარში	2017		2018	
	აშშ დოლარი	ევრო	აშშ დოლარი	ევრო
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	316	38	234	85
ფული და ბანკის ბალანსები	2,467	-	2	-
სულ ფინანსური აქტივები	2,783	38	236	85
სესხები	14,131	479	19,941	2,611
ობლიგაციები	38,934	-	26,696	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11,445	12,418	2,687	3,988
სულ ფინანსური ვალდებულებები	64,510	12,897	49,324	6,599
წმინდა პოზიცია	-61,727	-12,859	-49,088	-6,514

ამჟამად სს ნიკორა და ჯგუფში შემავალი კომპანიები არ ახდენენ უცხოური ვალუტის რისკების ჰეჯირებას. საილუსტრაციოდ, შემდეგ ცხრილში მოცემულია გაცვლითი კურსის თეორიული 10%-ანი გამყარების შედეგი ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე:

ათას ლარში	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2017	2018	2017	2018
მოგება-ზარალი	6,173	4,909	1,286	651

ჯგუფს გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც ფიქსირებული, ასევე ცვალებადი განაკვეთით. ჯგუფის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და ცვლადი საპროცენტო განაკვეთის სესხების შერევით.

ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთებზე გაიზრდებოდა/შემცირდებოდა, ძირითადად ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით, რომლებიც დამოკიდებულია ლიბორზე და ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე.

1.8.2. საკრედიტო რისკი

„კომპანიის“ საკრედიტო რისკი ჩნდება კონტრაქტებისგან, რომელთა მიმართაც „კომპანიას“ სავაჭრო მოთხოვნები გააჩნია. კონტრაქტების მიერ დათქმულ დროს ვალდებულებების გადაუხდელობამ „კომპანიისთვის“ შესაძლოა გამოიწვიოს ფინანსური ზარალი. „ნიკორა“ ამ რისკს მართავს სავაჭრო მოთხოვნებში ზედმეტი კონცენტრაციის თავიდან აცილების გზით: მაგალითად შპს მულტიტრეიდს ძირითადი საქმიანობა მიმდინარეობს 6-7 მსხვილ კლიენტთან, ინტრეიდი და პარტნიორი ვაჭრობენ 250 მაღაზიასთან, წარმოების ძირითადი გაყიდვები კი ჯგუფის შიგნით ხდება. კონტრაქტის რისკი საბანკო ბალანსებთან მიმართებაში თავიდან არის აცილებული, რადგან საბანკო ანგარიშები მსხვილ ბანკებშია განთავსებული.

მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

ათასი ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
მოთხოვნები	12,327	22,442
ფული საბანკო ანგარიშებზე	9,139	1,332
	<u>21,466</u>	<u>23,774</u>

1.8.3. ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან და აქტივების და ვალდებულებების ვადიანობაში არსებული განსხვავებებით არის გამოწვეული. „კომპანია“ ამცირებს ამ რისკს ფულადი სახსრების და სავაჭრო მოთხოვნებიდან შემოდიანების მკაცრი მართვით. ჯგუფი ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდებს. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით (მათ შორის ძირიც და პროცენტიც),

დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება :

2018	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
6 თვეზე ნაკლები	80,669	15,765	25,339	121,773
6 თვიდან 1 წლამდე	1,990	2,388	1,123	5,501
1-5 წლამდე	-	19,098	267	19,365
5 წელზე მეტი	-	59	102	161
	82,659	37,310	26,831	146,800

1.8.4. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადეკვატური უკუგებით.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს, და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს.

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს, გამოუშვას ახალი აქციები ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც ჯგუფი კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	58,591	64,172
გამოკლებული ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშზე	(10,734)	(3,175)
კაპიტალი	47,857	60,997
მთლიანი კაპიტალი	58,591	64,172
სესხები	78,860	94,500
სრული მოზიდული სახსრები	137,451	158,672
კაპიტალის თანაფარდობა სრულ მოზიდულ სახსრებთან	0.35	0.38

2. კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის კოდექსი საქართველოში დღემდე არ არის მიღებული საკანონმდებლო დონეზე და შესაბამისად ქართული კომპანიები არ არიან ვალდებული დაიცვან ის კორპორატიული მართვის პროცედურები, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, კომპანიას, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ საწარმოს, შექმნილი აქვს კორპორატიული მართვის კოდექსი საზოგადოების წესდების ფარგლებში, რომელიც მოიცავს კორპორატიული მართვის, გადაწყვეტილებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს; საზოგადოების წესდება საჯაროა, კერძოდ განთავსებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სადაც შესაძლებელია აგრეთვე ყველა თანმდევი ცვლილების ნახვა;

2.1. მმართველობის ორგანოები

საზოგადოების უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო კომპანიის ხელმძღვანელობის და წარმომადგენლობის ფუნქციებს ასრულებს გენერალური დირექტორი.

2.1.1. პარტნიორთა საერთო კრება

საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში სულ მცირე ერთხელ, საზოგადოების წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში, სხვა შემთხვევებში მოიწვევა რიგგარეშე საერთო კრება წესდებით განსაზღვრული პირების მიერ.

საერთო კრება უფლებამოსილია:

- ა) შეცვალოს საზოგადოების წესდება, მათ შორის, საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, შეიტანოს სხვა ცვლილებები საზოგადოების წესდებაში, გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;
- ბ) მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის, ან გარდაქმნის შესახებ;
- გ) მთლიანად, ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის გაზრდის დროს, აგრეთვე, საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას.
- დ) მიიღოს, ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ; ამასთან, აქციონერებს შორის დივიდენდის განაწილება მოხდება ყოველწლიურად, თუ აქციონერთა საერთო კრება არ მიიღებს გადაწყვეტილებას დივიდენდების გაუნაწილებლობის თაობაზე;
- ე) აირჩიოს აქციონერთა წარმომადგენლობა სამეთვალყურეო საბჭოში და გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;
- ვ) დაამტკიცოს გენერალური დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში;
- ზ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;
- თ) აირჩიოს აუდიტორი და სპეციალური კონტროლიორი;

ი) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და გენერალური დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების 50 (ორმოცდაათი) პროცენტზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას.

ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღების ან/და უზრუნველყოფის თაობაზე, რომლებიც აღემატება 20 (ოცი) მილიონ ლარს;

უფლების განხორციელების წესი

აქციონერთა კრების ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის, განსაზღვრულია აქციების მფლობელების მიერ გადაწყვეტილების მიღების ხმათა სხვადასხვა პროცენტული რაოდენობები, რომელიც მერყეობს ხმის უფლების მქონე კაპიტალის 50%- 75%- ზე მეტი აქციების მფლობელთა რაოდენობებს შორის, თუ კონკრეტულ შემთხვევაში კანონით სხვა რამ არ იქნა გათვალისწინებული;

ჩამოთვლილი უფლებამოსილებების გარდა, ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებს გენერალური დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქციონერთა უფლებამოსილებები:

საზოგადოების აქციონერს უფლება აქვს:

ა) პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას და ჩვეულებრივი აქციის შემთხვევაში - მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში;

ბ) იქონიოს ერთი ხმა აქციონერთა კრებაზე ყოველ მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებულ აქციაზე, გარდა პრივილეგირებული აქციისა, რომელიც არ იძლევა ხმის უფლებას;

გ) ინფორმირებული იქნას საერთო კრების ჩატარებისა და მათზე განსახილველი საკითხების თაობაზე;

დ) გასანაწილებელი მოგებიდან მიიღოს დივიდენდი მისი კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად, ხოლო პრივილეგირებულ აქციებთან მიმართებაში დადგენილი განაკვეთით;

ე) გაასხვისოს ან შეიძინოს აქციები მთლიანად, ან ნაწილობრივ; ნებისმიერი კლასის აქციების დაგირავების, გასხვისებისთვის ან მესამე პირზე სხვა ფორმით გადაცემისთვის აუცილებელია პარტნიორთა საერთო კრების წინასწარი თანხმობა, საერთო კრების თანხმობა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში თუ აქციის სრულად გასხვისება/დაგირავება/გადაცემა ხდება საზოგადოებაზე. აქციონერთა კრების მიერ თანხმობის გაცემის შემდეგ ხდება უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება წესდებით გათვალისწინებული წესით.

ვ) მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა წინამდებარე წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საფუძვლებით;

ზ) სამეთვალყურეო საბჭოსგან მოითხოვოს იმ საკითხების დაზუსტება, რომლებიც შედის აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში;

თ) მოსთხოვოს განმარტებები გენერალურ დირექტორსა (დირექტორებს) და სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო და გამოთქვას თავისი აზრი.

ი) გაასაჩივროს საერთო კრების, დირექტორატის, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებები კანონმდებლობით დადგენილი წესით;

კ) შეიტანოს სარჩელი ან შეგებებული სარჩელი მესამე პირის მიმართ, თუ საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ. აღნიშნული უფლების მატარებელია მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების მქონე აქციონერი;

ლ) საწესდებო კაპიტალის არანაკლებ 5%-ის მფლობელი აქციონერები უფლებამოსილი არიან:

მოითხოვონ ინფორმაცია, ან დოკუმენტაცია საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის შესახებ; მოითხოვონ საზოგადოების სამეურნეო საქმიანობის, ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს. თუ საერთო კრება არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, მაშინ აქციონერებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს; მოითხოვონ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა. მოთხოვნა დასაბუთებული უნდა იქნას წერილობით. თუ კრება არ იქნება მოწვეული მოთხოვნიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, აქციონერებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საზოგადოების ადგილსამყოფელის შესაბამისად; მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგებების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების თაობაზე.

2.1.2. სამეთვალყურეო საბჭო

საზოგადოებაში შექმნილია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 7 (შვიდი) წევრისაგან.

სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის არჩევა ხდება 3 (სამი) წლის ვადით, ხოლო უფლებამოსილების ვადა გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც მორიგი საერთო კრების მოწვევამდე.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია შემდეგია:

ა) კონტროლი გაუწიოს გენერალური დირექტორ(ებ)ის საქმიანობას; მოითხოვოს გენერალური დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;

ბ) გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. მასვე შეუძლია აღნიშნული უფლებამოსილებანი დაავალოს საბჭოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს;

გ) მოიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება, თუ ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს;

დ) შეამოწმოს წლიურ ანგარიშები, მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;

ე) დანიშნოს და გამოიწვიოს საზოგადოების გენერალური დირექტორი;

ამასთან, გენერალურმა დირექტორმა (დირექტორებმა) მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;

ბ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;

გ) წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების მიღება;

დ) სესხების და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება 10 (ათი) მილიონ ლარს.

ე) სესხების და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას და აღემატება 10 (ათი) მილიონ ლარს. დაუშვებელია

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ.

ვ) ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;

ზ) სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი (ზოგადი) პრინციპების დადგენა;

თ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;

ი) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ, თუ ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს;

კ) ხელმძღვანელ მუშაკთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;

ლ) საზოგადოების ქონებისა შემენის, გასხვისების ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს.

მ) წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

თავმჯდომარე/წევრი: 01024003505, 23.10.1968 ვასილ სუხიაშვილი

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01015005694, 06.04.1968 გურამ ცერცვაძე

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 42031000551, 03.06.1979 ირაკლი ლომია

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01015002814, 05.09.1971 ირაკლი ნიკოლაიშვილი

წევრი: 01008004852, 28.02.1957 დავით დუმბაძე

წევრი: 01013004932, 08.05.1969 დავით ცირეკიძე

წევრი: 33001005416, 24.09.1966 გელა არობელიძე

წევრი: პასპორტი ნომერი: 71 7143091, 27.12.1967 ოლეგ გუბანოვი;

სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები წლის განმავლობაში საშუალოდ ტარდება 10-ჯერ.

აუდიტის კომიტეტი:

2017 წლის აგვისტოდან სამეთვალყურეო საბჭოში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიოს:

ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;

ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვის და საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას;

გ) ფინანსური ანგარიშგების/ კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;

დ) აუდიტის/აუდიტორული კომპანიის დამოუკიდებლობას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ე) აუდიტის კომიტეტი ვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში კომიტეტის მონაწილეობის შესახებ.

აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან:

ა)თავმჯდომარე: 33001005416, 24.09.1966 გელა არობელიძე

ბ)წევრი: 01024003505, 23.10.1968 ვასილ სუხიაშვილი

გ)წევრი: 01015005694, 06.04.1968 გურამ ცერცვაძე

2.1.3. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალება გენერალურ დირექტორს.

გენერალური დირექტორი:

- ა) საზოგადოებას წარმოადგენს სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში და პასუხს აგებს საზოგადოების ყოველდღიურ მართვაზე;
- ბ) საზოგადოების სახელით დებს გარიგებებს;
- გ) განკარგავს საზოგადოების სახსრებსა და ქონებას, წარმოადგენს საზოგადოებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გასცემს მინდობილობებს;
- დ) უზრუნველყოფს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზუსტ და დროულ აღსრულებას;
- ე) ვალდებულია წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია გაწეული საქმიანობისა და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
- ვ) ადგენს საზოგადოების წლიურ ანგარიშსა და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად.
- ზ) ვალდებულია საზოგადოების საქმეები წარმართოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების და აქციონერთა გადაწყვეტილებების შესაბამისად.
- თ) ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით განახორციელოს ის ქმედებები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების თანახმად საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას. თანხმობა მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ფორმით.
- ი) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს საზოგადოების თანამშრომლებს;
- კ) საზოგადოების თანამშრომლებს განუსაზღვრავს დისციპლინური სახდელისა და წახალისების ფორმებს;
- ლ) ამტკიცებს საზოგადოებისა და მისი ფილიალებისა და წარმომადგენლობების სამტატო განრიგს;
- მ) განსაზღვრავს საზოგადოების თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს;
- ნ) ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების შინაგანაწესს;
- ო) ასრულებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს;

საზოგადოების გენერალური დირექტორია ირაკლი ბოქოლიშვილი

ბატონი ირაკლი ბოქოლიშვილი „ნიკორა ჯგუფის“ მმართველია 2010 წლიდან, როდესაც იგი დაინიშნა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. მან 1985 წელს დაამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1989 წელს დაიცვა დისერტაცია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი

მათემატიკის ინსტიტუტში და გააჩნია სამეცნიერო ხარისხი მათემატიკურ მოდელირებაში. არის 21 სამეცნიერო ნაშრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი. 1989-1993 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრაზე წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. 1993-2010 წლებში იყო სს „ბაზისბანკის“ დამფუძნებელი, სადაც მუშაობდა სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის ფინანსური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრად. მას აგრეთვე გააჩნია მაგისტრის ხარისხი საბანკო და საფინანსო საქმიანობაში თბილისის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა

დღეის მდგომარეობით არ არსებობს რაიმე სახის რეგულაცია, რომელიც კომპანიას ავალდებულებს წევრების მიმართ გაატაროს დივერსიფიკაციის პოლიტიკა, ასაკის, სქესის, კვალიფიკაციის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით; კომპანია წევრებს შეარჩევს სხვადასხვა კრიტერიუმით, რომელიც ემყარება კომპანიის უმაღლესი ორგანოს - პარტნიორთა კრების შეფასებას კონკრეტულ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს, პოზიციისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; აღნიშნულის შესაბამისად, საზოგადოებაში არ მოქმედებს წინასწარ დადგენილი რაიმე სახის პოლიტიკა ან ერთიანი პრაქტიკა;

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევა

საზოგადოების აქციები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მოთხოვნის საგანს არ წარმოადგენს;


3. არაფინანსური ანგარიშგება

3.1. დასაქმება და ადამიანური რესურსების მართვა

კომპანია „ნიკორა ჰოლდინგი“ დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია საქართველოს ბაზარზე. ჰოლდინგი აერთიანებს დედა კომპანიას სს „ნიკორას“ და 14 შვილობილ (მოქმედი) კომპანიას, თითოეული შვილობილი კომპანია წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს. ჰოლდინგში შემავალი შვილობილი კომპანიების თანამშრომლებით დაკომპლექტებას, თანამშრომელთა ადმინისტრირებას და არსებული ადამიანური კაპიტალის მართვას ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვის ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი. ჰოლდინგის დედა კომპანიის სს „ნიკორას“ სტრუქტურაში არსებობს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზებულია და ახორციელებს ჰოლდინგში შემავალი ყველა შვილობილი კომპანიის ადამიანური რესურსების მართვას, გარდა სს „ნიკორა ტრეიდისა“. ჰოლდინგის ერთ-ერთი შვილობილი კომპანია სს „ნიკორა ტრეიდი“ ახორციელებს კომპანიის კუთვნილი სავაჭრო ობიექტების მართვას მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანიის მასშტაბისა და საჭიროებიდან გამომდინარე 2017 წლის ნოემბრის თვიდან სს „ნიკორა ტრეიდის“ ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიქმნა ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ჰოლდინგის ცენტრალიზებული არმ- დეპარტამენტისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს სს „ნიკორა ტრეიდის“ HR-საქმიანობას, თუმცა პოლიტიკის და პროცედურების შემუშავება და აგრეთვე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება მიღება ხორციელდება სს ნიკორას ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურულ ერთეულთან მჭიდრო კოორდინაციის და შეთანხმების შედეგად.


ადამიანური რესურსების მართვის ორივე ქვედანაყოფის მიზანს წარმოადგენს: ხელი შეუწყოს კომპანიის განვითარებას, შექმნას ძლიერი/მყარი ადამიანური კაპიტალი, მოიზიდოს მაღალკვალიფიციური კადრები, გააუმჯობესოს თანამშრომლების სამუშაო გარემო, ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, შესაბამისად შეამციროს თანამშრომელთა გადინება და შეძლოს ის, რომ კომპანიისა და თანამშრომლების მიზნები იყოს ურთიერთთანხვედრაში. ორივე სტრუქტურული ქვედანაყოფი მუშაობს აქტიურად კადრების შენარჩუნებასა და პარალელურ რეჟიმში, აქტიურად მუშაობს იმაზე, რომ კომპანიის განვითარების ტემპი არ შეფერხდეს, დროულად იქნას უზრუნველყოფილი ახალი საკადრო რესურსის მოძიება და მათი კომპანიაში დროული ინტეგრირება, რაც თავისთავად ხელს უწყობს დასახული მიზნების დროულად განხორციელებას. კომპანიაში შემუშავებულია შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება შესაბამისი პროცედურების დაცვით .

კომპანია მისი სწრაფი წინსვლისა და განვითარების ტემპიდან გამომდინარე, წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტ ახალ სამუშაო ადგილს ქმნის და ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებას. შესაბამისად, „ნიკორა“ ჰოლდინგში, კომპანიის განვითარებასთან ერთად, თანამშრომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე მუდმივად ზრდადია. მაგალითისათვის:



გენდერული თანასწორობის კუთხით მდგომარეობა დაბალანსებულია, მდედრობითი სქესის, ისევე როგორც მამრობითი სქესის თანამშრომლები სარგებლობენ თანაბარი პირობებით და შესაძლებლობებით. შესაბამისად, აქვთ თანაბარი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. თანამშრომლის დაქირავების პროცესში ყურადღება ექცევა და აქცენტები კეთდება კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობასა და კვალიფიკაციაზე, განურჩევლად სქესისა.

რაც შეეხება დასაქმებულთა ასაკობრივ განაწილებას, 31.12.2018 წლის მდგომარეობით არის შემდეგი:



კომპანიაში არსებულ თითოეულ პოზიციაზე არსებობს გარკვეული სახელფასო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ხდება კადრის დაქირავება. ჰოლდინგში მუშაობს რამდენიმე ტიპის სახელფასო სისტემა ერთმანეთისაგან განსხვავებული სახელფასო სპეციფიკიდან გამომდინარე:

- წარმოებებსა და სასაწყობე მეურნეობის მიმართულებით;
- დისტრიბუციის მიმართულებით;
- ასევე, სავაჭრო მიმართულებით შემუშავებულია თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა, სამუშაო გრაფიკებისა და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ კომპანიაში მიმდინარეობს თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვაზე მუშაობა. შეფასების სისტემა წარმატებით დაინერგა ჰოლდინგის ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის შპს „ნიკორას“ ბაზაზე. წარმატებით შედგა ამ კომპანიის თანამშრომელთა 2018 წლის შეფასების პროექტი, მოხდა შედეგების დათვლა/დაანგარიშება და აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება სამოტივაციო პროგრამა იმ თანამშრომლებზე, რომლებმაც წარმატებით გაიარეს და დადებითად შეფასდნენ 2018 წელს შესრულებული სამუშაოების მიხედვით. თანამშრომელთა შეფასება ხორციელდება სამ

ძირითად კომპონენტზე დაყრდნობით; ცოდნის, პიროვნული და დისციპლინარულ ნაწილში.

ამჟამად, მიმდინარეობს მზადება შეფასების ეს კონკრეტული სისტემა მოერგოს სხვა შვილობილ კომპანიას და 2019 წელს განხორციელდეს დანერგვა. 2019 წლის ნოემბრის თვიდან კი დაიწყება შპს „ნიკორას“ თანამშრომლების 2019 წლის შეფასების პროექტის მომზადებაზე მუშაობა. შეფასების სისტემის დანერგვა პოლდინგში შემავალ სხვა კომპანიებშიც იგეგმება ეტაპობრივად. ჩვენი მიზანია, გამართული შეფასების სისტემის საფუძველზე, შევქმნათ და დავნერგოთ გამჭირვალე, ობიექტური და თანამშრომლებისათვის მისაღები სამოტივაციო სისტემა.

საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა კომპანიაში არსებულ ორგანიზაციულ კლიმატს. სწორედ ამიტომ, თანამშრომელთა მოტივირებისა და ზოგადი კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად ხორციელდება სხვა და სხვა კორპორატიული პროექტები: კორპორატიული ღონისძიება, სადღესასწაულო დღეების მილოცვა, სხვა და სხვა სპორტული აქტივობები, რომელიც შეჯიბრის სახით ტარდება შვილობილ კომპანიებს შორის, საზაფხულო ექსკურსიები, გუნდურობისა და თანამშრომლებში კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით უკვე ორი წელია ტარდება ე. წ. თიმბილდინგის ღონისძიებები. ზაფხულის პერიოდში, ქალაქგარეთ, არაოფიციალურ გარემოში, ტარდება თიმბილდინგ-აქტივობები, სადაც თანამშრომლები ერთვებიან სხვადასხვა გუნდურ თამაშებში, სპორტულ-გასართობ შეჯიბრებებში და უწევთ გარკვეული წინააღმდეგობების ერთობლივად დაძლევა. თიმბილდინგი ეხმარება თანამშრომლებს გუნდურად მუშაობის პრინციპის ჩამოყალიბებაში, ერთმანეთის უკეთ გაცნობასა და ურთიერთობების გაუმჯობესებაში. აღნიშნული პროექტი გასულ წლებში წარმატებით განხორციელდა და სამომავლოდ დაგეგმილია თიმბილდინგის პროექტის კიდევ უფრო განვითარება.

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით ტარდება ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებებით. გარდა ტრენინგებისა, სს „ნიკორა ტრეიდის“ ბაზაზე ხორციელდება სხვადასხვა დარგის ექსპერტების მოწვევა და თანამშრომლებისათვის სემინარების ორგანიზება. ასევე, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, პერიოდულად ხორციელდება თანამშრომლების გადამზადება და პროფესიული ტრენინგების დაფინანსება.

ადამიანური რესურსების ორივე დეპარტამენტში შიდა ტრენინგის ბაზაზე ტარდება სხვადასხვა მიმართულების სწავლება და 2019 წელში კიდევ უფრო აქტიურად იგეგმება თანამშრომლების ე. წ. რბილი უნარების მიმართულებით ტრენინგების მოდულებზე მუშაობა და მათი დატრენინგება.

კომპანია, აგრეთვე, ზრუნავს არსებული კადრების პროფესიულ განვითარებაზე და პრიორიტეტს ანიჭებს შიდა კადრების დაწინაურებას, რაც წარმატებით ხორციელდება კიდევაც.

ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხი, გამომდინარე აქედან, კომპანიაში არსებობს „შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი“-ს თანამდებობა. აღნიშნულ პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომელი პასუხისმგებელია ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს სამუშაო პროცესი უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხოების ნორმები, ტარდებოდეს პრევენციული მონიტორინგი და ნებისმიერი

ხარვეზის შემთხვევაში მოახდინოს დროული რეაგირება. წარმოების თანამშრომლებს ყოველწლიურად უტარდებათ შრომის უსაფრთხოების კუთხით შიდა სწავლება, ხოლო ყველა ახალი თანამშრომელი წარმოების ტერიტორიაზე შესვლამდე გადის ინდივიდუალურ სწავლებას შრომის უსაფრთხოების ნორმების და ჰიგიენურ/სანიტარიული ნორმების დაცვის კუთხით. 2019 წლისთვის იგეგმება შრომის უსაფრთხოების ნაწილში შტატის გაზრდა.

კომპანიაში არსებობს ბენეფიტების სისტემა, მათ შორის ერთ-ერთი - წარმოებების და ლოგისტიკური მიმართულებით დასაქმებული თანამშრომლების კვება. თანამშრომლების კვებას უზრუნველყოფს ჰოლდინგის შვილობილი კომპანიის შპს „ნიკორას“ ბაზაზე არსებული სამზარეულო, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი პერსონალით. ისევე როგორც წარმოებაში, სამზარეულოს ხარისხის კონტროლი, როგორც მზა პროდუქტის, ასევე ნედლეულის, მუდმივად მიმდინარეობს. გარდა ამისა, არსებობს სხვა ბენეფიტების პროგრამებიც: მრავალშვილიან მშობლებთან მიმართებაში და სხვა...

ასევე, დიდი ყურადღება ექცევა თანამშრომლების მხრიდან დადგენილი ჰიგიენურ/სანიტარიული ნორმებისა და ხარისხი მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული პროცედურების დაცვას. დედა კომპანიის სს „ნიკორას“ სტრუქტურაში არსებობს ხარისხის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ცენტრალიზებულად ემსახურება ჰოლდინგში შემავალ ყველა შვილობილ კომპანიას. დეპარტამენტში არსებული სპეციალისტების მატრიცული განაწილება ხდება შვილობილ კომპანიებზე, სპეციალისტები ახორციელებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს და შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში მიმართავენ შესაბამის ზომებს. პერიოდულად ხდება სპეციალისტების როტაცია შვილობილ კომპანიებს შორის, პრევენციის მიზნით. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა წარმოების პროცესში რამდენად იცავენ თანამშრომლები დადგენილ წესებს და სწორედ ამისთვის ტარდება ყოველდღიური მონიტორინგი წარმოების პროცესში, საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის მართვის სამსახურის თანამშრომელი სამუშაო ადგილზევე ახორციელებს თანამშრომლის სწავლებას მის ტერიტორიაზე დადგენილ/გაწერილი წესების ფარგლებში. ამას გარდა, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ყოველწლიურად ტარდება ჰიგიენა/უსაფრთხოების კუთხით შიდა ტრენინგები და თანამშრომელთა სწავლება.

თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის კორპორაციული დაზღვევით. დაზღვევის ფარგლებში, წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ: დისტრიბუციის, სავაჭრო, სასაწყობო და წარმოების მიმართულებებით დასაქმებული თითოეული თანამშრომელი (ყველა, ვისაც პროდუქციასთან აქვს შეხება) გადის ჯანმრთელობის პროფილაქტიკურ შემოწმებას, ამას გარდა კომპანიის სათაო ოფისსა და საწარმოო ტერიტორიაზე განთავსებულია პირადი ექიმის სამუშაო ოთახი, რომელიც თანამშრომლებს უწევს სამედიცინო მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს ვიწრო პროფილის ექიმთან.

3.2. შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

გარემოსდაცვითი საკითხები:

კომპანიას 2016 წლიდან ყავს გარემოსდაცვითი ზედამხედველი, თანახმად ნარჩენების მართვის კოდექსისა (თავი III მუხლი 14, მუხლი 15).

იმავე წლიდან დღემდე ყველა საწარმოში ხორციელდება ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული ცვლილებები: ნარჩენების იდენტიფიცირება, დახარისხება, ინვენტარიზაცია; სათანადოდ გამოყოფილ უბნებზე ხორციელდება ნარჩენების დახარისხებულად შეგროვება მარკირებულ ურნებში; ტერიტორიაზე კეთილმოწყობილია ნაგვის შემკრები ურნების განთავსების ადგილი; გამოყოფილია სახიფათო ნარჩენების შეგროვების უბანი; ფუნქციონირებს კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული მუყაოს და პოლიეთილენის პარკების საწნეხი უბანი;

გარემოსდაცვითი მმართველის მიერ სისტემატიურად ხორციელდება ნარჩენების აღრიცხვიანობის კონტროლი, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დახარისხების მეთვალყურეობა, მათი გადაცემა სათანადო კონტრაქტორ ორგანიზაციებზე, ხელშეკრულებების განახლება ნარჩენების გამტან ორგანიზაციებთან.

ამჟამად კომპანიას ხელშეკრულებით ემსახურება რამდენიმე კომპანია:

- „თბილსერვის ჯგუფი“-ორგანული ნარჩენების გატანა;
- „მედიკალ-ტექნოლოგი“-სახიფათო ნარჩენის გატანა;
- „სუფთა სამყარო“-მუყაო, მაკულატურა, ცელოფანი, პლასტიკის ნარჩენების გატანა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N211, მუხლი №3. მიხედვით 2017 წლიდან მოყოლებული კომპანია გარემოს დაცვის სამინისტროში წარადგენს ნარჩენების მართვის ყოველწლიურ გეგმას.

კომპანიის მიზანია გარემოს დაცვითი საკითხებში მუდმივად ითანამშრომლოს სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებთან, რათა საკანონმდებლო ასპექტში მოახდინოს ნარჩენების მინიმიზაცია, ორგანული ნარჩენების კომპოსტირება, გადამუშავება, მეორადად გამოყენება. ეს საკითხები მოითხოვს სახელმწიფო ორგანოების მაქსიმალურ ჩართულობას, კომპანიის მხრიდან მოტივაციას და მზადყოფნას სიახლეების განსახორციელებლად.

შრომის უსაფრთხოების საკითხები:

კომპანიას ჰყავს ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებული მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონით (მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 19 თებერვალს); ასევე საქართველოს შრომის კოდექსით, რომელიც მიღებულ იქნა 2010 წლის 17 ნოემბერს და დადგენილება 338-ით.

სს „ნიკორა“-ს შვილობილ კომპანიებში (ყველა საწარმოში) შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ სისტემატიურად ტარდება რისკის შეფასების ღონისძიებები: უბნების

დათვალიერება, საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების ალბათობისა და შედეგების სიმძიმის ანალიზი. საფრთხის სიდიდიდან გამომდინარე მიიღება გადაწყვეტილება გასატარებელი ღონისძიებებისა და პრობლემის აღმოფხვრის გონივრული ვადების შესახებ. ეს ყოველივე ფორმდება წერილობით და ეგზავნება წარმოების დირექტორს, ხელმძღვანელ პირებს. რისკების შემცირების და პრობლემის აღმოფხვრის შემდეგ ხორციელდება პერიოდული დაკვირვება/გადამოწმება, რათა არ წარმოიქმნას იგივე პრობლემა.

კომპანიებში არის შინაგანაწესი, რომელშიც სხვადასხვა საკითხებთან ერთად მოცემულია შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული წესები, უბნების მოთხოვნებისა და საჭიროების მიხედვით, მაგ: ჩაფხუტის დახურვა, ლიფტით მხოლოდ ტვირთის გადაზიდვის წესი, დაცვის პირადი საშუალებების გამოყენება, პირბადე, სათვალე, ჯაჭვის წინსაფარი, ჯაჭვის ხელთათმანი, აირწინალი და ა.შ.

წელიწადში ერთხელ ტარდება ზოგადი ტრენინგი შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის კუთხით, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციები, პირველადი სამედიცინო დახმარება, ელექტრო უსაფრთხოება, სახანძრო უსაფრთხოება, საწარმოსთვის/უბნისთვის სპეციფიკური უსაფრთხო ქცევის წესები.

ყველა საწარმო უზრუნველყოფილია ცეცხლმაქრებით და მათ გამოყენებასთან დაკავშირებით ტარდება ინსტრუქტაჟი ყოველ ახალ თანამშრომელთან. ცეცხლმაქრის ტიპის შერჩევა, მათი ვარგისიანობის ვადის კონტროლი და განახლება ხორციელდება როგორც კომპანიის პასუხისმგებელი პირის, ასევე კონტრაქტორი ორგანიზაციის მხრიდან.

მიმდინარეობს მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის, უსაფრთხოებისა და ჰიგიენის სახელმძღვანელოების გაწერა, თითოეული დანადგარისთვის ინდივიდუალურად.

2017 წელს კომპანიაში კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ ჩატარდა პირველადი სამედიცინო დახმარების სასწავლო სრული კურსი, რისთვისაც შეირჩა ყველა საწარმოს პასუხისმგებელი პირი. მათ ჩაუტარდა ტრენინგი, ტესტირება, გადაეცათ სათანადო სერთიფიკატები. უახლოეს მომავალში იგეგმება აღნიშნული კურსის განმეორებით ჩატარება.

კომპანიის მიზანია ეტაპობრივად განახორციელოს კანონთან მიმართებაში ცვლილებები, კომპანიაში დანერგოს ყველა სიახლე, სრულყოფაში მოიყვანოს არსებული წესები.

სრულად გაიწეროს მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის და უსაფრთხოების სახელმძღვანელო, აღირიცხოს ყველა მანქანა-დანადგარი, მოწყობილობები უბნების მიხედვით და მიენიჭოს ინდივიდუალური ნომრები. ყოველი ახალი დანადგარის შესყიდვისას მოხდეს ამ საინფორმაციო ბაზის გაახლება ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების მენეჯერის მიერ.

სახანძრო უსაფრთხოების კუთხით გატარდა რიგი ღონისძიებები: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებით, ყველა წარმოებისთვის შედგა საევაკუაციო გეგმა. საევაკუაციო რუკები ჩასმულია ჩარჩოში და განთავსებულია წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე.

მიმდინარეობს მუშაობა სახანძრო შეტყობინების სისტემის, სახანძრო გასასვლელების მიმანიშნებელი ნიშნების დამონტაჟებაზე. ჩატარდა ცეცხლმაქრის სწორად გამოყენების თეორიული და პრაქტიკული სწავლება. იგეგმება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემოთავაზებული კურსის - „სამოქალაქო უსაფრთხოების საკითხებში სასწავლო - თეორიული ტრენინგის პროგრამა“ ჩატარება, რომელიც მოიცავს თანამშრომლების სერტიფიცირებას საგანგებო სიტუაციაში მოქმედების წესებში, ასევე პირველად სამედიცინო დახმარებაში.

3.3. საზოგადოებასთან ურთიერთობა

„ნიკორა“ ქართულ ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული კვების პროდუქტების მწარმოებელ კომპანიას წარმოადგენს. კომპანიის მისიაა ჰოლდინგში შემავალი კომპანიებისთვის მაქსიმალური პირობების შექმნა და ხელშეწყობა, რათა უზრუნველყოთ უმაღლესი ხარისხის კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც საზოგადოებისთვის იქნება ორიენტირი კვების მრეწველობის დარგში.

ამ მიმართულებით შედეგების მისაღწევად „ნიკორა“ აღიარებს და ეფუძნება ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა: პატიოსნება, პასუხისმგებლობა, სწრაფვა განვითარებისკენ. კომპანიის მიერ ამ პრინციპებისადმი ერთგულების შედეგია, რომ სამომხმარებლო ბაზარი იღებს უმაღლესი ხარისხის პროდუქციას, სადაც სტანდარტი დაცულია, ასორტიმენტი მრავალფეროვანი, ფასი შეთავაზებული ფასეულობის შესატყვისი.

კომპანიის მიერ აღიარებული ფასეულობები და მოქმედების უმთავრესი პრინციპი - მომხმარებელს ჰქონდეს ამომწურავი ინფორმაცია მისი პროდუქტების, ასორტიმენტის, ნედლეულის შესახებ, ამასთანავე წარმოებული პროდუქციის სტაბილური მაღალი ხარისხი - განაპირობებს მაღალ სამომხმარებლო განწყობას, ნდობას, რეპუტაციას.

მომხმარებლების საჭიროებებისა და დამოკიდებულების გასაგებად და მათი მოთხოვნების გრძელვადიან პერსპექტივაში გასათვალისწინებლად მუდმივ რეჟიმში ხდება თვისობრივი, რაოდენობრივი, სამომხმარებლო კმაყოფილების კვლევების ჩატარება, რაც განსაზღვრავს ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი პროდუქციის, მისი მიწოდებისა და მომსახურების ფორმების დანერგვასა და შეთავაზებას. სწორედ ბაზრის მოკვლევის და მომხმარებლების მოთხოვნების გათვალისწინების შემდეგ ხდება ახალი პროდუქტის შეთავაზება. ხარისხის და გემოს დახვეწა გრძელვადიანი პროცესია, რაზეც თავდაპირველად ნიკორას ტექნოლოგები მუშაობენ, ჩართულია ხარისხის მართვის და მარკეტინგის დეპარტამენტი. მხოლოდ პროცედურით გათვალისწინებული მრავალი ტესტის გავლის შემდეგ ხდება პროდუქტის ბაზარზე გაშვება. შემდგომში პროდუქტის ხარისხის და გემოს კონტროლი მიმდინარეობს მარკეტინგის განყოფილების მიერ, ფოკუს ჯგუფების საშუალებით. მზადდება ანგარიში, რომლის მიხედვითაც იხვეწება პროდუქტი, ასეთი საჭიროების არსებობის შემთხვევაში.

კომპანიის განვითარება უწყვეტი პროცესია. დღესდღეობით სს „ნიკორას“ ჰოლდინგში 12-ზე მეტი ბრენდი ერთიანდება, მათ შორის არის საქართველოში მარკეტების ყველაზე დიდი ქსელი „ნიკორა სუპერმარკეტი“ და საკვები პროდუქტების წარმოების სხვადასხვა

მიმართულებები: ხორცპროდუქტები, თევზეული, პურ-ფუნთუშეული, რძის ნაწარმი, ნაყინი, მზა კერძები და ნახევარფაბრიკატები. უკანსაკნელი ორი წლის მანძილზე, კიდევ უფრო გაიზარდა როგორც ხორცპროდუქტების, ისე სხვა მიმართულებების ასორტიმენტი.

ნედლეულის შერჩევისას, პირველ რიგში ყურადღება ექცევა რამდენად ავტორიტეტული და მოთხოვნადია მწარმოებელი ქარხანა მსოფლიოს მასშტაბით. აუცილებელი პირობაა რომ მომწოდებელი იყოს სერთიფიცირებული, ჰქონდეს ხარისხის მართვის სისტემა, ლაბორატორიულად დამოწმებული იყოს მისი წარმოებული ნედლეულის ხარისხი და უვნებლობა. „ნიკორას“ საწარმოში მიკრობიოლოგიური ლაბორატორია მოქმედებს, რომელიც ნედლეულს და მზა პროდუქტს ამოწმებს.

„ნიკორა“ ერთ-ერთი პირველია ქართული კვების პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებს შორის, ვინც მრავალი წელია ფლობს ISO 9001:2008; ISO22000:2005 - HACCP სერტიფიკატებს.

ბოლო წლების განმავლობაში „ნიკორა“ გახდა არაერთი ჯილდოს მფლობელი. კომპანია წარმატებით ახორციელებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებს. როგორც „ნიკორა ტრეიდა“, ისე „ნიკორამ“ წარმატებით განახორციელეს შესაბამისად 5 და 10 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების კუპონური ობლიგაციების გამოშვება, რაც ერთმნიშვნელოვნად „ნიკორასადმი“ დიდი ნდობის დასტურია. 2017 წელს, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ „Scope Ratings“-მა სს „ნიკორა ტრეიდს“ B+, ხოლო კომპანიის მიერ გამოსაშვებ ობლიგაციებს BB- რეიტინგი მიანიჭა. საქართველოში, საცალო ვაჭრობის სფეროში სფეროში, სს „ნიკორა ტრეიდი“ ერთადერთი კომპანიაა, რომელმაც მსგავსი რეიტინგი მოიპოვა. 2018 წელს, კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილებით, თითოეულ თანამშრომელს საჩუქრად გადაეცა აქციები და ნიკორაში დასაქმებული 5000-მდე ადამიანი კომპანიის აქციონერი გახდა.

სს „ნიკორა ტრეიდა“, 2017 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 31 მარტამდე, წარმატებით განახორციელა 2 000 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის საჯარო განთავსება. ამ პერიოდში, აქციების საშუალებით მოზიდული და კომპანიის მიერ გენერირებული თანხები მიმართული იქნა სს „ნიკორა ტრეიდის“ ქსელის განვითარებაზე.

2018/19 წლებში, სს ნიკორაში შემავალმა ბრენდებმა პროდუქციის მაქსიმალურად დაცულობისა და მომხმარებლების კმაყოფილების კუთხით თავიანთი პროდუქციის რედიზანინი განახორციელეს. შეფუთული პროდუქტი აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს, უზრუნველყოფს პროდუქტის საგემოვნო თვისებების მაქსიმალურად შენარჩუნებას და მომხმარებლისთვისაც გაცილებით კომფორტულია.

სს „ნიკორას“ ჰოლდინგში შემავალი თითოეული ბრენდი მომხმარებელთან კომუნიკაციას როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთიანად ჰოლდინგის საშუალებით ახორციელებს. ურთიერთობის რეჟიმი უწყვეტია. ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით ხორციელდება. სიახლეების გავრცელება და მიწოდება ჩვენი ვებგვერდის, ფეისბუქ გვერდების, მარკეტების და მედიის საშუალებით ხდება. კომუნიკაციის გაძლიერების მიზნით „ნიკორას“ ფეისბუქ გვერდის პარალელურად შექმნილია „ოკეანეს“, „პალომას“, „მზარეულის“ გვერდები. მომხმარებლის ნებისმიერი შენიშვნა ან რეკომენდაცია პირველ რიგში ხვდება მარკეტინგის დეპარტამენტში და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან. განხილვის შემდეგ კი გადამისამართდება

შესაბამის პასუხისმგებელ სამსახურებში. მომხმარებლის მიერ გამოთქმული პრეტენზიის შემთხვევაში, შესაბამისი პასუხის მომზადება და მომხმარებლის საქმის კურსში ჩაყენება ოპერატიულად ხორციელდება.

კომპანია ცდილობს ფეხი აუწყოს თანამედროვეობას, კომუნიკაცია იქონიოს მომხმარებელთან, მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნები და მუდმივად შესთავაზოს სიახლეები.

3.4. „კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები

„კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით და არსებული მოთამაშეების გასვლით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 21 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლადგამოჩენილი საწარმოების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

თუმცა, ნიკორა გამორჩეულია იმით, რომ მისი ვერტიკალური ინტეგრაციით, შექმნილი აქვს მიწოდების მთელი ჯაჭვი, პირველადი პროდუქტიდან მომხმარებლისთვის საბოლოო სახით მიწოდებამდე, მუდმივი უკუკავშირი აქვს მომხმარებლებისგან მათი არსებული და პოტენციური მოთხოვნილებების შესახებ. აღნიშნული ფაქტორები, ერთობლიობაში, ქმნიან უდიდეს კონკურენტულ უპირატესობას ნიკორასთვის და ამავე დროს რთულად გადასალახ ბარიერს ბაზარზე ახალი მოთამაშეებისთვის.

ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.

„ჯგუფის“ ხარჯების მნიშვნელოვანი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. „ჯგუფს“ ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელმწიფოებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ და აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისთვის ნიკორა მუდმივად ცდილობს, და ამისთვის იყენებს შესაბამის მექანიზმებს, მინიმალურ დონეზე იქონიოს უცხოურ ვალუტებზე

დამოკიდებულების ხარისხი. ასე მაგალითად 2018 წელს გამოშვებული იქნა ლარში დენომინირებული ობლიგაციები, რომლითაც გადაიფარა სავალუტო სესხები.

„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავის ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას საჭირო სახსრების ან კვალიფიციური პერსონალის არარსებობის გამო, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანიას“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის დანახარჯების რესტრუქტურიზაცია და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალუტო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

თუმცა, ნიკორას გააჩნია საკმარისი ფინანსური ბერკეტები და ინსტრუმენტები კაპიტალის ეფექტურად მართვისთვის, და ამავე დროს აპრობირებული აქვს, საქართველოს ბაზრის მასშტაბის გათვალისწინებით, მსხვილი კაპიტალის, როგორც სავალუტო ისე სააქციო, მოზიდვა, რასაც მუდმივად შეფერხების გარეშე ემსახურებოდა. აღნიშნული გარემოება, თავის მხრივ, უფრო მარტივს ხდის კომპანიისთვის იაფი კაპიტალის ბაზარზე წვდომას.

საქართველოში განვითარებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

„კომპანიის“ ოპერაციები სრულად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავალი მთლიანად მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად, „კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („მშპ“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსები, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არსებითი გავლენა აქვს მომხმარებლების მოთხოვნაზე „კომპანიის“ მომსახურების მიმართ.

თუმცა, ნიკორა ოპერირებს ისეთ დარგში, როგორიცაა ყოველდღიური მოხმარების კვების პროდუქტების წარმოება-გაყიდვა, შესაბამისად, ზემოთ მოცემული რისკების მიმართ არსებითად უფრო მედეგია, ვიდრე სხვა დარგში მოღვაწე ქართული კომპანიები, ვინაიდან

ყოველდღიური მოხმარების კვების პროდუქტების ბაზარი შედარებით ნაკლებად მგრძნობიარეა ისეთი ფაქტორების ცვლილების მიმართ როგორიცაა პოლიტიკური თუ სამართლებრივი და გარკვეულწილად ეკონომიკური პირობებიც.

ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

ადრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა „მშპ“-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს „მშპ“-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბებას.

2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, რაც შედეგად გამოიწვია 2008 წლის კონფლიქტმა სამხრეთ ოსეთში და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა (რამაც შეაჩერა მთავრობის მიერ 2004 წელს განხორციელებული რამდენიმე ეკონომიკური რეფორმის შედეგად დაწყებული მაღალი ეკონომიკური ზრდა), საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა.

„მშპ“-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა 2016 წელს - 2.8%, 2017 წელს - 4.8%, ხოლო 2018 წელს 4.7% შეადგინა.

საქსტატის და სეზ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მიმდინარე ანგარიშების დეფიციტმა 2016 წელს - 13.1%, 2017 წელს 8.8%, ხოლო 2018 წელს 7.7% შეადგინა. მიმდინარე ანგარიშების ბალანსის გაუმჯობესება საქონლის და ტურიზმის მომსახურების ექსპორტის ზრდამ გამოიწვია. ბალანსის გაუმჯობესების მიუხედავად, უარყოფითი სალდო კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ძირითადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით ფინანსდება, იმ შემთხვევაში, თუ არ გაგრძელდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოსვლა, მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტის გამო შესაძლოა მოხდეს ვალის ზრდა ან ლარის კურსის გაუფასურება და იმპორტის შემცირება, რაც არსებით ნეგატიურ გავლენას მოახდენს საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა არის საკმაოდ დოლარიზებული. „სეზ“-ის მონაცემებით, დოლარიზაციის მაჩვენებელმა კომერციულ ბანკებში განთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებისათვის 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 71.4%, 2017 წლის მონაცემებით 65.6%-ს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 63.1%-ს. მიუხედავად იმისა, რომ „სეზ“-მა მიიღო ზომები საქართველოს სავალუტო ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად, დოლარიზაციის მაჩვენებელმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „სეზ“-ის სავალუტო და გაცვლითი კურსების პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობაზე.

საქართველოს ეკონომიკაზე ასევე გავლენა მოახდინა რამდენიმე გარე ფაქტორმა, მათ შორის, რუსეთ-უკრაინის კრიზისმა, ეკონომიკის ვარდნამ რუსეთში და ვალუტის გაუფასურებამ პარტნიორ ქვეყნებში (თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის

ჩათვლით). აღნიშნული ფაქტორების შედეგად 2014-2016 წლებში შემცირდა საქართველოდან ექსპორტის ოდენობა, რამაც გამოიწვია უცხოეთიდან მიღებული შემოსავლის ნაკლებობა და, აშშ დოლარის კურსის გამყარების გათვალისწინებით, 2015 წელს ლარის 29.0%-ით გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებით. იმ დროს, როცა არსებული გაუფასურება დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას ამგვარ გარე ფაქტორებთან ადაპტაციაში, აღნიშნულმა დაამძიმა იმ მსესხებლების მდგომარეობა, რომლებსაც სესხები აღებული ჰქონდათ აშშ დოლარში, და გაზარდა მოთხოვნა ლარში დენომინირებულ სესხებზე.

შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის. „ასოცირების ხელშეკრულების“ და „DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ვაჭრობის და კონკრეტული სექტორების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO“-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებით“ და „DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას. აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე და გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი..

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. მაგალითად, „კომპანიამ“, შრომის კოდექსში ზემოთ მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, შეიტანა ცვლილებები

თავის შრომით ხელშეკრულებებში. ცვლილებები მოსალოდნელია საკვების უსაფრთხოების რეგულაციებშიც.

აღნიშნული რისკი ისეთ კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც ამავე დროს დამატებით დადებით შესაძლებლობებს აჩენს კომპანიისთვის. დღესდღეობით საქართველოს ხორცპროდუქტების ბაზარზე საკმაოდ რაოდენობის წვრილი კომპანია ოპერირებს, რომელთა პროდუქციის ხარისხი საკმაოდ დაბალია ნიკორას მიერ წარმოებულზე, თუმცა მაღალი სტანდარტის რეგულაციების არ არსებობის გამო, მათ ერთგვარი თავისუფლება აქვთ მიცემული. თანამედროვე ევროპული რეგულაციების საქართველოში დანერგვის შედეგად ნიკორა, კონკურენტებთან მიმართებაში, მნიშვნელოვნად უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდება ერთის მხრივ მისი უკვე არსებული მაღალი ხარისხი პროდუქციის გამო და მეორეს მხრივ, მისი მასშტაბიდან გამომდინარე, იაფი კაპიტალის ბაზარზე წვდომის შესაძლებლობით.

აგრეთვე ხაზგასასმელია არაორგანიზებული უბნის მაღაზიების, მოცემული ეტაპისთვის, ბაზარზე არსებული წილის მოსალოდნელი შემცირების ეფექტიც. თანამედროვე ევრორეგულაციები და ნორმები არამხოლოდ კვების პროდუქტების წარმოების სტანდარტებს შეეხება, არამედ მათი შენახვის და საბოლოო მომხმარებელამდე მიწოდების თანამედროვე პირობებს, შესაბამისად ამ მიმართულებითაც ნიკორას დამატებით შესაძლებლობა და გაფართოების პოტენციალი გააჩნია.